



პროგრამის 'აწარმოე საქართველოში'
ინდუსტრიული ნაწილის, ტექნიკური
მხარდაჭერის და ფინანსებზე
ხელმისაწვდომობის კომპონენტების

შედეგების შეფასება

მომზადებულია სააგენტოსთვის ანარმომე საქართველოში

2

პროგრამის 'ანარმომე საქართველოში' ინდუსტრიული
ნაწილის, ტექნიკური მხარდაჭერის და ფინანსებზე
ხელმისაწვდომობის კომპონენტების შედეგების შეფასება

2018

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული
პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს
გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული
კომპანიის - 'ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის' წევრს და შედის
ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის
შემადგენლობაში.

სარჩევი

მიმართვის წერილი	4
შემაჯამებელი მიმოხილვა	5
საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა	13
პროგრამის მიმოხილვა	25
შეფასების მეთოდოლოგია	29
ბენეფიციარების მიმოხილვა მიკრო და მაკროეკონომიკურ ჭრილში	33

3

დანართი

დანართი 1 – ბენეფიციარების კითხვარის ნიმუში	101
დანართი 2 – ბენეფიციარების მიერ გამომუშავებული მშპ-ის რეგრესიული ანალიზი	105
დანართი 3 – ბენეფიციარების საქმიანობის ძირითადი ინდიკატორები	107
დანართი 4 – ინფორმაციის წყაროები, ძირითადი ტერმინები	124
დანართი 5 – ძირითადი დაშვებები და პასუხისმგებლობის განაცხადი	127
ბიდიო საქართველოს შესახებ	129

მიმართვის წერილი

შეფასების წინამდებარე ანგარიში, (შემდგომში, 'ანგარიში', 'შეფასება') მომზადებულია შპს ბიდიოს მიერ, 2014 წლის 30 მაისიდან 2018 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით პერიოდისთვის და სააგენტოსთან 'აწარმოე საქართველოში' (შემდგომში, 'სააგენტო') გაფორმებული გარიგების წერილის შესაბამისად. კვლევის მიზანია, გამოავლინოს პროგრამის 'აწარმოე საქართველოში' (შემდგომში, 'პროგრამა') ინდუსტრიული ნაწილის, ტექნიკური მხარდაჭერის და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტების ეფექტიანობა, შეაფასოს აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარების (შემდგომში, 'ბენეფიციარები') მიერ მიღწეული შედეგები პროექტში ჩართვის შემდეგ და გამოავლინოს პროექტის პირდაპირი და ირიბი ეკონომიკური ეფექტი, როგორც პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარებზე, ასევე სხვადასხვა ინდუსტრიებსა და მთლიანად ეკონომიკაზე, დანართ 5-ში წარმოდგენილი დაშვებების გათვალისწინებით.

2014 წლის 30 მაისიდან (პროგრამის დაწყების თარიღი) 2018 წლის 30 სექტემბრამდე, დაფინანსებულია 338 ბენეფიციარი (340 პროექტი), თუმცა, ეს რეპორტი განიხილავს მხოლოდ 100 ბენეფიციარს, რომელთა პროგრამაში ჩართვიდან მინიმუმ 2 წელი მაინც არის გასული და, შესაბამისად, შესაძლებელია პროგრამის ეფექტიანობის შეფასება იმის მიხედვით თუ როგორ მიდის მათი ბიზნესის საქმიანობის შედეგების და საქართველოს ეკონომიკაში, მათი წილის მიხედვით.

ზემოხსენებული 100 ბენეფიციარი კომპანიიდან, კვლევაში მონაწილეობა 85-მა ბენეფიციარმა მიიღო, რომელთაგან 30 არის სტარტაპი და დანარჩენი 55 - არსებული საწარმოს გაფართოება.

4

მოცემული კვლევა ეფუძნება ბენეფიციარებიდან მიღებულ ინფორმაციას (ჩვენს მიერ შემუშავებული კითხვარების შესაბამისად), ბიდიოს მიერ, ამ ინფორმაციის ანალიზს და რელევანტური ბაზრების ზოგად მიმოხილვას. ანგარიში მოიცავს ბენეფიციარების შედეგების მიკრო და მაკროეკონომიკურ ანალიზს და ეფუძნება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მეთოდებს. ძირითადი მაჩვენებლები, როგორიცაა, დამატებული ღირებულება, ბიზნესში განხორციელებული ინვესტიციები, შექმნილი სამუშაო ადგილები, ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები, მიღებული ფინანსური კოფიციენტები, ა.შ., კვლევის ფარგლებში შეფასებულ იქნა კითხვარების საფუძველზე მიღებულ ბენეფიციარების მონაცემებზე და ბიდიოს ანალიზზე დაყრდნობით. ამას გარდა, ანგარიში ასახავს პროგრამაში ჩართული სხვა პირების დამოკიდებულებას პროგრამის მიმართ. შეფასების შედეგები წარმოდგენილი და დეტალურად განხილულია წინამდებარე ანგარიშში.

პატივისცემით,

შპს ბიდიო

15 დეკემბერი 2018

შემატამებელი მიმოხილვა

5

შემაჯამებელი მიმოხილვა

შემაჯამებელ მიმოხილვაში წარმოდგენილია შეფასების პროცესში გამოვლენილი ძირითადი საკითხები. მნიშვნელოვანია, რომ ეს ინფორმაცია არ იქნეს გამოყენებული განყენებულად, მთლიანი ანგარიშის გათვალისწინების გარეშე.

ჩართული პირების დამოკიდებულება პროგრამის მიმართ

პროგრამის მიმართ დამოკიდებულების შეფასების მიზნით, გავაკეთეთ ინტერვიუები ბენეფიციარებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან (კომერციული ბანკები და სალიზინგო კომპანიები), ვინც ფინანსური რესურსების (სესხების) და მატერიალური აქტივების (მანქანა-დანადგარები, შესაბამისი აღჭურვილობა, ა.შ) მომწოდებლებს წარმოადგენენ პროგრამაში ჩართული ბენეფიციარებისთვის.

გამოკითხული ბენეფიციარების უმრავლესობა ფიქრობს, რომ პროგრამა მათ ძალიან დაეხმარა და მის გარეშე, ბიზნესის გაფართოება ან დაწყება რთული იქნებოდა. თუმცა, არიან ისეთი ბენეფიციარებიც, რომლებიც პროგრამის დახმარების გარეშეც შეძლებდნენ გაფართოებას.

“ ჩვენი დამოკიდებულება პროგრამის მიმართ ძალიან დადებითია, მან მოგვცა სტიმული, რომ გაფართოების მიზნით, აგველო საბანკო სესხი.

გაფართოება

“ პროგრამის დახმარების გარეშე, ვერ შევძლებდით ბიზნესის წამოწყებას.

სტარტაპი

6

ბენეფიციარების დამოკიდებულებასთან ერთად, შეფასებულ იქნა პროგრამის ფარგლებში, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის სიმარტივეც. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაში ჩართვამდე, ბანკების და სალიზინგო კომპანიების მიერ, ხდება ბენეფიციარების არსებული და პოტენციური ბიზნესის ფინანსური ანალიზი და შესაბამისობის დადგენა სასესხო კრიტერიუმებთან, გამოკითხული ბენეფიციარების უმეტესობა ხაზს უსვამს დაფინანსების მოპოვების პროცესის სიმარტივეს. მხოლოდ რამდენიმე ბენეფიციარმა გამოთქვა სურვილი, რომ პროცესში უფრო მეტი წილით იყოს სახელმწიფო უზრუნველყოფა წარმოდგენილი. თუმცა, ფინანსურ ინსტიტუტებთან საუბრისას დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სახელმწიფო უზრუნველყოფა არალიკვიდური და რთულად მიღწევადია, შესაბამისად, ფინანსური ინსტიტუტები ითხოვენ სრულ უზრუნველყოფას ბენეფიციარების მხიდან და სახელმწიფო უზრუნველყოფა მხოლოდ მეორად ხასიათს ატარებს. აღნიშნული მიუთითებს, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფის კომპონენტი პროგრამის მიზნებისთვის სრული დატვირთვით ვერ მუშაობს, რაც, თავის მხრივ, პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობას უკარგავს ბიზნესს, რომელსაც არ აქვს საკუთარი ძალებით სრული უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

გადაწყვეტილებას ამა თუ იმ კომპანიის დაფინანსების შესახებ, საბოლოო ჯამში, იღებს ფინანსური ინსტიტუტი (ბანკი ან სალიზინგო კომპანია), კომერციული ინტერესების გათვალისწინებით. ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლების გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ რისკის შემცირების მიზნით, სტარტაპის შემთხვევაში, სესხის დამტკიცება ხდება მხოლოდ ისეთი კომპანიებისთვის, რომელთა დამფუძნებლებიც ფლობენ ფულის მაგენერირებელ სხვა ბიზნეს ერთეულს. ასეთ შემთხვევაში კი, დიდია იმის ალბათობა, რომ ფინანსურმა ინსტიტუტმა სათანადოდ არ მოახდინოს პროგრამის პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი ახალი ბიზნეს შესაძლებლობის ანალიზი და საბოლოო ჯამში, ბიზნეს-იდეა დარჩეს დაფინანსების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის დაწყებიდან მიმდინარე პერიოდამდე, მოხდა პროგრამის დადგენილებაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა, როგორც დასაფინანსებელი სექტორების თვალსაზრისით, ისე ბიზნესის სტატუსის და უზრუნველყოფის მოცულობის კუთხით. ცვლილებები განხორციელდა პროგრამის პირობების გაუმჯობესების მიზნით და ჰქონდა დადებითი ეფექტი ჩართულობის გაზრდის მხრივ. თუმცა, აღნიშნული ცვლილებები ბენეფიციართა ნაწილში უსამართლობის განცდას იწვევს, რადგან თვლიან, რომ თავიანთი სექტორში სხვა ბენეფიციარებმა ცვლილებების შედეგად უკეთესი პირობით ისარგებლეს.

შემაჯამებელი მიმოხილვა


ბენეფიციარების მიერ შექმნილი მშპ

ეროვნული ანგარიშთა სისტემის ერთ-ერთ უმინიმუმელოვანეს ეკონომიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტი, რომელიც გამოხატავს ქვეყნის ტერიტორიის შიგნით წარმოებული საბოლოო პროდუქტისა და მომსახურების საბაზრო ღირებულებას, გარკვეული პერიოდისთვის.

წინამდებარე ანგარიშის მიზნებისთვის, ჩვენს მიერ შეფასდა ბენეფიციარების მიერ, პროგრამის ფარგლებში შექმნილი მშპ. იმის გათვალისწინებით, რომ მხოლოდ სტარტაპი ბენეფიციარების საქმიანობის შედეგი შეიძლება ჩაითვალოს უშუალოდ პროგრამის შედეგად, საწარმოს გაფართოების კომპონენტში შემაჯავლი ბენეფიციარების მონაცემები დაკორექტირდა შესაბამისად, მათ მიერ, პროგრამის ფარგლებში შექმნილი მშპ-ის გამოსათვლელად.

კორექტირებული მონაცემები უჩვენებს 164 მილიონ ლარზე მეტ შექმნილ მშპ-ს, სადაც 54% შექმნილია არსებული საწარმოების გაფართოების, ხოლო 46% - სტარტაპების მიერ.


ბენეფიციარების მიერ პროგრამის ფარგლებში შექმნილი მშპ, 2014-2018* წლებში (მლნ ლარი)



ინფორმაციის მომწოდებელ ბენეფიციართა რაოდენობა არათანმიმდევრულია წლების განმავლობაში, რადგან მათი პროგრამაში ჩართვაც ეტაპობრივი იყო. გარდა ამისა, მიმდინარე თარიღისთვის, შეფასებული ბენეფიციარებიდან, 4 კომპანია აღარ ფუნქციონირებს.

*არასრული წელი
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

ბენეფიციარების მიერ, პროგრამის ფარგლებში შექმნილი მშპ, რეგიონების მიხედვით, 2014-2018* წლებში (მლნ ლარი)



ინფორმაციის მომწოდებელ ბენეფიციართა რაოდენობა არათანმიმდევრულია წლების განმავლობაში, რადგან მათი პროგრამაში ჩართვაც ეტაპობრივი იყო. გარდა ამისა, მიმდინარე თარიღისთვის, შეფასებული ბენეფიციარებიდან, 4 კომპანია აღარ ფუნქციონირებს.

მშპ-ის რეგიონალური ანალიზი უჩვენებს, რომ მისი დაახლოებით 79% შექმნილია თბილისში წარმოდგენილი ბენეფიციარების მიერ, რაც მოსალოდნელია, რადგან კვლევის ფარგლებში გამოკითხული კომპანიების 60%, რაოდენობრივად, სწორედ თბილისში მდებარეობს. ეს შედეგი, რაოდენობის გარდა, შესაძლოა გამოწვეული იყოს განსხვავებული პროდუქტიულობითაც რეგიონებს შორის, რაც გამოხატულია სხვადასხვა კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლებით, უკეთესი აღჭურვილობის ქონით და ა.შ.

*არასრული წელი
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

შემაჯამებელი მიმოხილვა

მართალია, პროგრამის ფარგლებში

შექმნილი მშპ-ის წილი, ქვეყნის მთლიან

მაჩვენებელთან შედარებით, მცირეა, მაგრამ მთლიანობაში, ის მზარდია.

უნდა ითქვას, რომ ეს ზრდა მხოლოდ

პროექტის ფარგლებში გაცემული

სუბსიდირების შედეგი არ არის.

როგორც რეგრესიული ანალიზი

გვიჩვენებს, მშპ-ის შექმნა დამოკიდებულია

სხვადასხვა ფაქტორზე და განყენებულად,

მხოლოდ სუბსიდია ვერ იმოქმედებს


მნიშვნელოვნად ეკონომიკაზე, თუ სხვა

ეკონომიკურ მაჩვენებლებსაც არ შეაქვთ

გარკვეული წვლილი სოციალური

კეთილდღეობის ზრდაში.

პროგრამის ფარგლებში წარმოებული მშპ-ის წილი ქვეყნის მშპ-ში, 2014-2017 წლებში




წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

ინვესტიციები

ინვესტიცია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის და ის კორელაციაშია სხვადასხვა ეკონომიკურ ცვლადთან. ბენეფიციარების შემთხვევაში, ინვესტიციები მოიცავს ორივეს, პროგრამის ფარგლებში მიღებულ სესხებსა და სხვა დაფინანსებას (ბენეფიციარი კომპანიების მფლობელების მიერ განხორციელებულ კაპიტალურ შენატანებს და პროგრამის გარეთ მიღებულ სხვა სესხებს).

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ფარგლებში, რესურსების უმეტესობა მიმართული იყო ბიზნესის გაფართოებებზე. ამას გარდა, ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ 63% (დაახლოებით, 78.8 მლნ ლარი) გაცემულია 50 ბენეფიციარზე, რომელიც ფუნქციონირებს თბილისში. დარჩენილი 37% (46.5 მლნ ლარი) განაწილებულია 33 ბენეფიციარს შორის, რომლებიც განთავსებული არიან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. შედეგი მოსალოდნელი იყო, რადგან გამოკითხული ბენეფიციარების უმეტესობა წარმოდგენილია თბილისში.

ინვესტიციების განაწილება ბიზნესის სტატუსის მიხედვით, 2014-2018 წლებში * (მლნ ლარი)



პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარების მიერ, 2014-2018 წლებში, მიღებული სესხების, სხვა სესხებისა და კაპიტალში შენატანების წილი, შესაბამისი პერიოდის ქვეყნის მთლიან შიდა ინვესტიციებთან მიმართებაში, შეადგენს დაახლოებით 0.38%-ს, რაც 247 მლნ ლარზე მეტია.

მონაცემები მოიცავს 4 ბენეფიციარის შესახებ ინფორმაციას, რომელთაც შეწყვიტეს ფუნქციონირება და 2 ბენეფიციარისას, რომლებიც ლიკვიდაციის გასვლას გეგმავენ.

*არასრული წელი

წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

შემაჯამებელი მიმოხილვა

ბენეფიციარების კვლევითი საქმიანობა

ბენეფიციარების მხოლოდ 7%-მა (83 ბენეფიციარიდან, რომლებმაც მოგვაწოდეს ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით) ჩაატარა ბაზრის კვლევები, პროგრამაში ჩართვის შემდეგ. კვლევები ეხებოდა მომხმარებელთა დამოკიდებულების, მოლოდინებისა და კმაყოფილების დონის დადგენას. ზოგადად, გამოიკვეთა, რომ ბენეფიციარები სკეპტიკურად უყურებენ ბაზრის დეტალური და კომპლექსური კვლევის ჩატარების საჭიროებას, დანახარჯებიდან გამომდინარე და მხოლოდ მეორად კვლევას მიმართავენ, რაც შედარებით დაბალ დანახარჯებთანაა დაკავშირებული.


პროგრამის ფარგლებში შექმნილი არამატერიალური აქტივები

ბენეფიციარები უფრო მეტად ახორციელებენ ინვესტიციებს მატერიალურ აქტივებში, ვიდრე არამატერიალურში - 85 ბენეფიციარიდან, რომლებმაც ინფორმაცია მოგვაწოდეს ამ საკითხთან დაკავშირებით, მხოლოდ 13%-მა შეიძინა/შექმნა არამატერიალური აქტივი, ძირითადად, სავაჭრო ნიშნები და კომპანიის ლოგოები.

პროგრამის ფარგლებში დასაქმებულთა რაოდენობა

პროგრამაში 'აწარმოე საქართველოში' ბენეფიციარების ჩართვის შემდეგ, თანამშრომელთა რაოდენობის წმინდა ზრდამ შეადგინა 3,033. ბენეფიციარების მიერ თანამშრომლებისთვის გადახდილმა მთლიანმა სახელფასო ფონდმა კი - 25.6 მლნ ლარი, საშემოსავლო გადასახადის გარეშე.

თანამშრომელთა წმინდა ზრდა, პროგრამა 'აწარმოე საქართველოში' ჩართვის შემდეგ, 2014-2018* წლებში




*არასრული წელი

წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

შემაჯამებელი მიმოხილვა

თანამშრომელთა წმინდა ზრდა, პროგრამა 'აწარმოე საქართველოში' ჩართვის შემდეგ, რეგიონალურ კრილში, მოცემულია რუკაზე. წმინდა ზრდის 72% აღინიშნება თბილისში. უარყოფითი ზრდის მაჩვენებელი წარმოდგენილია შიდა ქართლში, რომელსაც ქმნის ორი ბენეფიციარი და გამოწვეულია ერთ-ერთი ბენეფიციარის საშუალოდ დასაქმებულთა რაოდენობის პერიოდულად შემცირებადი მონაცემით.

თანამშრომელთა წმინდა ზრდა პროგრამა 'აწარმოე საქართველოში' ჩართვის შემდეგ, 2014-2018*
წლებში, რეგიონების კრილში



*არასრული წელი
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

პროფესიული განვითარება

პროფესიულ განვითარებასთან მიმართებაში, ყველაზე მასშტაბური საკითხი, რომელიც დასახელებულ იქნა 83 გამოკითხული ბენეფიციარის მიერ, არის ის, რომ 48% მიმართავს შიდა ტრენინგებს, საკუთარი თანამშრომლების პროფესიული დონის ამაღლებისთვის, ხოლო 36%, საერთოდ არ იყენებს ტრენინგებს ან განვითარების სხვა საშუალებებს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ბენეფიციარები ნაკლებად ხარჯავენ რესურსებს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მათ საქმიანობაზე გრძელვადიან პერიოდში.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ბანკოტარების პერსპექტივები


სამომავლო პერსპექტივების განხილვისას, გამოკითხული ბენეფიციარების უმრავლესობა (67% იმ 82 ბენეფიციარიდან, რომლებმაც მოგვაწოდეს ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით), გაფართოების შესაძლებლობად, წარმოების მოცულობის გაზრდას ასახელებდა. პრობლემურ საკითხად კი, ძირითადად შემთხვევებში, გასაღების ბაზრის სიმცირე დასახელდა. შესაბამისად, ბენეფიციარები წარმოების მასშტაბების გაზრდას მხოლოდ იმ შემთხვევაში დაგეგმავენ, თუ ბაზარზე შესაბამისი მოთხოვნა იარსებებს.

ბენეფიციარების მიერ გადახდილი გადასახადები


იმისათვის, რომ შევავსოთ პროგრამის პირდაპირი ეფექტი გადახდილი გადასახადების მიმართულებით და მოვახდინოთ პროგრამის ფარგლებში მობილიზებული გადასახადების რაოდენობის იდენტიფიცირება, გადახდილი გადასახადების სრული ნაწილი, სტარტაპების შემთხვევაში, ჩაითვალა პროგრამის ფარგლებში გადახდილად, ხოლო გაფართოებების შემთხვევაში, პროგრამის წილი გამოიყო შემდეგნაირად: დადგინდა პროგრამის ფარგლებში მიღებული სესხების თანაფარდობა, წლის ბოლოს კომპანიის მთლიან აქტივებთან, 2014 წლიდან მოყოლებული, თითოეული წლისთვის. აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ინვესტიციების წილს კომპანიების მფლობელობაში არსებულ ყველა აქტივებთან მიმართებაში. ამ კოეფიციენტის გამოყენება მოხდა იმ ბენეფიციარების მიერ გადახდილ მთლიან გადასახადებთან მიმართებაში, რომლებიც წარმოადგენენ არსებული ბიზნესის გაფართოებას.

პროგრამის ფარგლებში, ბენეფიციარების მიერ გადახდილი გადასახადები აჭარბებს 42.5 მლნ ლარს, 2014-2017 წლების პერიოდისთვის და შეადგენს ქვეყნის მასშტაბით, ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების 0.13%-ს.

ბენეფიციარების მიერ მიღებული სუბსიდიები და გადახდილი გადასახადები 2014-2017 წლებში (მლნ ლარი)



პროგრამის ფარგლებში მობილიზებული გადასახადები* 2014-2017 წლებში (მლნ ლარი)



*გრაფიკი ასახავს იმ ბენეფიციარების მონაცემებს, რომლებმაც მოგვაწოდეს სრული ინფორმაცია მათი პროგრამაში ჩართვის დღიდან, 2017 წლის ბოლომდე პერიოდისთვის გადახდილი გადასახადების შესახებ.

წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

გამოდინარე იქედან, რომ ბენეფიციარების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, 2018 წლის შესახებ, არასრულია დაუმთავრებელი საანგარიშგებო პერიოდის გამო, შესადარისობის მიზნით, მიღებული სუბსიდიები და გადახდილი გადასახადები გაანალიზებულია მხოლოდ სრული წლებისთვის (2014-2017).

წყარო: აწარმოე საქართველოში, ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

○ ინფორმაციის მომწოდებელ ბენეფიციართა რაოდენობა

შემაჯამებელი მიმოხილვა

კონკურენტუნარიანობა

პროგრამის დახმარებით, ბენეფიციარებმა გააუმჯობესეს წარმოების მასშტაბები, ხარისხი, წარმოებული პროდუქციის მრავალფეროვნება და ცდილობენ, კონკურენცია გაუწიონ იმპორტს. თუმცა, იმპორტირებული პროდუქტები კვლავ რჩება ადგილობრივი მწარმოებლებისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად.

ექსპორტი

ბენეფიციარები ექსპორტს ახორციელებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, თუმცა, ექსპორტის ძირითადი წილი მოდის მხოლოდ რამდენიმე სექტორზე: ფარმაცევტული და ქიმიური წარმოება, შინაური ცხოველების პროდუქტები, ლითონები, ტანსაცმელი და ტექსტილი. დანარჩენი სექტორები, ამ მხრივ, ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზე არიან.

ბენეფიციარების ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური ინდიკატორების ანალიზი გამოყენებულ იქნა ბენეფიციარების ისეთი ფინანსური შედეგების შესაფასებლად, როგორიცაა ლიკვიდობა, ფინანსური ლევერიჯი, მომგებიანობა და ფულად სახსრებად კონვერსიის ციკლი.

ლიკვიდობა

ანალიზმა აჩვენა, რომ ისეთ სექტორებში წარმოდგენილ ბენეფიციარებს, როგორიცაა, პლასტმასის, საკვების და სასმელის, ქაღალდისა და შეფუთვის, ლითონების და სამშენებლო მასალების წარმოება, აქვთ სტაბილურად დადებითი ლიკვიდობის კოეფიციენტი და აუმჯობესებენ შედეგებს წლიდან წლამდე - ბენეფიციარების მიმდინარე აქტივების ღირებულება, მოცემულ სექტორებში, იზრდება მიმდინარე ვალდებულებებთან შედარებით საანალიზო წლებში.

ფინანსური ლევერიჯი

მნიშვნელოვანი გაუმჯობესება აღინიშნება ფინანსური ლევერიჯის კუთხით საანალიზო წლებში, ისეთ სექტორებში, როგორიცაა: ელექტრო ტექნიკა, ფარმაცევტული და ქიმიური წარმოება, პლასტმასი, საკვები და სასმელი, ტანსაცმელი და ტექსტილი და ლითონები. კაპიტალთან და მთლიან აქტივებთან მიმათებაში, მთლიანი ვალდებულებები წილი მცირდება წლიდან წლამდე, რაც მიუთითებს ბენეფიციარების ფინანსური სტაბილურობის ზრდას. მეორეს მხრივ, ვალის კაპიტალთან შეფარდების და ვალის კოეფიციენტი იზრდება სამშენებლო მასალებისა და ქაღალდის და შეფუთვის სექტორებში, რაც გულისხმობს, რომ ბენეფიციარები შესამჩნევად ზრდიან გრძელვადიან ვალდებულებებს ბიზნესის განვითარების მიზნით. თუმცა, ლიკვიდობის და მომგებიანობის კოეფიციენტები უმჯობესდება აღნიშნულ სექტორებში, რაც სესხების სწორი მიმართულებით ინვესტირებაზე მიანიშნებს.

მომგებიანობა

ბენეფიციარების მომგებიანობის კოეფიციენტები ისეთ სექტორებში, როგორიცაა ელექტრო ტექნიკა, ფარმაცევტული და ქიმიური წარმოება, პლასტმასი, ქაღალდი და შეფუთვა, უარყოფითია საქმიანობის საწყის ეტაპზე. ეს მოსალოდნელი იყო, რადგან აღნიშნული სექტორები, ძირითადად, წარმოდგენილია სტარტაპების სახით. მიუხედავად ამისა, წმინდა მომგებიანობის მარჯაო იზრდება საანალიზო წლებში და დადებითია თითქმის ყველა გაანალიზებულ სექტორში, პლასტმასისა და სამშენებლო მასალების გარდა.

ფულის კონვერსიის ციკლი

ფულის კონვერსიის ციკლი, ძირითადად, არასტაბილურია საანალიზო წლებში და უჩვენებს მნიშვნელოვან ცვლილებებს ორივე, პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტში, თითქმის ყველა სექტორში. სხვა სექტორებთან შედარებით, ფულის კონვერსიის ყველაზე მოკლე ციკლი (90 დღეზე ნაკლები) შეინიშნება საკვებისა და სასმელის, სამშენებლო მასალებისა და ტანსაცმელისა და ტექსტილის სექტორებში.

საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა

13

საქართველოს ეკონომიკა

საქართველო - ზოგადი მიმოხილვა



საქართველოს ჩრდილოეთით რუსეთის ფედერაცია ესაზღვრება, აღმოსავლეთით - აზერბაიჯანი, სამხრეთით - სომხეთი და თურქეთი, ხოლო დასავლეთით - შავი ზღვა. საქართველოს მთლიანი ფართობი 69,700 კმ²-ია, რომელიც შავი ზღვის ტერიტორიაზე მდებარე 315 კილომეტრიან სანაპირო ზოლსაც მოიცავს. ქვეყნის შემადგენლობაში ორი ოკუპირებული რეგიონი შედის: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.

საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 3,729.6 ათასს შეადგენს (2018 წლის დასაწყისის მონაცემებით), რომლის 58.31% (2,174.8 ათასი ადამიანი) ქალაქში ცხოვრობს, ხოლო 41.69% (1,554.8 ათასი ადამიანი) - სოფელში.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ, 2018 წელს გამოქვეყნებული დემოგრაფიული მდგომარეობის მიხედვით, საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 65.4% არის 15-დან 64 წლამდე. ამავე წყაროზე დაყრდნობით, 2018 წლის დასაწყისში, მთლიანი მოსახლეობის 31% ცხოვრობს თბილისში, 13.6% - იმერეთში, 11.6% - ქვემო ქართლში, 9.3% - აჭარაში, 8.4% - კახეთში, ხოლო დარჩენილი 26.1% - საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

თბილისი, საქართველოს დედაქალაქი, ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე მტკვრის სანაპიროზე მდებარეობს; ქალაქს 1,158.7 ათასი მცხოვრები ჰყავს. თბილისი ქვეყნის ადმინისტრაციული და ეკონომიკური ცენტრია. ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძია კავკასიაში აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და დასავლეთ და ცენტრალური აზიის გადაკვეთაზე არსებული სტრატეგიული მდებარეობით. დედაქალაქის განლაგებას, ძირითადად, მდინარე მტკვარი და მთიანი ლანდშაფტი განაპირობებს.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

თუ შევხედავთ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) დინამიურად იზრდებოდა 2011 წლამდე, რაც განპირობებული იყო ბიზნეს გარემოსადმი სახელმწიფოს მხარდამჭერი პოლიტიკით. 2011 წლის შემდეგ, როდესაც ქვეყნის მშპ-ის ზრდის ყველაზე დიდ მაჩვენებელს - 7.2%-ს მიაღწია, მისი დინამიკა დადმავლობისკენ წამოვიდა: 2012 წელს ზრდამ 6.4%-მდე დაიწია, კიდევ უფრო ნაკლები ზრდის მაჩვენებელი დაფიქსირდა 2013 წელს - 3.4%, 2014 წელს რეალური მშპ 4.6% იყო, 2015-ში - 2.9%, ხოლო 2016-ში - 2.8%. 2017 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 4.8%-ს მიაღწია, მშპ დეფლატორი 6.1%-ით გაიზარდა, ნომინალურმა მშპ-მ კი 37,846.6 მლნ ლარი შეადგინა.


მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების პირობების შედარების მიზნით, ხშირად გამოიყენება მშპ-ის ღირებულება ერთ სულ მოსახლეზე, რომელიც გამოითვლება ე.წ. საერთაშორისო დოლარში. საქართველოს მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაცილებით დაბალია, ვიდრე საშუალო მსოფლიო მშპ ერთ სულ მოსახლეზე, რაც ნიშნავს, რომ საქართველოში ცხოვრების დონე უფრო დაბალია, ვიდრე საშუალო მსოფლიო სტანდარტი.

საქართველოს ეკონომიკა

მთლიანი შიდა პროდუქტი


საქართველოს მშპ-ის მაჩვენებლები, 2017 წლისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მშპ 2017 წლისთვის



მშპ-ის რეალური ზრდა და ინფლაცია, 2014-2017 წლებში, წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე:

მშპ-ის ზრდა და ინფლაცია




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს ეკონომიკა

მთლიანი შიდა პროდუქტი

მშპ-ის სტრუქტურა 2017 წლისთვის



16

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც გრაფიკზე ჩანს, ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში, ყველაზე დიდი წილი ვაჭრობის (17.1%) და მრეწველობის (16.7%) სექტორს ეკუთვნის, შემდეგი არის ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (10.1%), მშენებლობა (9.8%), სახელმწიფო ადმინისტრირება (8.5%), სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა და თევზჭერა (8.0%), უმრავი ქონება, იჯარა და მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევა (7.0%) და ჯანდაცვა და სოციალური დახმარება (5.8%).


სხვა სექტორები (16.9%) მოიცავს: განათლებას; სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევას; საფინანსო საქმიანობას; ელექტრობის, გაზისა და წყლის მომარაგებას; საკუთარი საცხოვრისის გამოყენების იჯარას და სასტუმროებსა და რესტორნებს.

საქართველოს ეკონომიკა


მთლიანი ეროვნული შემოსავალი

მშპ-ის მსგავსად, მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ) გამოიყენება ქვეყნის შემოსავლის საზომად. თუ მშპ მხოლოდ ქვეყნის შიდა რესურსებიდან მიღებულ შემოსავალს მოიცავს, მეშ საზღვარგარეთიდან შემოსულ შემოსულობებსაც ითვალისწინებს. მეშ-ის გამოსათვლელად, საჭიროა მშპ-ს დავუმატოთ რეზიდენტების მიერ მიღებული შემოსავლები საზღვარგარეთიდან და გამოვაკლოთ ქვეყანაში არარეზიდენტების მიერ მიღებული შემოსავლები, რომლებიც საზღვარგარეთ გადაიგზავნება. მეშ-ის დასათვლელად მიღებულ მაჩვენებელს ასევე ემატება გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე და აკლდება სუბსიდიები.


მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემი: 2018 წლის 1 კვარტალი
წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



მეშ ერთ სულზე (მლნ აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემი: 2018 წლის 1 კვარტალი
წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


როგორც გრაფიკზე ჩანს, მეშ-ის უმაღლესი მაჩვენებელი 2014 წელს დაფიქსირდა, რომელმაც 16,356 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო მეშ-მა ერთ სულ მოსახლეზე - 4,398 მლნ აშშ დოლარი. მეშ-ის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2015 წელს გამოიკვეთა, რომელიც 13,605 მლნ აშშ დოლარის ტოლი იყო, ხოლო მეშ ერთ მოსახლეზე - 3,652 მლნ აშშ დოლარი. 2018 წლის მეშ კვლავ დასაზუსტებელია, რადგან მონაცემები არასრულია და მხოლოდ პირველ კვარტალს ასახავს.

საქართველოს ეკონომიკა

დასაქმების ბაზარი

უმუშევრობის დონე შეიძლება გამოითვალოს მთლიანი მოსახლეობის, ან ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის გათვალისწინებით. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე ნაჩვენებია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის უმუშევრობის დონე საქართველოში. 2016 წელთან შედარებით, 2017 წელს საქართველოში უმუშევრობის დონემ დაიწია 0.1%-ით და გაუტოლდა 13.9%-ს. გასათვალისწინებელია, რომ უმუშევრობის დონის კლების ტენდენცია შენარჩუნებულია ბოლო 8 წლის განმავლობაში.

დასაქმების ბაზარი (%)




2017 წელს, ეკონომიკურად აქტიურმა

მოსახლეობამ, მუშახელის (15 წლის და უფროსი) 65.8% შეადგინა. როგორც გრაფიკზე ვხედავთ, 2010 წლიდან 2015-მდე, ეკონომიკური აქტივობის ტენდენცია, ძირითადად, მზარდია, თუმცა, 2017 წელს 2016 წელთან შედარებით შემცირებულია როგორც მოსახლეობის აქტიურობის დონე, ისე დასაქმების დონე, შესაბამისად 0.5 და 0.4 პროცენტული პუნქტით. ეკონომიკური აქტივობის კლება შეიძლება განპირობებული იყოს დასაქმების ბაზრის სხვადასხვა სტრუქტურული ცვლილებიდან, მაგალითად, სამუშაო ძალის დაბერებიდან გამომდინარე.


18

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დასაქმების დონე სქესის მიხედვით (%)



უმუშევრობის დონე (%)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ეკონომიკური აქტივობა უფრო მაღალია მამაკაცებში. 2017 წლის მაჩვენებელი ქალებისთვის 58.2% იყო (1.5 პროცენტით გაიზარდა წლიდან წლამდე), ხოლო მამაკაცებისთვის მან 74.6%-ს მიაღწია (2.8

58.2 %

ეკონომიკური აქტივობის
დონე ქალებისთვის

74.6 %

ეკონომიკური აქტივობის
დონე კაცებისთვის

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს ეკონომიკა


გადასახადები

საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა, საქართველოში, საგადასახადო კოდექსის მიხედვით, გაერთიანებულია - გადასახადების შეგროვებასა და საგადასახადო გარემოს ზედამხედველობას უზრუნველყოფს საქართველოს შემოსავლების სამსახური. საქართველოში 6 ძირითადი გადასახადი არსებობს: დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ), საშემოსავლო, მოგების, იმპორტის, აქციზისა და ქონების გადასახადი.


მოცემულ გრაფიკზე ვხედავთ, რომ სახელმწიფოს მიერ შეგროვებული გადასახადების მოცულობა, წლების მანძილზე, თანდათან იზრდება. განსხვავება ფიქსირდება 2013 წელს, როდესაც გადასახადების რაოდენობა 6,311,078 მლნ ლარიდან 6,287,685 ლარამდე დაეცა. ყველაზე დიდი ზრდა ფიქსირდება სხვა გადასახადებში. აქ ნაჩვენებია 169%-იანი ზრდა 2010 წლიდან 2017 წლამდე. 2018 წელს ყველაზე დიდი ზრდა (159% 2010 წლიდან 2018 წლამდე) ივარაუდება აქციზის მაჩვენებელში.

19

სახ-ფოს მიერ შეგროვებული გადასახადები (მლნ ლარი)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო




საქართველოს ეკონომიკა

უცხოური ინვესტიციები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები,
წლების კრილში (მლნ აშშ დოლარი)

2014 წლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი ნაწილი განხორციელებულ იქნა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, უძრავი ქონებისა და მშენებლობის სექტორებში. 2015 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა უძრავ ქონებაში საგრძნობლოდ იკლებს, თუმცა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში შემავალი ინვესტიციების ნაკადი უცვლელი რჩება. 2017 წლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი ნაწილი მიეკუთვნება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორს.




20

ქვემოთ ჩამოთვლილია ის ძირითადი სექტორები, სადაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედარებით დიდი წილი ხორციელდება: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა; მშენებლობა; სხვა სექტორები - სასტუმროები და რესტორნები; უძრავი ქონება; ვაჭრობა; განათლება; კომუნალური; სოციალური და პერსონალური სერვისები; წარმოება; მოპოვება; სოფლის მეურნეობა და მეთევზეობა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა,
2014-2017 წლებში (მლნ აშშ დოლარი)

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2014-2017 წლებში ცვალებადი იყო (იზრდებოდა და იკლებდა). პირდაპირი ინვესტიციის ყველაზე მსხვილი ნაკადები მესამე კვარტალში დაფიქსირდა. საქართველოში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 2017 წელს (IV კვარტალში) 522.2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 98%-იანი ზრდაა, წინა წლის ამავე მონაცემთან შედარებით.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


საქართველოს ეკონომიკა

უცხოური ინვესტიციები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე (25.8%) მოდის, მას მოჰყვება საფინანსო სექტორი (16%), სამშენებლო სექტორი (14.9%) და ენერგეტიკის სექტორი (11.8%). სხვა სექტორები (31.4%) მოიცავს სასტუმროებსა და რესტორნებს (4%), უძრავ ქონებას (9.4%), წარმოებას (5.2%), მოპოვებას (2.7) და ა.შ.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2017 წლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სექტორების ჭრილში




ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები

ლოჯისტიკის რეგიონალური ცენტრი - საქართველოს სატრანსპორტო ეკონომიკა არის ტრანზიტულზე ორიენტირებული: საქართველოს სატვირთო გადაზიდვების 60% ტრანზიტულია, სატრანსპორტო დერეფნები ახლო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ძველ სავაჭრო მარშრუტს ახალ გასაქანს აძლევს და ამ მიმართულებით, საქართველოს, როგორც ლოჯისტიკის რეგიონალური ცენტრის, განვითარების საშუალებას იძლევა.

სოფლის მეურნეობა და კვების პროდუქტების გადამამუშავება - საქართველო, ტრადიციულად, სოფლის მეურნეობის ქვეყანაა, მას 22 მიკროკლიმატი აქვს, რომელიც მერყეობს გრილიდან მშრალამდე და თბილიდან ტენიანამდე. ეს დივერსიფიცირებული მიკრო კლიმატები ხელს უწყობს ჩვეულებრივზე ხანგრძლივი მოსავლიანობის სეზონის შენარჩუნებას და მოსავლის მოყვანის პირობების ფართო სპექტრის არსებობას.

ბიზნეს პროცესების ავტომატიზაცია - არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ საქართველო ჩაითვალოს როგორც კავკასიის, ასევე დასავლეთ აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალური შტაბის, ბიზნეს პროცესების ავტომატიზაციის და რეგიონალური ჯანდაცვის და ასევე, ინტენსიური შრომითი მრეწველობის ბიზნეს ცენტრად, რომელიც დამოკიდებული იქნება დაბალი ღირებულების მქონე კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე.



ქვეყნები, რომლებმაც ყველაზე მეტი მოცულობის ინვესტიციები განახორციელეს საქართველოში 2017 წელს (ათასი აშშ დოლარი)

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


საქართველოს ეკონომიკა

უცხოური ვაჭრობის ტენდენციები

2017 წელს, საქართველოში საგარეო ვაჭრობამ 10,675 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ექსპორტი 2,736 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა, ხოლო იმპორტის რაოდენობა - 7,939 მლნ აშშ დოლარი იყო.

2010-2017 წლებში, ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ექსპორტ-იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)



2017 წელს, წინა წელთან შედარებით, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 13.5%-ით გაიზარდა.

2016 წელს, უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 5,181 მლნ აშშ დოლარი იყო. 2015 წლის იმპორტ-ექსპორტის დონე, წინა წლებთან შედარებით, ლარის აშშ დოლართან გაუფასურების გამო, შემცირდა.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


22

ვალუტის კურსი

საქართველოში სავალუტო კურსის დადგენის რამდენიმე პოლიტიკა არსებობს - ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსი თავისუფლად განსაზღვრული საბაზრო განაკვეთებისგან შეიძლება ორი ან მეტი პროცენტით განსხვავდებოდეს, რაც, სავალუტო კურსის განსაზღვრის სხვადასხვა პრაქტიკის არსებობის შედეგია.

ქვემოთ მოცემულია ვალუტის გაცვლითი კურსების ბოლო წლების საშუალო წლიური მაჩვენებლები და ზოგადი ტენდენციები, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით:

საშუალო წლიური გაცვლითი კურსი



* არასრული წელი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეკონომიკა

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი


საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 76-ია, რაც საქართველოს ეკონომიკას, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის რიგებში, მე-16 ადგილზე აყენებს. 2018 წელს მისი საერთო ქულა 0.2-ით მაღალია წინა წელთან შედარებით.

საქართველომ გააუმჯობესა ეკონომიკური თავისუფლების ხუთი მიმართულება, მათ შორის, კორუფციისგან თავისუფლება, სახელმწიფო ხარჯების კონტროლი, ბიზნესის თავისუფლება, ფულადი თავისუფლება და საინვესტიციო თავისუფლება. 2017 წლამდე, ყველაზე მაღალი ქულა 2015 წელს დაფიქსირდა და საქართველომ, 'მეტად თავისუფალი' ქვეყნების სიაში, მაღალ საფეხურზე აიწია, საქართველოს მე-9 ადგილი უჭირავს ევროპის რეგიონში და მისი ქულა რეგიონის საშუალოზე საგრძნობლად მაღალია.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ყოველწლიურად ქვეყნდება და განისაზღვრება ოთხი კრიტერიუმით: სახელმწიფოს ინტერვენცია ქვეყნის ეკონომიკაში, სახელმწიფო სააგენტოების ეფექტურობა, კანონების შესრულება და ბაზრის გახსნილობა. თითქმის ორი ათეული წლის წინ, ე.წ. 'რეპრესირებული' ეკონომიკიდან, საქართველომ ეკონომიკურად 'მეტად თავისუფალი' ქვეყნების სიაში აიწია და 2017 წელს, თავისუფლების ინდექსის ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწია.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, 2018

23



წყარო: www.heritage.org


საქართველოს ეკონომიკა

ბიზნესის კეთების სიმარტივე

საქართველოს ეკონომიკას საკმაოდ კარგი ინდექსი აქვს ყველა ძირითად სფეროში. მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ 2019 წლის 'ბიზნესის კეთების' კვლევაზე დაყრდნობით, რუსეთის ოკუპაციისა და გლობალური რეცესიის მიუხედავად, საქართველო კვლავც ინარჩუნებს ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებელს და 190 ქვეყნის მონაცემით, ბიზნესის კეთების სიმარტივით, ქვეყანა მე-6 ადგილზეა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგი, ქვეყნების მიხედვით:

ბიზნესის კეთების სიმარტივე, 2019



წყარო: www.doingbusiness.org

პროგრამის მიმოხილვა

პროგრამის მიმოხილვა

2014 წლის ივნისში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, დაიწყო ახალი სახელმწიფო პროგრამა 'აწარმოე საქართველოში'. პროგრამის მიზანია, საქართველოში სამეწარმეო კულტურის განვითარება, ახალი საწარმოების ჩამოყალიბების სტიმულირებით და არსებული საწარმოების გაფართოების ხელშეწყობით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაარსებული სამი სააგენტო - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, ასევე არიან ჩართულები 'აწარმოე საქართველოში' პროგრამაში და სთავაზობენ ფინანსურ დახმარებას შესაბამის კომპანიებს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს არ შეუთავაზებია ფინანსური დახმარება ანგარიშში წარმოდგენილი ბენეფიციარებისთვის, ხოლო დანარჩენი ორი სააგენტო, საქმიანობის ანალიზს, თავისი ძალებით ახორციელებს.

სსიპ აწარმოე საქართველოში (შემდგომში, 'სააგენტო') არის სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც პროექტის 'აწარმოე საქართველოში' მთავარი განმახორციელებელია. ის პასუხისმგებელია ა) ბიზნესის მხარდაჭერაზე, ბ) ექსპორტის ხელშეწყობასა და გ) საქართველოს სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორებში ინვესტიციების მოზიდვაზე.

პროექტის **ბიზნეს მიმართულება** ხელს უწყობს საქართველოში სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას - ახალი საწარმოების გახსნასა და არსებული საწარმოების გაფართოებას.

ექსპორტის მიმართულების ძირითადი მიზანია ქართული საწარმოების ექსპორტის პოტენციალის ამაღლება. ეს მიიღწევა ადრესატების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო ბაზრებზე მიმართული საქონლის მოცულობის გაზრდით.

26

საინვესტიციო მიმართულება მოდერატიორის როლს ასრულებს უცხოურ ინვესტიორებსა და საქართველოს სახელმწიფოს შორის, უზრუნველყოფს განახლებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობასა და სახელმწიფო უწყებებთან ეფექტურ კომუნიკაციას. მიმართულება ასევე ფუნქციონირებს, როგორც უცხოური ინვესტიორებისთვის ინვესტირების პროცესის დამხმარე ობიექტი.

პროგრამა 'აწარმოე საქართველოში' მოიცავს სამ კომპონენტს:

1. **ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი** - რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო, სალიზინგო და საერთაშორისო ბრენდის გამოყენების შესაძლებლობებს. ნებადართულია როგორც კრედიტისა და ლიზინგის, ასევე ლიზინგის და საერთაშორისო ბრენდის, ან კრედიტის და საერთაშორისო ბრენდის ერთად გამოყენება და ამ მხრივ არ არსებობს არანაირი შეზღუდვა. გარკვეული კორექტირებების შეტანის შემდეგ, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი ამჟამად მოიცავს 3 სექტორს: 1. სასტუმროები; 2. სოფლის მეურნეობა; 3. წარმოება.

საკრედიტო კომპონენტი მოიცავს, სამინისტროს მიერ გათვალისწინებული ბიუჯეტის გამოყენებით, კომერციული ბანკების მიერ პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარისთვის გაცემულ სესხზე დარიცხული პროცენტის თანადაფინანსებას. ასევე, სააგენტოს თანამონაწილეობას, ბენეფიციარის მიერ კომერციული ბანკისგან მოთხოვნილი კრედიტის უზრუნველყოფაში.

A.

სესხის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობა სესხის 50%-ის მოცულობით, პირველი 48 თვის განმავლობაში (არაუმეტეს 2,500,000 ლარისა)

B.

პირველი 24 თვის განმავლობაში, საბანკო კრედიტის პროცენტის 10%-ის მოცულობით თანადაფინანსება

C.

სესხის მინიმალური მოცულობა შეადგენს 150 000 ლარს, ხოლო მაქსიმალური - 5 000 000 ლარს

პროგრამის მიმოხილვა

პროგრამის პირობების მიხედვით, ახალი საწარმოს გახსნის შემთხვევაში, უნდა მოხდეს წარმოების დაწყება კრედიტის გაცემიდან 24 თვის განმავლობაში, ხოლო არსებული საწარმოს შემთხვევაში - კრედიტის გაცემიდან 12 თვის განმავლობაში.

სასტუმროს შემთხვევაში, თუ საქმე ეხება საერთაშორისო ბრენდის გამოყენებას, სესხის მოცულობა შეიძლება იყოს €200,000-დან €5,000,000-მდე, ხოლო ადგილობრივი ბრენდის შემთხვევაში - €200,000-დან €2,000,000-მდე. საერთაშორისო ბრენდის კომპონენტის გამოყენება მოიცავს სააგენტოს და პროგრამის ბენეფიციარის ხელშეკრულების საფუძველზე, სააგენტოს მიერ, საერთაშორისო ბრენდის გამოყენებისთვის, ბენეფიციარის მიერ გადახდილი 24 თვის გადასახადის ანაზღაურებას, ყოველწლიურად არა უმეტეს 300,000 ლარისა, სამინისტროსთვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში ამ პროგრამის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

ლიზინგის კომპონენტი თავდაპირველად მოიცავდა დაბალი საპროცენტო განაკვეთების დაფინანსებას და შესაბამისად, იშვიათად გამოიყენებოდა. სააგენტოს თანადაფინანსება ლიზინგის კომპონენტზე შეადგენს წლიურ 12%-ს და ფინანსდება ხელშეკრულების ხელმოწერიდან 24 თვის განმავლობაში. ამან გამოიწვია სალიზინგო კომპონენტის პირობების შეცვლა. განახლებული პირობები აღწერილია ქვემოთ:

27

A.

100,000-დან 500,000 ლარამდე თანხის მოცულობის შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს სეზ-ის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული მაქსიმუმ 11%

B.

500,000-დან 1,000,000 ლარამდე თანხის მოცულობის შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს სეზ-ის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული მაქსიმუმ 10%

C.

1,000,000-დან 5,000,000 ლარამდე თანხის მოცულობის შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს სეზ-ის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული მაქსიმუმ 9%

უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე ანგარიში ეხება სწორედ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტს, თუმცა, პროგრამის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მოწოდების მიზნით, ქვემოთ განხილულია პროგრამის დანარჩენი ორი კომპონენტიც.

2. უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი - თუ კომპანია ეთანხმება გარკვეულ საინვესტიციო ვალდებულებას და ინვესტიციას ახორციელებს ახალ პროგრამაში (ახალი ქარხნის გახსნა ან არსებულის გაფართოება), მას შეუძლია მოიპოვოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება სიმბოლურ ფასად - 1 ლარად. საინვესტიციო ვალდებულება გულისხმობს, რომ საწარმოს უნდა ჰქონდეს განხორციელებული ინვესტიცია, რომელიც მინიმუმ 6-ჯერ მეტია ქონების საბაზრო ფასზე თბილისში და მინიმუმ 4-ჯერ მეტი, ვიდრე ქონების საბაზრო ფასი რეგიონებში.

3. ტექნიკური დახმარების კომპონენტი - გულისხმობს სხვადასხვა სახის ტექნიკურ დახმარებას, ყველა ზემოთ აღნიშნული კომპონენტისთვის.

აღსანიშნავია ასევე, რომ პროგრამა თავდაპირველად მოიცავდა შემდეგ სექტორებს: ელექტრო ტექნიკა, ფარმაცევტული და ქიმიური წარმოება, ქაღალდი და შეფუთვა, სამშენებლო მასალები, პლასტმასი, ლითონები, ტანსაცმელი და ტექსტილი, საკვები და სასმელი, ხის წარმოება და სხვა. სხვადასხვა ცვლილების გათვალისწინების შემდეგ, დღეის მდგომარეობით, პროგრამა სექტორებს ყოფს სამ მთავარ კატეგორიად: 1. წარმოება; 2. კინო ინდუსტრია*; 3. სასტუმრო ინდუსტრია. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ბენეფიციარი, რომელიც წინამდებარე შეფასების ობიექტია, ხდება წარმოების კატეგორიაში.


ამას გარდა, მნიშვნელოვანი ცვლილება იყო საფასურების ეროვნულ ვალუტაში წარდგენა აშშ დოლარის და ევროს ნაცვლად, 2017 წელს შემოტანილი ლარიზაციის რეგულაციების გათვალისწინებით.

* 2016 წელს, აწარმოე საქართველომ ახალი პროექტი 'გადაიღე საქართველოში' წამოიწყო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერთობლივი ინიციატივით. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს კინოინდუსტრიის განვითარებას, საერთაშორისო კინემატოგრაფისტების მოზიდვას და საქართველოს, როგორც აღმოსავლეთ ევროპის ფილმის გადაღების დანიშნულების ადგილად ჩამოყალიბებას.

პროგრამის მიმოხილვა

პროგრამის ბიუჯეტი

ქვემოთ მოცემულ გრაფიკებზე ნათლად ჩანს პროგრამის წლიური ბიუჯეტის გეგმა და მისი შესრულება სხვადასხვა ფინანსური კომპონენტის გათვალისწინებით:



შეფასების მეთოდოლოგია

შეფასების მეთოდოლოგია

ეკონომიკური ანალიზი

წინამდებარე შეფასების მიზანია, განსაზღვროს პროგრამის 'ანარმომე საქართველოში' საქმიანობის ეფექტი, რაც გულისხმობს მთლიანი პროგრამის ეფექტიანობის და ცალკეული ბენეფიციარების მიერ მიღწეული შედეგების გამოვლენას. გარდა ამისა, შეფასებამ უნდა გამოავლინოს პროგრამის ისეთი არაპირდაპირი ეფექტებიც, როგორიცაა პროგრამის წვლილი საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში. შესაბამისად, კვლევა მოიცავს როგორც მიკრო, ასევე მაკროეკონომიკურ ანალიზს. პროგრამის შეფასების პროცესი დაიგეგმა მიკროეკონომიკური ანალიზის დაწყებით, აქედან მიღებული რელევანტური ინფორმაციის გამოყენება კი შემდეგ მოხდა მაკროეკონომიკური ანალიზისთვის.

მიკროეკონომიკური ანალიზის პირველი საფეხური მოიცავს შერჩეული ბენეფიციარებისგან, კვლევის მიზნობრიობის შესაბამისი ინფორმაციის მიღებას. ხოლო ამ კვლევის მეთოდოლოგია კი უნდა იყოს იმგვარად შერჩეული, რომ მიღწეულ იქნეს შესაბამისი შედეგი.

შეფასების მეთოდები შეიძლება იყოს თვისებრივი, რაოდენობრივი ან კომბინირებული, რომელიც თვისებრივი და რაოდენობრივი მიდგომების და სპეკულაციების ერთობლიობას წარმოადგენს. შეფასების რამდენიმე მიდგომის გამოყენება ამყარებს თვისებრივი კვლევის შედეგებს რაოდენობრივი კვლევის შედეგებით. კვლევის ყველაზე ფართოდ გავრცელებული მეთოდები მოიცავს ინტერვიუებსა და დაკვირვებას. წინამდებარე კვლევის ჩატარების ძირითად პროცედურად, ინტერვიუები შეირჩა. თუმცა, ეს მეთოდიც შეიძლება განსხვავდებოდეს კვლევის მიზნიდან გამომდინარე და იყოს:

▶ სიღრმისეული

▶ ნახევრად-სტრუქტურირებული

▶ მცირედ სტრუქტურირებული

▶ არასტრუქტურირებული

30

არასტრუქტურირებული ინტერვიუები უფრო გავრცელებულია გრძელვადიან სამუშაო პროცესში, სადაც რესპოდენტებს შეუძლიათ პასუხისას თავისი აზრი შედარებით ნაკლები შეზღუდვებით დააფიქსირონ.

ვინაიდან, პროგრამის შესაფასებლად, საჭირო იყო ბენეფიციარების დეტალური შესწავლა, შეფასების მთავარ მეთოდად შეირჩა სიღრმისეული ინტერვიუ.

სიღრმისეული ინტერვიუ

სიღრმისეული ინტერვიუ თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი ტექნიკაა, რომელიც მოიცავს რამდენიმე რესპოდენტის გამოკითხვას და მათი შეხედულებების გარკვევას სხვადასხვა საკითხზე, პროგრამასა თუ მდგომარეობაზე.

სიღრმისეული ინტერვიუები გამოსადეგია მაშინ, როდესაც დასადგენია ვინმეს შეხედულებები და ქცევა, ან როდესაც ახალი პრობლემა საჭიროებს განხილვას. რესპოდენტებთან შეხვედრები ხშირად გამოიყენება სხვადასხვა ინფორმაციის დასადგენად (მაგ. მონაცემების შედეგები) და გვაწვდის უფრო ფართო სურათს იმის შესახებ, თუ რა განხორციელდა პროგრამის ფარგლებში და რატომ.

სიღრმისეული ინტერვიუს უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ამ ფორმით მიიღება ისეთი ინფორმაცია, რომლის კვლევის სხვა მეთოდების გამოყენებით მოპოვება სრულყოფილად ვერ ხერხდება. სიღრმისეული ინტერვიუ ქმნის ინფორმაციის შეგროვების შედარებით თავისუფალ გარემოს, რადგან რესპოდენტებმა შეიძლება უფრო კომფორტულად იგრძნონ თავი პროგრამაში ჩართულობის პირისპირ განხილვისას.

სიღრმისეული ინტერვიუ, კვლევის სხვა მეთოდების მსგავსად, მიყვება ზოგად პროცესს:

▶ დაგეგმვა

▶ მონაცემთა შეგროვება

▶ კვლევის ინსტრუმენტების შემუშავება

▶ მონაცემთა ანალიზი

▶ მონაცემთა შემგროვებლების

▶ შედეგების მიღება და გავრცელება

დატრენინგება

პროცესის საფეხურები უფრო დეტალურად იხილეთ ქვემოთ:

შეფასების მეთოდოლოგია

დაგეგმვა

წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის, ბენეფიციარებთან გაგზავნილი კითხვარები უნდა მოიცავდეს წარმოებისთვის საჭირო ნედლეულის მოპოვების წყაროებს, ნებისმიერ ახალ დანერგილ დანადგარებს ან ტექნოლოგიებს, ექსპორტის მოცულობას, ფინანსურ კოეფიციენტებს, სამომავლო შესაძლებლობებს, თანამშრომელთა რაოდენობებსა და მათ სამუშაო პირობებს (ხელფასების ჩათვლით) და სხვა.

სამუშაო პროცესის დაწყებამდე, გამოკითხვის პირველი ეტაპი მისი ძირითადი მიზნების გახმოვანება, შეთანხმება და დაფიქსირება იყო. მოწოდებული იყო 100 ბენეფიციარი კომპანიის ჩამონათვალი, რომელთაც გამოკითხვაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ და მათი დახმარებით შეგვეფასებინა 'აწარმოე საქართველოში' პროგრამის ეფექტურობა. კომპანიები შეირჩა კონკრეტული კრიტერიუმების გათვალისწინებით: მინიმუმ 2 წელი მაინც უნდა ყოფილიყო გასული ბენეფიციარის პროგრამაში ჩართვიდან და დაფინანსების ან ტექნიკური დახმარების მიღებიდან. ამის შემდეგი საფეხური კვლევის ინსტრუმენტების შემუშავება და მონაცემთა შემგროვებლების დატრენინგება იყო.

კვლევის ინსტრუმენტების შემუშავება და მონაცემთა შემგროვებლების დატრენინგება

მიკროეკონომიკური ანალიზის ჩატარებისთვის, აუცილებელია რელევანტური კითხვარების შემუშავება. სამუშაო ჯგუფის მიერ, შეიქმნა კითხვარები ყველა იმ მნიშვნელოვანი საკითხის გათვალისწინებით, რაც დაგვეხმარებოდა პროგრამის ანალიზისთვის საკმარისი მონაცემების შეგროვებაში.

31

კვლევისთვის საჭირო ინფორმაციის აღება გადაწყდა ბენეფიციარი კომპანიების მენეჯმენტის წარმომადგენლებისაგან, რადგან სწორედ ისინი არიან მოწოდებულ მასალებზე პასუხისმგებლები.

რელევანტური კითხვარის და შევსების ინსტრუქციის შემუშავების შემდეგ, გუნდის წევრები კიდევ ერთხელ დეტალურად გაეცნენ მთლიანი სამუშაო პროცესის გეგმას, რაც გულისხმობდა ბენეფიციარებთან ურთიერთობის დაწყების დაგეგმვას და იმის განსაზღვრას, თუ როგორ უნდა დავხმარებოდით მათ კითხვარის შევსებაში, როგორ გაგვეხორციელებინა ვიზიტი ბენეფიციარის საწარმოში, რა ინფორმაცია წამოგვეღო შეხვედრიდან, როგორ შეგვემოწმებინა ბენეფიციარების მიერ მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე და ა.შ.

მონაცემთა შემგროვება

მონაცემთა შემგროვების პროცესის დაწყების პირველი ნაბიჯი გუნდის წევრების მიერ ბენეფიციარების გაცნობა იყო. ბენეფიციარებს ელექტრონული ფოსტის საშუალებით დაეგზავნათ კითხვარები, მათი შევსების ინსტრუქციასთან ერთად. იმ შემთხვევაში, როდესაც ბენეფიციარი უკან გზავნიდა შევსებულ კითხვარს, გუნდის რომელიმე წევრი გეგმავდა მასთან ვიზიტს საწარმოში. თუმცა, თუ ბენეფიციარს კითხვარის დამოუკიდებლად შევსება გაუჭირდებოდა, გუნდის წარმომადგენელი დაეხმარებოდა მას ტელეფონის საშუალებით, ან დანიშნავდა შეხვედრას და ადგილზე შეავსებინებდა კითხვარს.

ბენეფიციარებისგან ყველა საჭირო მონაცემის შემგროვების შემდეგ, დაიწყო ამ ინფორმაციის დამუშავების, მიმოხილვის და ანალიზის პროცესი, რათა დადგენილიყო, გვაკლდა თუ არა რაიმე მონაცემი და რა ზომები უნდა მიეღო გუნდს ასეთ შემთხვევაში. იყო შემთხვევები, როდესაც კომპანიებს უჭირდათ გარკვეული ფინანსური ინფორმაციის, მაგალითად, ფინანსური კოეფიციენტების მოწოდება, ასეთ შემთხვევაში, გუნდის წევრების მიერ ხდებოდა დამატებითი განმარტებების მიცემა, ან სამუშაო გუნდი თავად ითვლიდა კომპანიის მონაცემებზე დაყრდნობით, ამა თუ იმ მაჩვენებელს, და შემდეგ, დადასტურების მიზნით, უგზავნიდა კომპანიას ამ ინფორმაციას. კითხვარების შევსების საბოლოო ეტაპი მოიცავდა გუნდის წევრების მიერ კითხვარების საბოლოო სახემდე მიყვანის უზრუნველყოფას და ბენეფიციარების მხრიდან კითხვარების დადასტურებული და ხელმოწერილი ვარიანტის მიღებას.

შეფასების მეთოდოლოგია

მიკროეკონომიკური ანალიზი და შედეგების გავრცელება

ხელმოწერილი კითხვარების შეგროვების შემდეგ, გუნდმა დაიწყო მოწოდებული მონაცემების დახარისხება და ინფორმაციის ანალიზი, ძირითადი მაჩვენებლების გამოსავლენად. მონაცემთა დამუშავების შედეგად, მოხდა შესაბამისი დასკვნების გაკეთება.

იმისათვის, რომ სრულად შევაფასოთ პროექტის 'აწარმოე საქართველოში' შედეგები, შემდეგი საფეხური მიკროეკონომიკური ანალიზიდან შეგროვებული მონაცემების უფრო ფართო მასშტაბზე ჩვენებაა. ამისათვის, ჩატარდა მაკროეკონომიკური ანალიზი. ანალიზის ინსტრუმენტები არჩეულ იქნა კითხვარებში წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით, რაც სრულად გამოხატავს იმ ეფექტებს, რისი დადგენაც შეფასების მიზნებისთვის გვჭირდება. განხილვის შედეგად, მაკროეკონომიკური ანალიზისთვის შეირჩა შემდეგი მაჩვენებლები: მშპ, დასაქმება და უმუშევრობა, ქვეყანაში განხორციელებული შიდა ინვესტიციები და საგარეო ვაჭრობა.

32

მთლიანი შიდა პროდუქტი - პროგრამის ფარგლებში შექმნილი შიდა პროდუქტის მოცულობის შესაფასებლად, ინფორმაცია სხვადასხვა გზის გამოყენებით შეგროვდა. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიები სხვადასხვანაირად აღრიცხავენ თავიანთი საქმიანობის შედეგებს, ინფორმაცია მთლიანი შიდა პროდუქტის შესახებ, შესაძლებლობის შემთხვევაში, პირდაპირ იქნა აღებული, ხოლო ზოგ შემთხვევაში, სადაც პირდაპირ ვერ მოხერხდა მონაცემების მიღება, ინფორმაცია გამოვთვალეთ რეალიზაციიდან შემოსავლების შუალედური მოხმარების შემცირებით, რადგან ეს ორივე მეთოდი გამოიყენება ქვეყნის მასშტაბით მსგავსი გამოთვლების შესასრულებლად. ამის შემდეგ, მოხდა მიღებული შედეგების დადარება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლებთან და პროგრამის ეფექტის დადგენა.

დასაქმება და უმუშევრობა - უმუშევრობის ეფექტი განისაზღვრა ბენეფიციარი კომპანიების პროგრამაში ჩართვის შემდგომ, მათი აქტიური სამუშაო ძალის ცვლილების მიხედვით. იმის გამო, რომ კომპანიებს სრულად არ აქვთ ინფორმაცია მათი თანამშრომლების წინა სამუშაო გამოცდილების შესახებ, ვერ მოხერხდა იმის დადგენა, ეს თანამშრომლები ამ პერიოდამდე აქტიურ სამუშაო ძალას წარმოადგენდნენ, თუ პასიურს. შედეგად, გაკეთდა დაშვება, რომ სამუშაო ძალა პროგრამის დაწყებამდეც აქტიური იყო და პროგრამის შეფასებისას, მხედველობაში მივიღეთ სამუშაო ძალის მხოლოდ რაოდენობრივი ცვლილება.

ინვესტიციები - პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ინვესტიციების ანალიზი მოიცავს როგორც პროგრამის ფარგლებში მიღებულ დაფინანსებას, ასევე ბენეფიციარების მიერ განხორციელებულ სხვა სესხებს და კაპიტალურ დაფინანსებას. მიღებული მაჩვენებლების შედარება მოხდა შესაბამის წლებში, ქვეყანაში განხორციელებულ შიდა ინვესტიციებთან. რადგან ბენეფიციარების მიერ განხორციელებული ყველა ინვესტიცია იყო ქვეყნის შიგნით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, შედარებისას, არ იქნა გათვალისწინებული.

საგარეო ვაჭრობა - პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი საგარეო ვაჭრობის ანალიზი განხორციელდა ორი კუთხით: ერთის მხრივ, გაანალიზდა ბენეფიციარი კომპანიების მიერ განხორციელებული იმპორტი/ექსპორტის მოცულობა, პროგრამის ფარგლებში მთლიანი საგარეო ვაჭრობის ბალანსის ჩვენების მიზნით, და მეორეს მხრივ, ვაჭრობის მოცულობა შეფასდა იმ არაპირდაპირი ეფექტით, რომელიც გვიჩვენებს იმპორტირებული საქონლის რაოდენობის კლებას, საქართველოს ბაზარზე არსებული მსგავსი პროდუქციის გამოჩენის გამო.


გარდა წინამდებარე შეფასების ანგარიშისა, ბიდიოს მიერ იგეგმება რეკომენდაციების შემუშავება კვლევაში მონაწილე ყველა ბენეფიციარისა და პროგრამის წარმომადგენლებისთვის, პროგრამის ეფექტურობის გაზრდასთან მიმართებაში. ეს რეკომენდაციები გამოქვეყნდება ცალკე რეპორტში და განხილული იქნება ბენეფიციარებისა და პროგრამის მენეჯმენტის მიერ.

ბენეფიციარების მიმოხილვა მიკრო და მაკრო შრილში

33

ბენეფიციარების ანალიზი

ბენეფიციარების მიმოხილვა



2014 წლის 30 მაისიდან 2018 წლის 30 სექტემბრამდე, პროგრამაში 'აწარმოე საქართველოში', ჯამში, 338 ბენეფიციარია (340 პროექტი) ჩართული, თუმცა, წინამდებარე ანგარიში მოიცავს მხოლოდ 100 ისეთ კომპანიას, რომელთა პროგრამაში ჩართვიდან მინიმუმ 2 წელია გასული და შესაბამისად, შესაძლებელია პროგრამის ეფექტიანობის შეფასება, მათი საქმიანობის შედეგების და საქართველოს ეკონომიკაში მათი წვლილის შესახებ.

რუკაზე მოცემულია პროგრამის ფინანსური კომპონენტის რეგიონალური განაწილება, უფრო კონკრეტულად კი, რამდენმა კომპანიამ მიიღო ფინანსური დახმარება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

წყარო: აწარმოე საქართველოში და ბიდიოს ანალიზი

როგორც ანგარიშის წინა თავებში უკვე აღვნიშნეთ, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტი, გარკვეული ცვლილებების განხორციელების შემდეგ, მოიცავს 3 ძირითად სექტორს: 1. სასტუმროს; 2. სოფლის მეურნეობის; 3. წარმოების. ამ სექტორების მიხედვით, დაფინანსების მიმღები ბიზნესების რაოდენობა 338-ს შეადგენს:

34

გრაფიკი 5.1

ბიზნეს კატეგორია

■ სოფლის მეურნეობა ■ სასტუმრო ■ წარმოება



წყარო: აწარმოე საქართველოში და ბიდიოს ანალიზი

ამ 338 კომპანიიდან, ორმა, ფინანსური კომპონენტის ორი ნაწილი მიიღო - საბანკო სესხი და ლიზინგი, შესაბამისად, ისინი ჩათვლილია ორივე ნაწილში და ამ კომპონენტების მიხედვით, გადანაწილება ასეთია:

ფინანსური კომპონენტი

გრაფიკი 5.2

■ ბანკის სესხი ■ ლიზინგი



წყარო: აწარმოე საქართველოში და ბიდიოს ანალიზი

ბენეფიციარების ანალიზი


ბენეფიციარების მიმოხილვა

338 ბენეფიციარიდან, ნაწილი სტარტაპი იყო, ნაწილმა კი დაფინანსება წარმოების გაფართოებისათვის გამოიყენა:

სტარტაპი/გაფართოება

გრაფიკი 5.3

■ სტარტაპი ■ გაფართოება



წყარო: აწარმოე საქართველოში და ბიდიოს ანალიზი

35

შერჩეული 100 კომპანიიდან, რომლებმაც დაფინანსება მიიღეს, ახალ და არსებულ ბიზნესებს შორის გადანაწილება ასეთია:

სტარტაპი/გაფართოება

გრაფიკი 5.4

■ სტარტაპი ■ გაფართოება



წყარო: აწარმოე საქართველოში და ბიდიოს ანალიზი


ბენეფიციარების ანალიზი

ბენეფიციარების მიმოხილვა

ბენეფიციარების ბიზნეს-სტატუსის წარმოდგენა, შესაძლებელია ასევე, წლების ჭრილობი:

ბიზნეს სტატუსი

გრაფიკი 5.5




36

წყარო: აწარმოე საქართველოში და ბიდიოს ანალიზი

როგორც ზემოთ აღინიშნა, პროგრამა განიხილავს 3 კომპონენტს: ლიზინგს, საბანკო სესხს და ტექნიკურ დახმარებას. 100 ბენეფიციარიდან, ტექნიკური დახმარება მხოლოდ 6 კომპანიამ მიიღო და თითოეულმა ის გამოიყენა სხვა კომპონენტთან - საბანკო სესხთან ერთად:

კომპონენტის განაწილება

გრაფიკი 5.6



წყარო: აწარმოე საქართველოში და ბიდიოს ანალიზი


ბენეფიციარების ანალიზი

ბენეფიციარების მიმოხილვა

სუბსიდიის მოცულობა ინდუსტრიების მიხედვით (ლარი)

გრაფიკი 5.7

100-ზე ბენეფიციარი, რომელზეც წინამდებარე შეფასება ამხვილებს ყურადღებას, მიეკუთვნება წარმოების კატეგორიას. ქვემოთ წარმოდგენილია მწარმოებლებზე გაცემული სუბსიდიების რეგიონალური განაწილება, ლარებში, 2018 წლის 30 სექტემბრისთვის:



37


'სხვა წარმოების' სექტორში გაერთიანებულია კომპანიები, რომელთა რაოდენობაც შედარებით მცირეა პროგრამის მონაწილეთა შორის და რომლებიც შემდეგი მიმართულებებით ფუნქციონირებენ: საგზაო ნიშნების, ხის ავეჯის, შინაური ცხოველების პროდუქციის, CO₂, თამბაქოსა და ლეიბების წარმოება.

წყარო: აწარმოე საქართველოში და ბიდიოს ანალიზი

ქვემოთ წარმოდგენილია ბენეფიციარების რაოდენობა სექტორებისა და მათი პროგრამაში ჩართვის წლების ჭრილობით:

ბენეფიციარების განაწილება სექტორების მიხედვით

გრაფიკი 5.8



წყარო: აწარმოე საქართველოში და ბიდიოს ანალიზი


ბენეფიციარების ანალიზი

ბენეფიციარების მიმოხილვა

ბენეფიციარები განსხვავდებიან მათი ამჟამინდელი ფუნქციონირების სტატუსითაც. საწარმოებში ჩვენს მიერ განხორციელებულ ვიზიტებსა და კომპანიების ფინანსურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბენეფიციარი კომპანიების უმეტესობა, ანგარიშის წარდგენის თარიღისთვის, არის ფუნქციონირებადი. თუმცა, რამდენიმე ბენეფიციარი კომპანიის ხელმძღვანელმა, თავისი ბიზნესი ლიკვიდაციის რისკის მქონეთა კატეგორიას მიაკუთვნა, ბაზარზე არსებული სირთულეებიდან გამომდინარე. რამდენიმე ბენეფიციარი კი, დღეის მდგომარეობით, აღარ ფუნქციონირებს და ეს ინფორმაცია, ამ კომპანიების ხელმძღვანელების მიერაც არის დადასტურებული.

შერჩეული 100 კომპანიის ბიზნეს-სტატუსი, ანგარიშის წარდგენის თარიღისთვის:

ფუნქციონირების სტატუსი



გრაფიკი 5.9

წყარო: აწარმოე საქართველოში და ბიდიოს ანალიზი

38

უნდა აღინიშნოს, რომ შერჩეული 100 ბენეფიციარიდან, მხოლოდ 85-მა მიიღო ჩვენს კვლევაში მონაწილეობა და ამათგან, 4-ს შეწყვეტილი აქვს ფუნქციონირება, ხოლო 2 ლიკვიდაციას აპირებს. აღსანიშნავია ისიც, რომ კვლევაში ჩართული 85 კომპანიიდან ყველას არ მოუწოდებია სრული ინფორმაცია და მათგან მხოლოდ ნაწილობრივი მონაცემების აღება მოხერხდა. საინტერესოა ისიც, რომ კვლევაში ჩართული კომპანიებიდან მხოლოდ 30 წარმოადგენს ახალ ბიზნესს (შემდგომში, 'სტარტაპი'), ხოლო დარჩენილი 65 არის არსებული ბიზნესი (შემდგომში, 'გაფართოება'), რომლებმაც პროგრამის დაფინანსება ბიზნესის გაფართოების მიზნებისთვის გამოიყენეს.

პროგრამაში ჩართვის შემდეგ, ბენეფიციარებს, პროგრამაში მონაწილეობის განმავლობაში, მოეთხოვებათ, წელიწადში ორჯერ, ანგარიშის წარდგენა მიღებული დაფინანსების გახარჯვაზე. თუმცა, პროგრამის დამთავრების შემდეგ, ბენეფიციარების საქმიანობის ან/და ფინანსური მაჩვენებლების შეფასების, ან მათი რაიმე გამოკითხვაში მონაწილეობის მიღების მავალდებულებელი მოთხოვნა არ არსებობს. შესაბამისად, წინამდებარე კვლევის პროცესში ჩართვა, ბენეფიციარებისთვის, ნებაყოფლობითი იყო და იმ კომპანიების რაოდენობა, რომლებმაც კვლევაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს, საკმაოდ დიდი აღმოჩნდა (15 ბენეფიციარი).

კვლევაში მონაწილე 85 ბენეფიციარისგან მიღებული ინფორმაციის განხილვა და დაჯგუფება მოხდა იმ პრინციპით, რომ საბოლოო ანალიზი და შედეგების შეფასება მიკროეკონომიკურ და მაკროეკონომიკურ ჭრილში რელევანტური, და ამასთანავე, მარტივად ხელმისაწვდომი ყოფილიყო. უფრო კონკრეტულად, მონაცემების ანალიზი მოხდა შემდეგ ასპექტებში:

- ბენეფიციარების მიერ შექმნილი მშპ მთლიანად და სექტორების მიხედვით
- ბენეფიციარების მიერ, წარმოებისთვის გამოყენებული რესურსები და მათი გასაღების ბაზარი
- იმპორტის ანალიზი, იმპორტირებული საქონლის ჩანაცვლება და ბენეფიციარების კონკურენტული უპირატესობები
- ბენეფიციარების მიერ განხორციელებული ინვესტიციები და მათი წილი ქვეყნის მთლიან ინვესტიციებში
- პროგრამის ფარგლებში დასაქმებულთა რაოდენობის და სახელფასო განაკვეთების შესახებ სტატისტიკური მაჩვენებლები
- პროგრამის ფარგლებში გადახდილი გადასახადების ანალიზი
- ბენეფიციარების ფინანსური მაჩვენებლები

ბენეფიციარების ანალიზი

ბენეფიციარების მიერ შექმნილი მშპ, პროგრამის ფარგლებში და მის გარეთ

ეროვნული ანგარიშთა სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტი, რომელიც კონკრეტული დროის განმავლობაში, ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე წარმოებული ყველა საბოლოო საქონლისა და მომსახურების მთლიანი საბაზრო ღირებულება.

მშპ-ის მოცულობა განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას; მაღალი მშპ სხვა მაჩვენებლების გაუმჯობესებაზეც მიუთითებს. მაგალითად, წარმოების მაღალი დონე ამცირებს უმუშევრობის დონეს და შესაბამისად, საშუალო ხელფასის მონაცემი იმატებს, რადგან თანამშრომლების ჩანაცვლება უფრო მწილდება და კომპანიებს შედარებით მაღალი ხელფასების გადახდა უწევთ. გაზრდილი ხელფასებისა და კომპანიის აქციონერების მიერ მიღებული უფრო მაღალი შემოსავლის შედეგად, შეიძლება მთლიანმა ეროვნულმა შემოსავალმაც იმატოს. შესაბამისად, მშპ-ის გამოთვლა ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკის სტატუსის შესაფასებლად.

მშპ მიმდინარე ფასში გამოითვლება საერთაშორისოდ აღიარებული სამი მიდგომის მიხედვით:

1. წარმოების მეთოდი
2. გამოყენების (დანახარჯების) მეთოდი
3. შემოსავლების მეთოდი

საერთაშორისო მეთოდოლოგიის (ეროვნულ ანგარიშთა სისტემა (ეას-93)) შესაბამისად, ეკონომიკური ოპერაციების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით, მიმდინარე საბაზრო ფასებში, შესაბამისად, მასთან შესაბამისობაში იქნება ბენეფიციარების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომელიც ასევე დარიცხვის მეთოდით არის წარმოებული.


გამოკითხულ ბენეფიციართა მიერ შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტის დათვლა მოხდა წარმოების მეთოდით, მეთოდისთვის საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე. ამ მეთოდის ფარგლებში, **მშპ-ის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა დამატებული ღირებულება**, რომელიც არის თანხის ის რაოდენობა, რასაც კომპანია ამატებს პროდუქციას, მისი მომხმარებლისთვის შეთავაზებამდე.

წინამდებარე ანგარიშში, მიკროეკონომიკურ დონეზე, შემოსავალი და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება, დამატებულ ღირებულებასთან ერთად, წლების მიხედვით, წარმოდგენილია 85 ბენეფიციარისთვის. შედეგი უჩვენებს, რომ მთლიანმა შემოსავალმა, 2012-2018 წლებისთვის, შეადგინა 1,309 მლნ ლარი, რეალიზებული საქონლის თვითღირებულებამ - 681 მლნ ლარი, ხოლო დამატებულმა ღირებულებამ - 639 მლნ ლარი. აღნიშნული ძირითადი მაჩვენებლები შეფასდა წლების ჭრილშიც.

აღსანიშნავია, რომ წარდგენილი მონაცემები აერთიანებს 4 კომპანიის მაჩვენებლებს, რომლებიც ფუნქციონირებდნენ 2015-2017 წლებში, მაგრამ მიმდინარე თარიღისთვის შეწყვეტეს საქმიანობა და 2 კომპანიის მონაცემებს, ფუნქციონირებადს 2015-2018 წლებში, მაგრამ მიმდინარე თარიღისთვის, ლიკვიდაციის რისკის ქვეშ მყოფებს. აღნიშნული ბენეფიციარების მონაცემები გრაფიკზე არ არის გამოყოფილი ცალკე, მათი არაარსებითი წილის გამო.

გრაფიკი 5.10

ბენეფიციარების ძირითადი ფინანსური ინდიკატორები, წლების მიხედვით (მლნ ლარი)



*არასრული წელი


წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

ბენეფიციარების ანალიზი

ბენეფიციარების მიერ შექმნილი მშპ, პროგრამის ფარგლებში და მის გარეთ პროგრამის ეფექტის შესაფასებლად, ანალიზის ერთ-ერთი გზა არის მთლიანი შემოსავლისა და დამატებული ღირებულების განხილვა, რეგიონალურ კონტექსტში. ბენეფიციარების მიერ მიღებულმა შემოსავალმა, მათი რეგისტრაციის ადგილზე დაყრდნობით, 2012-2018 წლებში, შეადგინა 1,309 მლნ ლარი:

ბენეფიციარების შემოსავალი რეგიონების მიხედვით

გრაფიკი 5.11



*არასრული წელი
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი


ბენეფიციარების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება, მათი რეგისტრაციის ადგილზე დაყრდნობით, 2012-2018* წლებში, შეადგენს 639 მლნ ლარს:

დამატებული ღირებულება ბენეფიციარების მიხედვით

გრაფიკი 5.12

- თბილისი
- სამეგრელო
- კახეთი
- შიდა ქართლი
- იმერეთი
- ქვემო ქართლი
- აჭარა
- მცხეთა-მთიანეთი

*არასრული წელი
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი




ბენეფიციარების ანალიზი

ბენეფიციარების მიერ შექმნილი მშპ, პროგრამის ფარგლებში და მის გარეთ

რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის გადანაწილება სტარტაპებსა და არსებული ბიზნესების გაფართოებებს შორის:

შემოსავალი ბიზნეს სტატუსის მიხედვით

გრაფიკი 5.13




41 *არასრული წელი
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

2012-2018* წლებში, ბენეფიციარების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების გადანაწილება სტარტაპებსა და არსებული ბიზნესების გაფართოებებს შორის:

დამატებული ღირებულება ბიზნეს სტატუსის მიხედვით

გრაფიკი 5.14



ბენეფიციარების მიერ მიღებული მთლიანი შემოსავალი აჭარბებს მილიარდ ლარს, ხოლო დამატებული ღირებულება - 0.5 მილიარდ ლარს, თუმცა, უფრო დიდი წილი მოდის არსებული ბიზნესების გაფართოებაზე, ვიდრე სტარტაპებზე. შესაბამისად, ამ მაჩვენებლების შექმნაში მონაწილეობს როგორც პროგრამა, ისე კომპანიების მიერ განხორციელებული სხვა ინიციატივები.

*არასრული წელი
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

ბენეფიციარების ანალიზი


ბენეფიციარების მიერ შექმნილი მშპ პროგრამის ფარგლებში და მის გარეთ, სამეორულ ჭრილში

ქვემოთ წარმოდგენილია პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სხვადასხვა სექტორისა და პროდუქტის ანალიზი, მათ დამატებულ ღირებულებასთან ერთად, 2012-2018 წლებისთვის:

ლითონები

საქართველოში უკვე არსებული ბაზარი ლითონის წარმოებისა და დამუშავებისათვის, სხვადასხვა სახეობის ლითონის პროდუქტს მოიცავს: ლითონის ჩარჩოები, ფოლადის სამშენებლო მასალები, ფოლადის მილები, ლითონის ავეჯი და სხვა. იმ ბენეფიციარებს, რომლებიც ამ სფეროში ფუნქციონირებენ, პროგრამის ფარგლებში, დამატებით ახალი პროდუქცია არ შეუქმნიათ, თუმცა, ინვესტიციები ჩადეს უკვე არსებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში, რისთვისაც შეიძინეს ახალი და გაუმჯობესებული დანადგარები. ჯამურად, პროგრამის ბენეფიციართაგან, 5 მუშაობს ლითონის წარმოების მიმართულებით.


ლითონების რეგიონალური განაწილება დამატებული ღირებულების მიხედვით (ლარი)



წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

პლასტმასის რეგიონალური განაწილება დამატებული ღირებულების მიხედვით (ლარი)

გრავიკი 5.16



პლასტმასი

პლასტმასის წარმოება მოიცავს პლასტმასის მილების, პოლიეთილენის ნაწარმის, საკვების შესაფუთი მასალების, ღრუბლების და მსგავსი პროდუქტის წარმოებას.

პროგრამის დაწყების შემდეგ, პლასტმასის 9 მწარმოებლიდან, უმეტესობამ, ძირითადად, ხარისხისა და რაოდენობის გაუმჯობესება და გაზრდა მიიჩნია პრიორიტეტად, ხოლო ერთმა შექმნა ახალი პროდუქტი, რომლის წარმოება საქართველოს მასშტაბით, ერთდერთია.

წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

ბენეფიციარების ანალიზი

ბენეფიციარების მიერ შექმნილი მშპ პროგრამის ფარგლებში და მის გარეთ, სექტორულ შრილში


საკვები და სასმელი

საკვების და სასმელის სექტორი მოიცავს პროდუქციის ფართო სპექტს, როგორც გაყინული ნახევარფაბრიკატების დისტრიბუციას საკონდიტროებში, ასევე ყავის, ნაყინის, სოსისის, ლუდის და არაალკოჰოლური სასმელების წარმოებას.

პროგრამის დაწყების შემდეგ, **14 ბენეფიციარს**, რომლებიც საკვებისა და სასმელის სექტორში არიან ჩართულნი, ახალი პროდუქცია არ დაუმატებიათ, თუმცა, ერთ-ერთმა, არსებული პროდუქციის ხაზი ორად გაყო და დღესდღეობით, აწარმოებს ორ ხაზს - მაღალი და შედარებით დაბალი ხარისხის პროდუქციას.

საკვები და სასმელის რეგიონალური განაწილება, დამატებული ღირებულების მიხედვით (ლარი)

გრაფიკი 5.17



წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი


სამშენებლო მასალების რეგიონალური განაწილება, დამატებული ღირებულების მიხედვით (ლარი)

სამშენებლო მასალები

სამშენებლო მასალების სექტორი მოიცავს აგურის, ბუნებრივი ქვების, ბეტონისა და ცემენტის, სარკის, ხისა და რკინის კარების, მინის და ა.შ. წარმოებას.

პროგრამაში ჩართული **ბენეფიციარებიდან** ყველაზე მეტი, **18**, სწორედ ამ სექტორში ფუნქციონირებს. ბენეფიციარებთა მაღალი რაოდენობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ამ სექტორში რამდენიმე სახის ინოვაცია იყო წარმოდგენილი. მაგალითად, მრგვალ კიდეებიანი აგურები, მინაზე პრინტი, დაციტის ქვების დეკორატიული გამოყენება და სხვა.

გრაფიკი 5.18



წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

ბენეფიციარების ანალიზი

ბენეფიციარების მიერ შექმნილი მშპ პროგრამის ფარგლებში და მის გარეთ, სექტორულ ჟრილში


ტანსაცმელი და ტექსტილი

2 ბენეფიციარი, რომელიც ტანსაცმელისა და ტექსტილის სექტორში არის ჩართული, ძირითადად, ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელს აწარმოებს. მათ, პროგრამაში ჩართვის შემდეგ, ახალი პროდუქცია არ დაუმატებიათ, თუმცა, საგრძნობლად გააუმჯობესეს არსებული პროდუქციის ხარისხი.

ტანსაცმელი და ტექსტილის რეგიონალური განაწილება, დამატებული ღირებულების მიხედვით (ლარი)

გრაფიკი 5.19

■ იმერეთი
■ ქვემო ქართლი



წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

44

ფარმაცევტული და ქიმიური წარმოება


ფარმაცევტული და ქიმიური წარმოების მიმართულებით საქმიანობს პროგრამაში ჩართული 4 ბენეფიციარი. ეს მიმართულება მოიცავს სასუქების და მედიკამენტების წარმოებას, იშვიათი მცენარეების მოპოვებასა და დამუშავებას, მათგან აქტიური ფარმაცევტული ინგრედიენტის მოპოვების მიზნით. კიდევ ერთი გამორჩეული პროდუქტი არსებულ ბაზარზე, სისხლის ბანკი და პლაზმა ცენტრია, რომელიც თბილისში მდებარეობს და ერთმნიშვნელოვნად ექსპორტზეა ორიენტირებული.

'აწარმოე საქართველოში' პროგრამაში ჩართვის შემდეგ, ბენეფიციარებს, ფარმაცევტული და ქიმიური წარმოების მიმართულებით, არ დაუნერგავთ ახალი პროდუქტი, თუმცა, გააუმჯობესეს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და მოცულობა.

ფარმაცევტული და ქიმიური წარმოების რეგიონალური განაწილება, დამატებული ღირებულების მიხედვით (ლარი)

გრაფიკი 5.20

■ თბილისი
■ ქვემო ქართლი



წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

ბენეფიციარების ანალიზი

ბენეფიციარების მიერ შექმნილი მშპ პროგრამის ფარგლებში და მის გარეთ, სექტორულ შრილში


ქალაქი და შეფუთვა

ქალაქის და შეფუთვის სექტორი მოიცავს როგორც გამომცემლობებსა და სტამბებს, ასევე ღვინის ეტიკეტებისა და ქალაქის ჩანთების მწარმოებელ კომპანიებს. მიუხედავად იმისა, რომ სექტორში არსებული ბენეფიციარების რაოდენობა არის 9, მხოლოდ რამდენიმე ახალი პროდუქტი - ქალაქის ჭიქები და ქალაქის არამოქსოვადი ჩანთები - იქნა წარმოდგენილი პროგრამაში ჩართვის შემდეგ.

ქალაქის და შეფუთვის რეგიონალური განაწილება, დამატებული ღირებულების მიხედვით (ლარი)

გრაფიკი 5.21

45



წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

ხის გადამამუშავება


ხის გადამამუშავება მოიცავს როგორც ხის ბრიკეტების, ასევე ხის ავეჯისა და განათების წარმოებას. პროგრამის დაწყების შემდეგ, ბაზარზე არ გამოჩენილა ახალი პროდუქტი ან გაუმჯობესებული პროდუქცია, თუმცა, გაიზარდა წარმოებული პროდუქციის რაოდენობა.

აღნიშნული სექტორი აერთიანებს მხოლოდ 2 ბენეფიციარს.

ხის გადამამუშავების რეგიონალური განაწილება, დამატებული ღირებულების მიხედვით (ლარი)

გრაფიკი 5.22

■ კახეთი
■ მცხეთა-მთიანეთი



წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

ბენეფიციარების ანალიზი


ბენეფიციარების მიერ შექმნილი მშპ პროგრამის ფარგლებში და მის გარეშე, სექტორულ ფონტში

ელექტრო ტექნიკა

ელექტრო ტექნიკა შედარებით ახალი სექტორია საქართველოს ბაზარზე და პროგრამის ფარგლებში, შესაბამისად, მხოლოდ 4 ბენეფიციარია ამ სექტორში წარმოდგენილი. პროდუქცია მოიცავს ცვალეზად და ფიქსირებულ ელექტროდებს, ასევე სპილენძისა და ალუმინის კაბელებს. ახალი პროდუქციის რიგებს მხოლოდ მაღალი და დაბალი ძაბვის საჭარო კაბელები შეემატა.

ელექტრო ტექნიკის რეგიონალური განაწილება, დამატებული ღირებულების მიხედვით (ლარი)

გრაფიკი 5.23



46


წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

სხვა წარმოება

სხვა წარმოების კატეგორია მოიცავს თამბაქოს, საგზაო ნიშნების, CO₂-ის და სხვა წარმოებებს. 2014 წლიდან, სექტორში არსებულ 5 ბენეფიციარ კომპანიას ახალი პროდუქცია არ დაუმატებია, თუმცა, რამდენიმე წარმოების მოცულობა გაზარდა.

სხვა წარმოების რეგიონალური განაწილება, დამატებული ღირებულების მიხედვით (ლარი)

გრაფიკი 5.24




წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

ბენეფიციარების ანალიზი

ბენეფიციარების მიერ შექმნილი მშპ-ის გავლენა ქვეყნის მშპ-ზე

ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტზე პროგრამის გავლენის ეფექტის შეფასება გულისხმობს ბენეფიციარების მიერ შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების შედარებას, ქვეყნის მიერ შექმნილ მთლიან დამატებულ ღირებულებასთან, წლების ჭრილობში. უნდა აღინიშნოს, რომ რადგან კომპანიები აღრიცხვას მიმდინარე ფასებში აწარმოებენ, შედარებაც გაკეთდა ნომინალურ მშპ-სთან.

ბენეფიციარების მიერ შექმნილი მშპ-ის წილი ქვეყნის მშპ-ში, 2012-2017 წლებში




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

პროგრამის ეფექტიანობა შეიძლება განსხვავებული იყოს სექტორების მიხედვით, რადგან გაცემული სუბსიდიების რაოდენობა, სექტორების მიხედვით, პროპორციული არ არის. აქედან გამომდინარე, რეალური შედეგის გასაგებად, საჭიროა სექტორების ჭრილობში გაანალიზებაც. ბენეფიციარების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების წილები ქვეყნის მთლიან მშპ-ში, შესაბამისი სექტორების მიხედვით, მოცემულია შემდეგ გრაფიკზე:

ბენეფიციარების მიერ შექმნილი მშპ-ის წილი ქვეყნის მთლიან მშპ-ში, სექტორების ჭრილობში

გრაფიკი 5.26



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი


ბენეფიციარების ანალიზი

ბენეფიციარების მიერ, პროგრამის ფარგლებში შექმნილი მშპ

როგორც წინა ქვეთავებში იყო განხილული, ბენეფიციარების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების მაჩვენებელი 0.5 მილიარდ ლარს ცდება, თუმცა, ეს მონაცემი არ გამოხატავს მხოლოდ პროგრამის მონაწილეობის ეფექტს, რადგან ბენეფიციარების 60% არსებული ბიზნესის გაფართოებას წარმოადგენს, და არა სტარტაპს. გაფართოების სტატუსის მქონე ბიზნესებისთვის, პროგრამის წილი, კომპანიის მთლიან აქტივებში, მხოლოდ ნაწილია და შესაბამისად, ასეთი კომპანიის ჯამური მაჩვენებლები უნდა დაკორექტირდეს იმგვარად, რომ მოხდეს პროგრამის წილის რაციონალური გამიჯვნა. ამ მიზნებისთვის, 2014 წლიდან მოყოლებული, პროგრამის ფარგლებში მიღებული სესხები შევუფარდეთ კომპანიის მთლიან აქტივებს და მიღებული კოეფიციენტი, კორექტირებისთვის, მივუყენეთ გაფართოებული ბიზნესის მაჩვენებლებს, იმ დაშვებით, რომ აღნიშნული თანაფარდობა პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ინვესტიციების კომპანიების ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის პროპორციულია.

ბენეფიციარების მიერ, პროგრამის ფარგლებში შექმნილი მშპ (მლნ ლარი)


გრაფიკი 5.27



*არასრული წელი
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

ბენეფიციარების მიერ, პროგრამის ფარგლებში შექმნილი 2014-2018* (მლნ ლარი)

გრაფიკი 5.28



ინფორმაციის მომწოდებელ ბენეფიციართა რაოდენობა განსხვავებულია წარდგენილ წლებში, რადგან პროგრამაში მათი ჩართვა ეტაპობრივად ხდებოდა.


*არასრული წელი
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

ბენეფიციარების ანალიზი

ბენეფიციარების მიერ, პროგრამის ფარგლებში შექმნილი მშპ-ის გავლენა ქვეყნის მშპ-ზე

პროგრამის ფარგლებში შექმნილი მშპ-ის ქვეყნის მშპ-ზე პირდაპირი ეფექტის დასადგენად, შეფასება გაკეთდა ზემოთ მოყვანილი კორექტირების გამოყენებით:

პროგრამის ფარგლებში შექმნილი დაკორექტირებული მშპ-ის წილი ქვეყნის მშპ-ში 2014-2017 წლებში



წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

კიდევ ერთი მეთოდი, რომელიც ბენეფიციარების მიერ შექმნილ მშპ-ზე, პროგრამის ფარგლებში მიღებული სუბსიდიების ეფექტის დასადგენად გამოიყენება, არის წრფივი რეგრესიული ანალიზი. ამ მიზნით, გამოვიყენეთ 68 ბენეფიციარის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. სუბსიდია გათვალისწინებული იყო როგორც დამოუკიდებელი ცვლადი, ხოლო შექმნილი დამატებული ღირებულება - დამოკიდებული ცვლადი. მოდელი შეიქმნა იმისთვის, რომ გამოგვევლინა ბენეფიციარებზე გაცემული სუბსიდიების როლი მათ მიერ გენერირებულ მშპ-ში, შესაბამისად, მხოლოდ ერთი დამოუკიდებელი ცვლადი იქნა გამოყენებული და შეფასებისთვის მისადაგებულ იქნა უმცირეს კვადრატთა მეთოდი.

წრფივმა რეგრესიამ აჩვენა, რომ კორელაცია შექმნილ მშპ-სა და გაცემულ სუბსიდიებს შორის არის 0.32, რაც, ზოგადად, არ მიუთითებს მაღალი დონის ურთიერთდამოკიდებულებაზე. სტანდარტულმა გადახრამაც აჩვენა, რომ მოდელი არ გვაძლევს სანდო შეფასებებს, რადგან დამოკიდებული ცვლადი იცვლება იმ სხვადასხვა ფაქტორზე დაყრდნობით, რომელსაც მოდელი არ მოიცავს. მოდელის დეტალური ანალიზი წარმოდგენილია დანართ 2-ში.

ზემოთ მოყვანილი რიცხობრივი ანალიზი გვიჩვენებს, რომ პროგრამის ფარგლებში შექმნილი მშპ-ის წილის სიმცირის მიუხედავად, ის მზარდია. თუმცა, ეს ზრდა არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ გაცემული სუბსიდიების შედეგად. როგორც რეგრესიის ანალიზი გვიჩვენებს, მშპ დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე და მხოლოდ სუბსიდია ვერ იმოქმედებს მნიშვნელოვნად ეკონომიკაზე, თუ სხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებსაც არ შეაქვთ გარკვეული წვლილი სოციალური კეთილდღეობის ზრდაში.

ბენეფიციარების ანალიზი


ბენეფიციარების მიერ წარმომებაში გამოყენებული რესურსები

მიუხედავად იმისა, რომ წარმომებული პრდუქციის მაღალი დონე ერთი შეხედვით მიუთითებს ეკონომიკის ზრდაზე, თუ შუალედური მოხმარება ძირითადად იმპორტირებული საქონლისგან შედგება, ქვეყანაში რეალურად შექმნილი დამატებული ღირებულება გაცილებით ნაკლები იქნება.

იმპორტირებული ნედლეულისა და აგილობრივი ნედლეულის გადანაწილების დადგენის მიზნით, გაკეთდა თითოეული სექტორის შესყიდვების ანალიზი. ქვეყნები, საიდანაც ბენეფიციარები ნედლეულს იძენენ:

იმპორტიორი ქვეყნები*, სექტორების ჭრილში

გრაფიკი 5.30



- ელექტრო ტექნიკა
- ლითონები
- პლასტმასი
- საკვები და სასმელი
- სამშენებლო მასალები
- ფარმაცევტული და ქიმიური წარმოება
- ქაღალდი და შეფუთვა
- სხვა წარმოება

ტანსაცმლისა და ტექსტილის და ხის დამუშავების სექტორებში კონკრეტული ქვეყნები არ დასახელებულა.

*გრაფიკზე გამოსახული ფერები აღნიშნავს მხოლოდ სექტორების რაოდენობას, რომლებიც იმპორტს ახდენენ მოცემული ქვეყნებიდან, და არ უჩვენებს იმპორტის მოცულობას.
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი


ბენეფიციარების ანალიზი

ბენეფიციარების მიერ წარმოებაში გამოყენებული რესურსები

როგორც ზემოთ მოყვანილ ცხრილში ჩანს, იმპორტი, ყველაზე ხშირად, თურქეთიდან და ჩინეთიდან ხორციელდება. ნედლეულის წარმოშობის წყაროების უფრო დეტალური შეფასება მოხდა ადგილობრივ და იმპორტულ ბაზრებს შორის ანალიზით.

წარმოებაში გამოყენებული რესურსების მიმოხილვა

გრაფიკი 5.31



წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

ბენეფიციარების ანალიზი

ექსპორტის შედეგები

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე, მითუმეტეს, იმ პირობებში, როდესაც იმპორტის მოცულობა დიდია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პროდუქციის თუ მომსახურების ექსპორტი. ამ ჭრილში, ჩვენს მიერ გაანალიზებულ იქნა 85 ბენეფიციარის გაყიდვები, ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრების მიხედვით:

გრაფიკი 5.32




წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

52

2013-2018* წლებში, აღნიშნული ბენეფიციარების საექსპორტო გაყიდვებიდან მიღებულმა შემოსავალმა, 311 მლნ ლარი შეადგინა:

ექსპორტის მოცულობა (მლნ ლარი)

გრაფიკი 5.33



ინფორმაციის მომწოდებელი
ბენეფიციართა რაოდენობა

*არასრული წელი
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი


ბენეფიციარების ანალიზი

ექსპორტის შედეგები

ბენეფიციარების მიერ მიღებული შემოსავალი ექსპორტიდან, მათი ბიზნეს-სტატუსის მიხედვით:

ექსპორტი ბიზნეს-სტატუსის მიხედვით

გრაფიკი 5.34



წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი


ექსპორტის გაანალიზება მოხდა ასევე სექტორულ ჭრილშიც, რადგან ზოგიერთ ბაზარზე პროდუქტის გატანა უფრო მარტივია, ვიდრე სხვებზე. აღსანიშნავია, რომ ბენეფიციარების მიერ ექსპორტირებული პროდუქციის 99% მოდის მხოლოდ 4 სექტორზე:

მირითადი ექსპორტიორი სექტორი

გრაფიკი 5.35

*შინაური ცხოველების პროდუქცია 'სხვა წარმოების' სექტორში არის გაერთიანებული და მოცემულ შემთხვევაში, გამოყოფილ იქნა მნიშვნელოვანი წილიდან გამომდინარე.

წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი



ფარმაცევტული და ქიმიური წარმოების სექტორის პროდუქცია ექსპორტზე გადის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: დიდი ბრიტანეთი, ერაყი, უზბეკეთი, ასევე, მეზობელ ქვეყნებშიც: რუსეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი. ლითონები გადის შემდეგ ქვეყნებში: იაპონია, შვეიცარია, ტაილანდი და ა.შ. ტანსაცმელსა და ტექსტილზე ორიენტირებულ კომპანიებს პროდუქცია უფრო ევროპულ ქვეყნებში გააქვთ, მაგალითად, გერმანია და იტალიაში. ხოლო შინაურ ცხოველთა პროდუქცია მოიცავს ექსპორტს საფრანგეთში, პოლანდიაში, პოლონეთში, ბელგიაში და ა.შ.

ექსპორტის ანალიზით შეგვიძლია დავინახოთ, რომ ბენეფიციარებს თავიანთი პროდუქტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში წარმატებით გააქვთ, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ მხოლოდ რამდენიმე სექტორი არის ამ მხრივ უფრო აქტიური და დანარჩენები, ამ კუთხით, კვლავ განვითარების ეტაპზე არიან.

ბენეფიციარების ანალიზი


კონკურენცია და იმპორტის ჩანაცვლება

კონკურენცია ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის კონკრეტულ სექტორებში ზრდას, რადგან თავისუფალი კონკურენცია წინ წევს ხარისხიანი საქონლისა და მომსახურების, ასევე, ფასების რეგულაციის საკითხებს. ის ხელს უწყობს ინოვაციებს, პროდუქტის გაუმჯობესებას და საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობას. საქართველოს სავაჭრო ბალანსი უარყოფითია, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის იმპორტი მის ექსპორტს აღემატება. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ გარკვეულ სექტორებში იმპორტული პროდუქციის ჩანაცვლება რთულია.

გამოკითხული 80 ბენეფიციარიდან 54% მიიჩნევს, რომ მათი მთავარი კონკურენტები ადგილობრივი მწარმოებლები არიან, დანარჩენი 46%-ის აზრით კი, საქართველოს ბაზარზე, მათ მთავარ კონკურენტს იმპორტული პროდუქციის შემომტანები წარმოადგენენ.

ბენეფიციარების პასუხი ბაზარზე კონკურენციასთან დაკავშირებით

გრაფიკი 5.36



■ იმპორტული პროდუქცია ■ ადგილობრივი პროდუქცია

80 ბენეფიციარის მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, რომელთაგანაც 2 კომპანია დახურულია, ხოლო 2 ლიკვიდაციის რისკის ქვეშაა.

წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

არსებული სექტორების კონკურენტუნარიანი გარემოს გათვალისწინებით, ელექტრო ტექნიკის, ლითონის, პლასტმასისა და ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენელთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ მათ სექტორში იმპორტულ საქონელს დიდი წილი უჭირავს და შესაბამისად, მათ მიიჩნევენ მთავარ კონკურენტებად. ადგილობრივი პროდუქციასთან შედარებით, იმპორტული პროდუქტის ფასი უფრო დაბალია და არჩევანიც უფრო ფართო. ქართულ ბაზარზე ბენეფიციარები თავის უპირატესობად პროდუქციის მაღალ ხარისხს მიიჩნევენ. ხარისხზე ორიენტირება კი უფრო მეტ სახსრებს მოითხოვს, სწორედ ამიტომ, ადგილობრივი პროდუქცია უფრო ძვირია ბაზარზე, ვიდრე იმპორტული.


პროგრამის 'აწარმოე საქართველოში' ფარგლებში, ბენეფიციარების უმეტესობა წარმოდგენილია საკვებისა და სასმელის და სამშენებლო მასალების სექტორებში. ამ ორ სექტორში შიდა კონკურენციის წილი მაღალია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს მიმართულება ანაცვლებს იმპორტულ პროდუქციას და ზრდის შიდა კონკურენციას.

ბენეფიციარების ანალიზი

კონკურენცია და იმპორტის ჩანაცვლება

ბენეფიციარების ძირითადი კონკურენტები ადგილობრივი წარმოების და იმპორტის ჭრილში

გრაფიკი 5.37



55

80 ბენეფიციარის მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, რომელთაგანაც 2 კომპანია დახურულია, ხოლო 2 ლიკვიდაციის რისკის ქვეშაა.

წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი


ბენეფიციარების ანალიზი

კონკურენცია და იმპორტის ჩანაცვლება

პროგრამის ფარგლებში, წარმოების ფარგლების ზრდის, ხარისხის გაუმჯობესების და მრავალფეროვანი და სწრაფი მიწოდების გათვალისწინებით, ბენეფიციართა 66% თვლის, რომ მათმა პროდუქციამ საქართველოს ბაზარზე ჩანაცვლა იმპორტული საქონელი, 23% თვლის, რომ მათ ვერ მოახერხეს იმპორტის ჩანაცვლება, ხოლო დარჩენილ 11%-ს იმპორტის ჩანაცვლებაზე მოსაზრება არ გააჩნია.

ბენეფიციარების მოსაზრება იმპორტის ჩანაცვლებაზე

გრაფიკი 5.38



56

80 ბენეფიციარის მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, რომელთაგანაც 2 კომპანია დახურულია, ხოლო 2 ლიკვიდაციის რისკის ქვეშაა.

წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი



ბენეფიციარების ანალიზი


ბენეფიციარების კონკურენტული უპირატესობა

კონკურენტული უპირატესობა წარმოადგენს კომპანიის უნიკალურ შესაძლებლობას, გამოიყენოს საკუთარი რესურსები უფრო ეფექტურად და მომხმარებელს შესთავაზოს პროდუქცია, რომელიც გამორჩეული იქნება დაბალი ფასით, მაღალი ხარისხით ან სხვა თვისებრივი უპირატესობით, რაც ბიზნესს საშუალებას მისცემს, მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა.

ბენეფიციარების პასუხებზე დაყრდნობით, თვისებები, რომლებიც კომპანიებს კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს, დაჯგუფებულია სექტორების ჭრილში შემდეგნაირად:

ბენეფიციარების კონკურენტული უპირატესობები

გრაფიკი 5.39



- ხარისხი
- უნიკალურობა
- სისუფთავე
- მდებარეობა
- დრო
- წარმოების მეთოდოლოგია
- ფასი
- დიზაინი
- მრავალფეროვნება
- გამოცდილება
- გემოვნება

80 ბენეფიციარის მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, რომელთაგანაც 2 კომპანია დახურულია, ხოლო 2 ლიკვიდაციის რისკის ქვეშაა.

წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

ბენეფიციარების ანალიზი

ბენეფიციარების მიერ განხორციელებული ინვესტიციები


შიდა ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია; მას თანაფარდობაში მოჰყავს სხვადასხვა ეკონომიკური ცვლადები. ინვესტიციები უშუალო გავლენას ახდენენ მშპ-ზე, მათ შეუძლიათ, გაზარდონ წარმოებისას შექმნილი დამატებული ღირებულება და ასევე, გავლენა იქონიონ გადასახადებსა და უმუშევრობაზე. ანგარიშის ამ ნაწილის მთავარი მიზანია, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების ანალიზის წარდგენა, სხვადასხვა ჭრილში.

ბენეფიციარების მიერ გაწეული ინვესტიციები მოიცავს ინვესტიციებს, რომლებიც გაწეულია როგორც პროგრამის ფარგლებში მიღებული სესხებიდან, ისე ბენეფიციარი კომპანიების მიერ მიღებული სხვა სესხებიდან და კაპიტალში შენატანებიდან, იმ დაშვების საფუძველზე, რომ ვინაიდან პროგრამის ფარგლებში აღებული სესხის 80% მიმართული იყო ძირითადი საშუალებების შესაძენად, სხვა სესხებიც და კაპიტალში შენატანებიც წარმოადგენს გრძელვადიან ინვესტიციას. ამ დაფინანსების განსხვავებული წყაროების უკეთ გასაანალიზებლად, გამოიკითხა 85 ბენეფიციარი, რომელთაგან 2 კომპანიამ ვერ შეძლო სესხის ზუსტი მოცულობის მოწოდება შიდა სააღრიცხვო სისტემის არქონის გამო, ხოლო 5-მა უარი განაცხადა ინფორმაციის მოწოდებაზე.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ინვესტიციები მოცემულია ლარში და უცხოური ვალუტებიდან გადმოყვანილია ეროვნულ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ვალუტის წლიურ საშუალო კურსზე დაყრდნობით, იმ წლის გათვალისწინებით, რომელშიც სესხი გაიცა.

ბენეფიციარების მიერ განხორციელებული ინვესტიციები 2014-2018* წლებში (ლ)

გრაფიკი 5.40



წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი


გაფართოებისა და სტარტაპის სტატუსის მქონე კომპანიებისთვის, პროგრამის ფარგლებში მიღებული სესხების გადანაწილება 31%-69%-ზეა, ხოლო მფლობელების მიერ აღებული სხვა სესხი და კაპიტალში შენატანები 18%-82%-ზე.

ბენეფიციარების ანალიზი

ბენეფიციარების მიერ განხორციელებული ინვესტიციები

პროგრამის ფარგლებში აღებული სესხები, ბიზნეს სტატუსის მიხედვით, 2014-2018* წლებში (ლარი)

გრაფიკი 5.41



■ სტარტაპი
■ გაფართოება

გრაფიკზე ასახული მონაცემები, სტარტაპის შემთხვევაში, ეყრდნობა 29 ბენეფიციარის ინფორმაციას, სადაც 2 ბენეფიციარი არის ლიკვიდაციის რისკის ქვეშ და 3-მა ბენეფიციარმა შეწყვიტა ფუნქციონირება 2017-2018 წლებში.

გაფართოების შემთხვევაში, მონაცემები ეყრდნობა 54 ბენეფიციარის ინფორმაციას, სადაც 1-მა ბენეფიციარმა შეწყვიტა ფუნქციონირება 2018 წელს.


იმ ბენეფიციარების მონაცემებს, რომლებიც აღარ ფუნქციონირებენ და არიან ლიკვიდაციის რისკის ქვეშ, არ აქვთ არსებითი გავლენა ინვესტიციის მოცულობაზე.

*არასრული წელი

წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

ბენეფიციარების მიერ პროგრამის მიღმა აღებული სესხები და განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციები ბიზნეს სტატუსის მიხედვით, 2014-2018* წლებში (ლარი)

გრაფიკი 5.42



■ სტარტაპი
■ გაფართოება

გრაფიკზე ასახული მონაცემები, სტარტაპის შემთხვევაში, ეყრდნობა 29 ბენეფიციარის ინფორმაციას, სადაც 2 ბენეფიციარი არის ლიკვიდაციის რისკის ქვეშ და 3-მა ბენეფიციარმა შეწყვიტა ფუნქციონირება 2017-2018 წლებში.

გაფართოების შემთხვევაში, მონაცემები ეყრდნობა 51 ბენეფიციარის ინფორმაციას, სადაც 1-მა ბენეფიციარმა შეწყვიტა ფუნქციონირება 2018 წელს.

იმ ბენეფიციარების ინფორმაციას, რომლებიც აღარ ფუნქციონირებენ და არიან ლიკვიდაციის რისკის ქვეშ, არ აქვთ არსებითი გავლენა ინვესტიციის მოცულობაზე.

*არასრული წელი

წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი


ბენეფიციარების ანალიზი

ბენეფიციარების მიერ განხორციელებული ინვესტიციები

'წარმოე საქართველოში' პროგრამის ანალიზისას, 11 მთავარი სექტორი გამოიკვეთა, რომლებიც პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა. სუბსიდირებული სესხების მოცულობაზე დაყრდნობით, საკვების და სასმელის და სამშენებლო მასალების სექტორები უფრო მეტად ფინანსდება პროგრამის ფარგლებში, ვიდრე სხვა სექტორები:

დაფინანსებული სექტორები

გრაფიკი 5.43



ინფორმაციის მომწოდებელ ბენეფიციართა შორის, 2 არის ლიკვიდაციის რისკის ქვეშ მყოფი, ხოლო 4-მა შეწყვიტა ფუნქციონირება 2017-2018 წლებში. არც ერთ მათგანს არ აქვს არსებითი გავლენა პროგრამის ჯამური სესხის მოცულობაზე.

წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი


ბენეფიციარების ანალიზი

ბენეფიციარების მიერ განხორციელებული ინვესტიციები

სუბსიდირებული სექტორებისგან განსხვავებით, კომპანიის მიერ მოპოვებული დაფინანსების სხვა წყაროების (დამფუძნებლების შენატანები და სხვა სესხები) ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირებულია ფარმაცევტულ და ქიმიური წარმოების სექტორში და შეადგენს 39,250,444 ლარს (მონაცემები მიღებულია შერჩეული 5 ბენეფიციარისგან):

2014-2018* წლების მთლიანი ინვესტიციები სექტორების ჭრილში, სტარტაპებისა და გაფართოებისთვის, ერთობლივად, (ათასი ლარი)

გრაფიკი 5.44




*არასრული წელი
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

ბენეფიციარების ანალიზი

ბენეფიციარების მიერ განხორციელებული ინვესტიციები

მთლიანი ინვესტიციები სექტორების მიხედვით სტატისტიკისთვის, 2014-2018 წლებში (ათასი ლარი)

გრაფიკი 5.45




სექტორები - ხის გადამამუშავება, სამშენებლო მასალები და ლითონები - მოიცავს 1-1 ბენეფიციარის ინფორმაციას, რომლებიც აღარ ფუნქციონირებენ 2017-2018 წლებში. მათ არაარსებითი გავლენა აქვთ მთლიან ინვესტიციაზე.

სექტორები - ელექტრო ტექნიკა და ლითონები - მოიცავს 1-1 ბენეფიციარის ინფორმაციას, რომლებიც არიან ლიკვიდაციის რისკის ქვეშ. არც ერთ მათგანს არ აქვს არსებითი გავლენა მთლიან ინვესტიციაზე.

*არასრული წელი
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

მთლიანი ინვესტიციები სექტორების მიხედვით გაფართოებებისთვის, 2014-2018 წლებში (ათასი ლარი)

გრაფიკი 5.46



ტანსაცმლისა და ტექსტილის სექტორი მოიცავს 1 ბენეფიციარის ინფორმაციას, რომელიც აღარ ფუნქციონირებს 2018 წელს. მას არაარსებითი გავლენა აქვს მთლიან ინვესტიციაზე.

*არასრული წელი
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

ბენეფიციარების ანალიზი


პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მთლიანი ინვესტიციის წილი ქვეყნის მთლიან შიდა ინვესტიციებში

ქვეყნის მთლიანი შიდა ინვესტიციები გამოქვეყნებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარდგენილ ანგარიშში - 'ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები'. იმისათვის, რომ გავიგოთ პროგრამის ფარგლებში მიღებული სესხების წილი მთლიან შიდა ინვესტიციებში, პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხები შედარდა 2014-2018 წლებში (2018 წლის მონაცემი არის მოსალოდნელი), ქვეყნის ჭრილში განხორციელებულ მთლიან შიდა ინვესტიციებს. რადგან ბენეფიციარი კომპანიების მიერ განხორციელებული ყველა ინვესტიცია იყო შიდა, შედარების მიზნებისთვის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გამოირიცხა ქვეყნის შიდა ინვესტიციებიდან.

შიდა ინვესტიცია 2014-2018* წლებში (მლნ ლარი)

გრაფიკი 5.47

63



*არასრული წელი
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

ბენეფიციარების ანალიზი


კვლევა და მონიტორინგი

საინტერესოა ასევე, გაანალიზდეს, პროგრამაში ჩართვის შემდეგ, განახორციელეს თუ არა ბენეფიციარებმა, თავიანთი სახსრებით, რაიმე სახის რელევანტური კვლევები ისეთ თემებზე, რომლებიც დაეხმარებოდა მათ, შეენარჩუნებინათ მაღალი კონკურენტუნარიანობა, მათი ზომის, კლიენტების ბაზის სიმდიერისა და ბიზნეს სტატუსის მიუხედავად.

პროგრამის პირველ ეტაპზე, როდესაც პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, ბენეფიციარებს მოეთხოვებოდათ მათი პოტენციური ბიზნესის შესახებ ფინანსური ინფორმაციის წარდგენა, ბენეფიციარებმა ბიზნეს-გეგმები და ბაზრის ანალიზი მოამზადეს მესამე პირების ჩარევის გარეშე. ცოტა მოგვიანებითაც, როდესაც კომპანიები გადაწყვეტილებას იღებდნენ გაფართოების ან ახალ ბაზრებზე გასვლის შესახებ, ყველა საჭირო ინფორმაციას ბაზარსა და მომხმარებელზე, ისინი, ძირითადად, თავიანთი ძალებით აგროვებდნენ.

ბენეფიციარების მიერ ჩატარებული კვლევები 2014-2018 წლებში (ლარი)

გრაფიკი 5.48




ინფორმაციის მომწოდებელ ბენეფიციართა რაოდენობა, სადაც 2 ბენეფიციარი არის ლიკვიდაციის რისკის ქვეშ და 4-მა ბენეფიციარმა შეწყვიტა ფუნქციონირება 2017-2018 წლებში.

*არასრული წელი
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

პროგრამაში ჩართვის შემდეგ, მხოლოდ 6-მა ბენეფიციარმა განახორციელა ბაზრის კვლევა პროფესიონალი საკონსულტაციო კომპანიების დახმარებით, რომლის მომსახურების ღირებულება, ჯამში, დაახლოებით 180,869 ლარი იყო.

ჩატარებული კვლევების ხარჯი ბიზნეს სტატუსის მიხედვით, პროგრამაში ჩართვის შემდეგ, 2014-2018* წლებში (ლარი)

გრაფიკი 5.49



ინფორმაციის მომწოდებელ ბენეფიციართა რაოდენობა

*არასრული წელი
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი


ბენეფიციარების ანალიზი

კვლევა და განვითარება

როგორც პროგრამის ანალიზი გვიჩვენებს, საკვებისა და სასმელის სექტორში შემავალმა კომპანიებმა, დანარჩენ სექტორებზე მეტჯერ განახორციელეს ბაზრის კვლევა (თავისი ძალებით ან პროფესიონალი საკონსულტაციო კომპანიების დახმარებით), რაც, შეიძლება, სექტორის სპეციფიკიდან გამომდინარეობდეს.

ბენეფიციარების მიერ საკუთარი ძალებით, ან მესამე პირების დახმარებით განხორციელებული კვლევების რაოდენობა, სექტორების მიხედვით 2014-2018* წლებში

გრაფიკი 5.50



ინფორმაციის მომწოდებელ ბენეფიციართა რაოდენობა, სადაც 2 ბენეფიციარი არის ლიკვიდაციის რისკის ქვეშ, პლასტმასისა და ელექტრო ტექნიკის სექტორში ('არა') და 4-მა ბენეფიციარმა ხის გადამამუშავების, ლითონების, სამშენებლო მასალებისა და ტანსაცმლისა და ტექსტილის სექტორში ('არა' და 'N/A'), შეწყვიტა ფუნქციონირება 2017-2018 წლებში.

*არასრული წელი
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

83 ბენეფიციარიდან, მხოლოდ 7%-ს აქვს ჩატარებული ბაზრის კვლევა, პროექტში ჩართვის შემდეგ პერიოდში. ეს კვლევები ეხებოდა მომხმარებელთა ქცევის, მოლოდინებისა და კმაყოფილების დონის კვლევას. საერთო ჯამში, კომპანიები, უმეტესად, თავს იკავებენ ბაზრის კვლევის ჩატარებისგან, რადგან მიიჩნევენ, რომ ეს ყველაფერი ძვირი დაუჯდებათ და ურჩევნიათ, მეორეხარისხოვანი კვლევები გამოიყენონ.


ბენეფიციარების ანალიზი

პროგრამის ფარგლებში შემჩნილი არამბბერიბლური ამბივბბ

როგორც ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, ბენეფიციარები ინვესტიციებს ძირითად საშუალებებში (მბტერიბლურ აქტივებში) უფრო ახორციელებენ, ვიდრე არამბტერიბლურ აქტივებში. 85 ბენეფიციარიდან, მხოლოდ 13%-მბ განახორციელბ ინვესტიცბი არამბტერიბლურ აქტივში, ძირითბდად - სბსბქონლო ნიშნებსბ და კომპბნიის ლოგოებში.

შექმნილი/შესყიდული არამბტერიბლური აქტივები 2014-2018* წლებში

გრაფიკი 5.51



ინფორმაციის მომწოდებელ ბენეფიციართბ რბოდენობბ, სბდბც 2 ბენეფიციარი არის ლიკვიდბციის რისკის ქვეშ და 4-მბ ბენეფიციარმბ შეწყვიტბ ფუნქციონირებბ.

*არასრული წელი
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი




ბენეფიციარების ანალიზი

დასაქმების სტატისტიკის ანალიზი პროგრამის ფარგლებში


ეკონომიკური ეფექტის გაზომვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმების დონის ზრდაა. გრაფიკზე წარმოდგენილია ბენეფიციარ კომპანიებში დასაქმებულთა რაოდენობა, წლების მიხედვით:

ბენეფიციარების თანამშრომლების საშუალო რაოდენობა, 2014-2018* წლებში



ბენეფიციარების 'ანბრმოე სჰჰარტველოში' პროგრამაში ჩართვის შემდეგ, თანამშრომლების რაოდენობის წმინდა ზრდამ 3,033-ს მიაღწია. ეს რიცხვი გამოთვლილია კომპანიებში წლების განმავლობაში კადრების დენადობის გათვალისწინებით.

თანამშრომელთა წმინდა ზრდა პროგრამაში ჩართვის შემდეგ, 2014-2018* წლებში




ბენეფიციარების ანალიზი

დასაქმების სტატისტიკა პროგრამის ფარგლებში

ანალიზის შედეგები გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა სექტორში, დასაქმების დონე სხვადასხვანაირად იზრდება. ტოპ 3 სექტორი, რომელშიც გამოიკვეთა თანამშრომლების რაოდენობის წმინდა ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, არის საკვების და სასმელის, შინაური ცხოველების პროდუქციის და სამშენებლო მასალების წარმოების სექტორები. განსხვავება სექტორებს შორის შესაძლებელია გამოწვეული იყოს გამოკითხული 85 ბენეფიციარი კომპანიის სხვადასხვა სექტორში არათანაბარი გადანაწილებით.

თანამშრომელთა რაოდენობის წმინდა ზრდა პროგრამაში ჩართვის შემდეგ, სექტორების მიხედვით, 2014-2018* წლებში

გრაფიკი 5.54




*არასრული წელი
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

პროგრამაში ჩართვის შემდეგ, 2014-2018* წლებში, ბენეფიციარი კომპანიების მიერ ახალი 3,033 თანამშრომლისთვის გადახდილი ჯამური სახელფასო ფონდი შეადგენს, დაახლოებით, 25,552,635 ლარს, საშემოსავლო გადასახადის გარეშე.

პროგრამაში ჩართვის შემდეგ, ბენეფიციარი კომპანიების ახალი თანამშრომლების მიერ გენერირებული სახელფასო ფონდი, 2014-2018* წლებში (ათასი ლარი)

გრაფიკი 5.55



ინფორმაციის მომწოდებელ ბენეფიციართა რაოდენობა, სადაც:

- 2015-2018 წლებში წარმოდგენილია 1 ბენეფიციარის ინფორმაცია და 2017-2018 წლებში კიდევ 1

ბენეფიციარის ინფორმაცია, რომლებიც ლიკვიდაციის რისკის ქვეშ არიან

- 2015-2017 წლებში წარმოდგენილია 1 ბენეფიციარის ინფორმაცია, რომელიც აღარ ფუნქციონირებს 2018 წლიდან

- 2017 წელს წარმოდგენილია 1 ბენეფიციარის ინფორმაცია, რომელიც აღარ ფუნქციონირებს 2018 წლიდან.

*არასრული წელი
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

ბენეფიციარების ანალიზი

დასაქმების სტატისტიკა პროგრამის ფარგლებში

გენდერულ ჭრილში, ბენეფიციარებში დასაქმებულ თანამშრომელთა წილი თითქმის თანაბარია. განსხვავება არის სექტორულ ჭრილში, მაგრამ ეს, ერთის მხრივ, გამოიწვეულია თავად სექტორების სპეციფიკით.


ბენეფიციარებში დასაქმებულთა ანალიზი, გენდერულ ჭრილში, 2018* წლისთვის

გრაფიკი 5.56



ბენეფიციარებში დასაქმებულთა ანალიზი, გენდერულ და სექტორულ ჭრილში, 2018* წლისთვის

გრაფიკი 5.57



საშუალო ხელფასი სექტორების მიხედვით

ბენეფიციარი კომპანიები სხვადასხვა სექტორში არიან წარმოდგენილები. საშუალო ხელფასიც, შესაბამისად, იცვლება სექტორის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ხელფასის დიაპაზონის ანალიზისთვის, ბენეფიციარი კომპანიების საშუალო ყოველთვიური ხელფასების მედიანა, სექტორების მიხედვით, შედარებულია შესაბამის საბაზრო მაჩვენებელთან. ხელფასის მედიანა შეიძლება გამოითვალოს ხელფასების დალაგებით ზრდადობის მიხედვით და მიღებული განაწილების ცენტრში არსებული მონაცემის შერჩევით. აღიარებული პრაქტიკის მიხედვით, სექტორში ხელფასის დონის შესაფასებლად, მედიანის გამოყენება უფრო ზუსტ მაჩვენებელს იძლევა.

*არასრული წელი
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

ბენეფიციარების ანალიზი

საშუალო ხელფასი სექტორების მიხედვით


ბენეფიციარების საშუალო ხელფასების მედიანის, სექტორის საბაზრო მონაცემებთან შედარების მიზნით, სექტორები მისადაგებულია ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკურ კლასიფიკატორთან (NACE), ინფორმაცია აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან. აქედან გამომდინარე, სექტორები, რომელშიც ბენეფიციარი კომპანიები საქმიანობენ, გაერთიანდა 2 სხვადასხვა ჯგუფში:

5.58 გრაფიკზე წარმოდგენილია 'წარმოების' შემდეგი სექტორების საშუალო მონაცემებთან შედარება, NACE-ს კლასიფიკაციის მიხედვით: ქაღალდი და შეფუთვა, ელექტრო ტექნიკა, ლითონები, შინაური ცხოველების პროდუქცია, პლასტმასი, სამშენებლო მასალები, ფარმაცევტული და ქიმიური წარმოება და სხვა წარმოება.

5.59 გრაფიკზე კი, გამომდინარე იქედან, რომ სექტორები ტანსაცმელი და ტექსტილი და საკვები და სასმელი შეესაბამება NACE-ს სექტორს - 'საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტოსატრანსპორტო საშუალებები და მოტოციკლების შეკეთება', ცალკეა წარმოდგენილი ამ სექტორების მაჩვენებლების შედარება.


საშუალო ხელფასები სექტორების მიხედვით (ლარი)

გრაფიკი 5.58



საშუალო ხელფასები სექტორების მიხედვით (ლარი)

გრაფიკი 5.59



ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ შემდეგი სექტორებისთვის, ხელფასის საშუალო მაჩვენებლები, საბაზროსთან მეტ-ნაკლებად, მიახლოებულია: ლითონები, ფარმაცევტული და ქიმიური წარმოება, საკვები და სასმელი და სხვა წარმოება. ხოლო სექტორებისთვის: ქაღალდი და შეფუთვა, პლასტმასი, ელექტრო ტექნიკა, ტანსაცმელი და ტექსტილი, სამშენებლო მასალები, ხის წარმოება და შინაური ცხოველების პროდუქცია - მონაცემები საბაზროსგან განსხვავებული და დაბალია. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ საბაზრო მონაცემების საშუალო მაჩვენებელი ერთდროულად აერთიანებს რამდენიმე სექტორს და მასში შედის ისეთი სექტორებიც, რომლებშიც შერჩეული ბენეფიციარები არც კი ხვდებიან, შესაბამისად, მონაცემების პირდაპირი შედარება და ანალიზი არ არის გამართლებული. ასევე, სხვადასხვა სექტორში წარმოდგენილი ბენეფიციარების გასაშუალოებული მონაცემების, ბაზრის საშუალო მაჩვენებელთან შედარებამაც, გადახრა აჩვენა. რაც იგივე მიზეზებით უნდა იყოს განპირობებული.

*არასრული წელი
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი, სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფორმაციის მომწოდებელ ბენეფიციართა რაოდენობა

ბენეფიციარების ანალიზი


შრომის მწარმოებლურობა დასაქმებულ ერთ ადამიანზე

მწარმოებლურობა ზომავს კომპანიის წარმოების პროცესის ეფექტიანობას და გამოითვლება კომპანიის მიერ მიღებული შედეგის შეფარდებით კომპანიის მიერ, წარმოების პროცესში გამოყენებული რესურსების ღირებულებასთან. შესაბამისად, სამუშაო ძალის მწარმოებლურობა გამოთვლილია კომპანიის მიერ გენერირებული შემოსავლის შეფარდებით, კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობასთან.

სამუშაო ძალის მწარმოებლურობის მედიანის, ინდუსტრიის საშუალო მაჩვენებელთან შედარებისას, სექტორები საქმიანობების მიხედვით შეედარა NACE-ს სექტორებს იმავე პრინციპით, რაც გამოყენებულ იქნა ბენეფიციარების საშუალო ხელფასის მედიანების, სექტორის საბაზრო მაჩვენებელთან დადარებისას.

შრომის მწარმოებლურობა პროგრამაში ჩართვის შემდეგ დასაქმებულ ერთ ადამიანზე, 2014-2018* წლებში (ლარი, დღგ-ს გარეშე)

გრაფიკი 5.60



*არასრული წელი
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და
ბიდიოს ანალიზი

ელექტრო ტექნიკის სექტორში, მწარმოებლურობის კოეფიციენტის მედიანა, 2018 წლისთვის, დათვლილია 4 ბენეფიციარის მიერ მოწოდებული მონაცემებით, რომელთაგან 1 კომპანია ლიკვიდაციის რისკის ქვეშაა და მის მონაცემებს ჰქონდა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მედიანის დათვლისას. იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდებოდა აღნიშნული კომპანიის მონაცემების გათვალისწინება, მწარმოებლურობის კოეფიციენტი აღნიშნულ სექტორში იქნებოდა 92%-ით მეტი, 2018 წლის არსებულ მონაცემზე.


ხის დამამუშავების სექტორში, მწარმოებლურობის კოეფიციენტის 2015-2016 წლების მედიანა დათვლილია 1 ბენეფიციარის მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელმაც 2017 წელს შეწყვიტა ფუნქციონირება.

ბენეფიციარების ანალიზი

შრომის მწარმოებლურობა დასაქმებულ ერთ ადამიანზე

შრომის მწარმოებლურობა პროგრამაში ჩართვის შემდეგ დასაქმებულ ერთ ადამიანზე, 2014-2018* წლებში (ლარი, დღე-ს გარეშე)

გრადიენტი 5.61



ტანსაცმლისა და ტექსტილის სექტორში, მწარმოებლურობის კოეფიციენტის 2015-2017 წლების მედიანა დათვლილია 2 ბენეფიციარის მიერ მოწოდებული მონაცემებით, რომელთაგან 1-მა კომპანიამ 2018 წლიდან შეწყვიტა ფუნქციონირება და იქონია მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მედიანის დათვლისას. იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდებოდა აღნიშნული კომპანიის მონაცემების გათვალისწინება, მწარმოებლურობის კოეფიციენტი, აღნიშნულ სექტორში, 2015, 2016, 2017 წლებში, იქნებოდა შესაბამისად 92%-ით, 53%-ით და 63%-ით მეტი, წარმოდგენილ მონაცემებთან შედარებით.

ბენეფიციარების ანალიზი

შრომის მნარმომელობა დასაქმებულ ერთ ადამიანზე

გამომდინარე იქედან, რომ 2016 წელი განიხილება, როგორც ბენეფიციარებისთვის პროგრამაში ჩართვის ბოლო წელი (წინამდებარე შეფასების მიზნებისთვის), პროგრამის საერთო საბოლოო შედეგების გავლენა შრომის მწარმომელობაზე, შესაძლებელია, უფრო ნათლად გამოჩნდეს 2017 წელს, სადაც დადებითი ტენდენცია შეინიშნება თითქმის ყველა სექტორში, წინა წლებთან შედარებით.

მწარმომელობის კოეფიციენტის გაუმჯობესება, რომელიც ზოგიერთ სექტორში დაფიქსირდა, შესაძლოა გამოწვეული იყოს თანამედროვე მანქანა-დანადგარების შემენითა და ახალი ტექნოლოგიების ათვისებით, რაც ამცირებს საჭირო მუშახელის რაოდენობას. ხოლო მწარმომელობის კოეფიციენტის გაუარესება რამდენიმე სექტორში, შესაძლოა უკავშირდებოდეს საბაზრო კონკურენციას ან/და ბენეფიციარების მხრიდან, რესურსების არაეფექტურ მენეჯმენტს.

მწარმომელობის კოეფიციენტის მედიანა, მაკრო დონეზე, შესაბამისი სექტორის საბაზრო მონაცემთან შედარებით, დაბალია, რისი შესაძლო მიზეზებიც არის: ბენეფიციარების მიერ, მანქანა-დანადგარების არასრული დატვირთვით მუშაობა, რესურსების არაეფექტური ხარჯვა, ან პროდუქტების დაბალ ფასად გაყიდვა. ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ NACE-ს საბაზრო მონაცემი აერთიანებს სხვადასხვა სექტორის, მ.შ., ისეთს, რომლის დაფინანსება პროგრამის ფარგლებში არ მომხდარა, შესაბამისად, ეს ფაქტი გარკვეულ განსხვავებებს იწვევს მნიშვნელობებს შორის.



ბენეფიციარების ანალიზი

პროფესიული განვითარება


კომპანიების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი მათი თანამშრომლებია, რომლებიც კომპანიის წარმატებაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ. შესაბამისად, კვალიფიციური კადრების დასაქმება და მათ შემდგომ პროფესიულ განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა, კომპანიის წარმატებისთვის საუკეთესო ინვესტიციაა.

გამოკითხული ბენეფიციარების დამოკიდებულება პროფესიული განვითარებისადმი შესწავლილ იქნა სხვადასხვა მიმართულებით და გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. კერძოდ, ბენეფიციართა უმრავლესობა იყენებს შიდა ტრენინგებს მათი პერსონალის ცოდნის ასამაღლებლად. შიდა ტრენინგები მოიცავს ახალი თანამშრომლებისთვის სამუშაოს სპეციფიკურობის სწავლებას ადგილზე. ბენეფიციარებსა და მომწოდებელ კომპანიებს შორის გაფორმებული ზოგიერთი ხელშეკრულება ითვალისწინებს სპეციალისტების ვიზიტსა და მათ მიერ ტრენინგების ჩატარებას შეძენილი დანადგარებისა და აღჭურვილობის სამუშაო სპეციფიკისა და ეფექტური გამოყენების შესასწავლად. ასევე, ბენეფიციარები მუდმივად ასწავლიან თანამშრომლებს შრომითი უსაფრთხოების წესებსაც.

ბენეფიციარების დამოკიდებულება პროფესიული განვითარების მიმართ

გრაფიკი 5.62

74



გარე ტრენინგები მოიცავს კურსებს, გამოფენებს, სხვადასხვა სააგენტოებთან შეხვედრებს, სადაც თანამშრომლებს შეუძლიათ, უფრო მეტი გაიგონ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა სპეციფიკური სტანდარტები მათ სექტორში. გარე ტრენინგები ასევე მოიცავს თანამშრომლების საზღვარგარეთ გაგზავნას, კვალიფიციის ასამაღლებელ კურსებსა და სპეციალურ ტრენინგებზე დასასწრებად. მსგავსი მოგზაურობის ხარჯები ცვალებადია. გამოკითხული ბენეფიციარების ნაწილი ცდილობს, მიმართოს ორივე გზას - შიდა და გარე ტრენინგებს.

- შიდა და გარე ტრენინგები
- შიდა ტრენინგები
- გარე ტრენინგები
- ტრენინგის გარეშე
- N/A

ინფორმაციის მომწოდებელ ბენეფიციართა რაოდენობა

წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდლოს ანალიზი


ბენეფიციარების ანალიზი

პროფესიული განვითარება

პერსონალის პროფესიული განვითარების შესახებ ბენეფიციარების მენეჯმენტთან ინტერვიუების ჩატარებისას, კვლევამ გამოავლინა ის სექტორები, სადაც გარე და შიდა ტრენინგები სისტემატურად ტარდება, ასევე ისინიც, სადაც კომპანიები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას თანამშრომელთა უნარების გაუმჯობესებას.

პროფესიული განვითარება სექტორების მიხედვით

გრაფიკი 5.63



83 ბენეფიციარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სადაც 3 კომპანია აღარ ფუნქციონირებს და 2 არის ლიკვიდაციის რისკის ქვეშ

გრაფიკზე წარმოდგენილი მონაცემების ანალიზისას, გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეულ სექტორში შემავალი ბენეფიციარების რაოდენობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთ სექტორში, სამუშაოს შესასრულებლად, არსებობს გარკვეული სპეციფიკაციები. ბენეფიციარები სამშენებლო მასალებისა და საკვების და სასმელის სექტორებში, უფრო მეტად, შიდა ტრენინგებით ცდილობენ თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას, ხოლო ფარმაცეპტული და ქიმიური წარმოების სექტორში არსებული ბენეფიციარები, უპირატესობას ანიჭებენ შიდა და გარე ტრენინგების ერთობლიობას.


ბენეფიციარების ანალიზი

ბანკითარების პერსპექტივა

სამომავლო განვითარების შესახებ გეგმების წარმოდგენისას, გამოკითხულ ბენეფიციართა უმრავლესობა საუბრობს წარმოების გაფართოების შესაძლებლობაზე, გამოშვებული პროდუქციის გაზრდის ხარჯზე. პროდუქციის მასშტაბის გაზრდას ბენეფიციარები გეგმავენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე შეიქმნება შესაბამისი მოთხოვნა. ამ მიმართულებით, გაფართოება გაზრდის წარმოებული პროდუქციის მოცულობას როგორც ადგილობრივი ბაზრისთვის, ასევე ექსპორტისთვისაც.

ბენეფიციარების გეგმები სამომავლო განვითარების შესახებ

გრაფიკი 5.64



კიდევ ერთი მიმართულება, რომელსაც ბენეფიციარები მოიაზრებენ გაფართოებისათვის, არის მათ პროდუქციაში ასორტიმენტის გაზრდა. ბენეფიციარები მიზნად ისახავენ გასაღების ბაზრების დივერსიფიკაციას და მომხმარებლებს სთავაზობენ წარმოებული პროდუქციის ფართო არჩევანს. გამოკითხულ ბენეფიციარებს შორის არიან ისეთებიც, რომლებსაც ამჟამად გაფართოების კონკრეტული გეგმა არ გააჩნიათ, თუმცა, სამომავლო ცვლილებებს არ გამორიცხავენ.

ინფორმაციის მომწოდებელ ბენეფიციართა რაოდენობა

- წარმოების ასორტიმენტის და მოცულობის გაზრდა
- ასორტიმენტის გაზრდა
- წარმოების მოცულობის გაზრდა
- კონკრეტული გეგმა არ არსებობს
- N/A


წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

ბენეფიციარების ანალიზი

ბანკითარების პერსპექტივები

ქვემოთ მოყვანილ გრაფიკზე წარმოდგენილია სექტორების განვითარების პერსპექტივები:

განვითარების პერსპექტივები სექტორების მიხედვით
გრაფიკი 5.65



82 ბენეფიციარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, სადაც 3 კომპანია აღარ ფუნქციონირებს და 2 არის ლიკვიდაციის რისკის ქვეშ

წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი


ბენეფიციარების ანალიზი

გადახდილი გადასახადები

ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მაჩვენებელი შეიძლება იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში შესული გადასახადების გაზრდილი ოდენობა (უგულველყოფილია საგადასახადო განაკვეთში ცვლილებები ან საგადასახადო შეღავათები).

პროგრამის ბენეფიციარების (როგორც სტარტაპის, ასევე არსებული ბიზნესის გაფართოების) მიერ გადახდილი გადასახადები, რაც, გაფართოების შემთხვევაში, არ მოიცავს პროგრამის ფარგლებში გენერირებული წილის რაიმე სახით გამოყოფას, წლების მიხედვით იქნა გაანალიზებული და წარმოდგენილია შემდეგნაირად:


ბენეფიციარების მიერ გადახდილი გადასახადები (მლნ ლრი)



5.66 გრაფიკზე წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით, 2014-2018* წლისთვის, ბენეფიციარების მიერ გადახდილი ჯამური გადასახადები შეადგენს:

ბენეფიციარების მიერ გადახდილი გადასახადები, 2014-2018* წლებში (მლნ ლარი)

გრაფიკი 5.67




ბენეფიციარების ანალიზი

ბადახდილი ბადასახადები

ჯამურად გადახდილი გადასახადები, სექტორების მიხედვით, ბენეფიციარების ჩართვის წლის გათვალისწინებით (მლნ ლარი)

გრაფიკი 5.68



*იდენტიფიცირების რისკის თავიდან აცილების გამო, შემდეგი სექტორების რამდენიმე ბენეფიციარის 2014 წლის მონაცემები არ მოწოდებულა შემოსავლების სამსახურის მიერ: ელექტრო ტექნიკა, საკვები და სასმელი, ლიტონები და სამშენებლო მასალები. ამ ღირებულებამ შეადგინა დაახლოებით 7 მლნ ლარი

**11 თვის მონაცემი

წყარო: შემოსავლების სამსახური და ბიდიოს ანალიზი


ბენეფიციარების ანალიზი

პროგრამის ფარგლებში გადახდილი გადასახადები

იმისათვის, რომ შევავსოთ პროგრამის პირდაპირი ეფექტი გადახდილი გადასახადების მიმართულებით და მოვახდინოთ პროგრამის ფარგლებში მობილიზებული გადასახადების რაოდენობის იდენტიფიცირება, გადახდილი გადასახადების სრული ნაწილი, სტარტაპების შემთხვევაში, ჩაითვალა პროგრამის ფარგლებში გადახდილად, ხოლო გაფართოებების შემთხვევაში, პროგრამის წილი გამოიყო შემდეგნაირად: დადგინდა პროგრამის ფარგლებში მიღებული სესხების თანაფარდობა, წლის ბოლოს კომპანიის მთლიან აქტივებთან, 2014 წლიდან მოყოლებული, თითოეული წლისთვის. აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ინვესტიციების წილს კომპანიების მფლობელობაში არსებულ ყველა აქტივებთან მიმართებაში. ამ კოეფიციენტის გამოყენება მოხდა იმ ბენეფიციარების მიერ გადახდილ ჯამურ გადასახადებთან მიმართებაში, რომლებიც წარმოადგენენ არსებული ბიზნესის გაფართოებას.

პროგრამის ფარგლებში მობილიზებული გადასახადები* (მლნ ლარი)

გრაფიკი 5.69




ინფორმაციის მომწოდებელ ბენეფიციართა რაოდენობა

2014-2017 წლებში წარმოდგენილია იმ 2 ბენეფიციარის (სტარტაპები) ინფორმაცია, რომელიც ლიკვიდაციის რისკის ქვეშ არის (გავლენა არ არის არსებითი).

2015-2017 წლებში წარმოდგენილია იმ 2 ბენეფიციარის (სტარტაპები) ინფორმაცია და 2014-2017 წლებში იმ ბენეფიციარის ინფორმაცია, რომელიც აღარ ფუნქციონირებს (გავლენა არ არის არსებითი).

პროგრამის ფარგლებში მობილიზებული გადასახადები* 2014-2017 წლებში (მლნ ლარი)



*გრაფიკი უჩვენებს იმ ბენეფიციარების ინფორმაციას, რომლებმაც სრულად წარმოადგინეს გადახდილი გადასახადები პროგრამაში ჩართვიდან 2017 წლის ბოლომდე, წლების მიხედვით.
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი


73 ბენეფიციარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით

*გრაფიკი უჩვენებს იმ ბენეფიციარების ინფორმაციას, რომლებმაც სრულად წარმოადგინეს გადახდილი გადასახადები პროგრამაში ჩართვიდან 2017 წლის ბოლომდე, წლების მიხედვით.
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

ბენეფიციარების ანალიზი

პროგრამის ფარგლებში გადახდილი გადასახადები

ბენეფიციარების მიერ მიღებული სუბსიდიები და გადახდილი გადასახადები 2014-2017 წლებში (მლნ ლარი)



გამომდინარე იქედან, რომ ბენეფიციარების მიერ მოწოდებული 2018 წლის ინფორმაცია არასრულია, დაუმთავრებელი საანგარიშგებო პერიოდის გამო, შესაძარისობის მიზნით, მიღებული სუბსიდიები და გადახდილი გადასახადები გაანალიზებულია სრული წლებისთვის (2014-2017).


წყარო: აწარმოე საქართველოში, ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

ბენეფიციარების ანალიზი

პროგრამის ფარგლებში გადახდილი გადასახადები

პროგრამის ფარგლებში მობილიზებული გადასახადები (ათასი ლარი)

გრაფიკი 5.72



*მომწოდებელი ინფორმაციის მიხედვით, ხის გადამამუშავების სექტორში, ბენეფიციარებს არ გადაუხდიათ გადასახადები საანალიზო პერიოდში.
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი


ბენეფიციარების ანალიზი

პროგრამის ფარგლებში გადახდილი გადასახადები

განალიზებული პერიოდის განმავლობაში, ჯამურად, მოხილვებული გადასახადების ყველაზე დიდი წილი მოდის საკვებისა და სასმელის, მეტალისა და სამშენებლო მასალების წარმოების სექტორებზე.

ბენეფიციარების მიერ პროგრამის ფარგლებში მოხილვებული ჯამური გადასახადები, სექტორების მიხედვით, 2014-2017 წლებში (ათასი ლარი)

გრაფიკი 5.73



*წარმოდგენილია იმ ბენეფიციარების ინფორმაცია, რომლებმაც სრულად ასახეს გადახდილი გადასახადები პროგრამაში ჩართვიდან 2017 წლის ბოლომდე წლების მიხედვით.
წყარო: ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი


- ელექტრო ტექნიკა
- ლიტონები
- ქაღალდი და შეფუთვა
- პლასტმასი
- სამშენებლო მასალები
- ფარმაცევტული და ქიმიური წარმოება
- საკვები და სასმელი
- ტანსაცმელი და ტექსტილი
- შინაური ცხოველების პროდუქცია
- სხვა წარმოება

ბენეფიციარების ანალიზი

პროგრამის ფარგლებში გადახდილი გადასახადები


პროგრამის წილის გამოყოფის გარეშე, პროგრამის ბენეფიციარების მიერ გადახდილი გადასახადები შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი ჯამური გადასახადების 1%-ს.

ბენეფიციარების გადახდილი გადასახადების წილი ქვეყნის ჯამურ საგადასახადო შენატანებში (მლნ ლარი)
გრაფიკი 5.74



*2018 წლის დაგეგმილი ბიუჯეტი
**არასრული ინფორმაცია
წყარო: ფინანსთა სამინისტრო, ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

ბენეფიციარების გადახდილი გადასახადების წილი ჯამურ საგადასახადო შენატანებში ,2014-2018* წლებში (მლნ ლარი)
გრაფიკი 5.75



*2018 წლის დაგეგმილი ბიუჯეტი
**არასრული ინფორმაცია
წყარო: ფინანსთა სამინისტრო, ბენეფიციარების მონაცემები და ბიდიოს ანალიზი

ბენეფიციარების ანალიზი

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

მოცემულ თავში წარმოდგენილია ინფორმაცია სხვადასხვა სექტორში ფუნქციონირებადი ბენეფიციარების ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების შესახებ, ლიკვიდობის, ფინანსური ლევერიჯის, მომგებიანობის კოეფიციენტებისა და ფულის კონვერსიის ციკლის ზოგადი ტენდენციების წარმოდგენისა და სექტორის საბაზრო მაჩვენებლებთან შედარების მიზნებისთვის. ანალიზის ჩატარებისას, პროგრამაში მონაწილე სტარტაპებისა და გაფართოებების მონაცემები, სექტორების მიხედვით, გაერთიანდა და ისე შეუდარდა სექტორის 2014-2017 წლების საშუალო მაჩვენებლებს.

თითოეული ინდუსტრიისთვის, საერთაშორისო საბაზრო მაჩვენებელი აღებულია NYC Stern-ის ბიზნეს სკოლის ელექტრონულ გვერდზე გამოქვეყნებული, განვითარებადი ქვეყნების ბაზრების ფინანსური მაჩვენებლებიდან (შემდგომში 'საბაზრო მაჩვენებელი'). აღნიშნულ წყაროში, განვითარებადი ქვეყნების ბაზრებისთვის, წარმოდგენილია 94 ინდუსტრიის ფინანსური მონაცემი. წინამდებარე შეფასების მიზნებისთვის, შეირჩა მხოლოდ 14 სექტორი, რომელიც აერთიანებს 5,230 კომპანიის ფინანსურ ინფორმაციას.

ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია სტარტაპებისა და გაფართოებების გაერთიანებული ფინანსური მონაცემებით:

ელემენტო ბენეფიციარების საშუალო

N	ინფორმაციის მომწოდებელი ბენეფიციარების რაოდენობა	1	3	3	3	3
	ფინანსური მაჩვენებლები	2014	2015	2016	2017	2018*
1	მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.39	1.31	1.25	1.24	1.29
	ცვლილება %		-6%	-5%	-1%	4%
2	სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.43	0.51	0.40	0.49	0.60
	ცვლილება %		19%	-22%	23%	22%
3	ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი	3.00	2.55	4.69	3.56	5.55
	ცვლილება %		-15%	84%	-24%	56%
	ვალის კაპიტალთან შეფარდების საბაზრო მაჩვენებელი	0.26	0.17	0.19	0.19	
4	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	2.74	2.38	4.50	3.37	
	ვალის კოეფიციენტი	0.26	0.69	1.35	0.80	0.42
	ცვლილება %		166%	95%	-41%	-47%
5	ვალის კოეფიციენტის საბაზრო მაჩვენებელი	0.09	0.06	0.07	0.06	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	0.17	0.63	1.29	0.73	
6	საერთო მოგების მარჟა	13%	18%	16%	17%	15%
	ცვლილება %		39%	-14%	8%	-10%
7	წმინდა მოგების მარჟა	-5%	-21%	-9%	0%	1%
	ცვლილება %		-316%	56%	105%	96%
	წმინდა მოგების მარჟის საბაზრო მაჩვენებელი	3%	3%	3%	5%	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	8%	24%	12%	5%	
8	კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი (ROE)	(0.15)	(0.22)	(0.09)	0.03	0.01
	ცვლილება %		-49%	61%	136%	-73%
	კაპიტალის უკუგების კოეფიციენტის (ROE) საბაზრო მაჩვენებელი	0.06	0.05	0.06	0.14	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	0.21	0.27	0.13	0.11	
9	აქტივების უკუგების კოეფიციენტი (ROA)	(0.07)	(0.07)	(0.03)	0.01	0.01
	ცვლილება %		7%	56%	129%	44%
	ინვესტიციის უკუგების კოეფიციენტის (ROA) საბაზრო მაჩვენებელი	0.02	0.02	0.02	0.05	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	0.09	0.09	0.05	0.04	
9	ფულის კონვერსიის ციკლი (CCC)	(38)	220	116	61	251
	ცვლილება დღეებში		259	104	55	190

* არასრული წელი
წყარო: ბენეფიციარების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ბიდიოს ანალიზი, NYC Stern

%-ული ცვლილება - გამოხატავს პროცენტულ ცვლილებას წინა წელთან შედარებით

სხვაობა საბაზრო მონაცემთან გამოხატავს ბენეფიციარების მაჩვენებლების საბაზრო მაჩვენებლებიდან გადახრას ერთეულ მაჩვენებელში/ერთეულ პროცენტში

ბენეფიციარების ანალიზი

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ელექტრო ტექნიკის სექტორი

ელექტრო ტექნიკის სექტორში წარმოდგენილი ფინანსური მაჩვენებლები დაანგარიშებულია 3 ბენეფიციარის მიერ მოწოდებულ ფინანსურ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელთაგან ორი არის სტარტაპი და ერთი გაფართოება. 2018 წლის შედეგები მოიცავს ერთი ისეთი ბენეფიციარის ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც მიმდინარე მდგომარეობით ლიკვიდაციის რისკის ქვეშაა, თუმცა, შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენის არ არსებობის გამო, ანალიზიდან მისი ამორთვა არ მომხდარა.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული სექტორის ანალიზი ძირითადად სტარტაპების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზეა დაფუძნებული, 2014 წლიდან 2016 წლის ჩათვლით პერიოდში, ბენეფიციარების ფინანსური მაჩვენებლები შეიძლება ნაკლებად შესადარის იყოს საბაზრო მონაცემებთან. 2017 წლის მონაცემების შედარებით კი, უფრო რეალურ სურათს ვიღებთ, იქედან გამომდინარე, რომ ამ პერიოდისთვის, სტარტაპებს უკვე გარკვეული გამოცდილება აქვთ დაგროვებული, რადგან მათი საქმიანობის დაწყებიდან რამდენიმე წელია გასული.

ელექტრო ტექნიკის სექტორში წარმოდგენილი ლიკვიდობის კოეფიციენტი წლების განმავლობაში სტაბილურია და აღემატება 1-ს. იმ ბენეფიციარების მიმდინარე აქტივების მოცულობა, რომლებიც აღნიშნულ სექტორში ოპერირებენ, მინიმუმ 1.24-ჯერ აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს. სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ბენეფიციარების ფულადი სახსრების დიდი ნაწილი, ძირითადად, მარაგებშია განთავსებული.

86

გაანალიზებული წლების განმავლობაში, ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი ცვალებადია, თუმცა, განსაზღვრულ დიაპაზონში მერყეობს. აღნიშნული კოეფიციენტი მნიშვნელოვნად არის გადახრილი საბაზრო მონაცემებიდან. განხილული 3 ბენეფიციარიდან ორი სტარტაპია, რომლებსაც საქმიანობის საწყის ეტაპზე დიდი რაოდენობით ვალდებულებები ჰქონდათ. 2016 წლიდან, ვალდებულებისა და აქტივების თანაფარდობის კოეფიციენტი იკლებს, იქედან გამომდინარე, რომ სტარტაპები ვალდებულებების მოცულობას ამცირებენ.

საერთო მოგების მარჟა, 2014 წლიდან 2018 წლის ჩათვლით პერიოდში, სტაბილურად 13%-დან 18%-მდე შუალედში მერყეობს. ანალიზი ძირითადად სტარტაპების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობა. იქედან გამომდინარე, რომ სტარტაპები საქმიანობის საწყის ეტაპზე ზარალზე მუშაობდნენ, წმინდა მოგების მარჟა 2014-2016 წლებში უარყოფითი იყო, თუმცა ტენდენცია უმჯობესდება და 2017 წლიდან დადებითი მაჩვენებლისკენ შეიცვალა.

ROE და ROA მაჩვენებლები წლების განმავლობაში იზრდება და უახლოვდება ელექტრო ტექნიკის სექტორის საბაზრო მაჩვენებელს. 2015 წლიდან, ROA მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე ROE, რაც გულისხმობს, რომ ბენეფიციარებმა, ვალდებულებების შემცირება დაიწყეს. ჩვეულებრივ, უფრო მაღალი ROA კოეფიციენტი უკეთესია, რადგან გვიჩვენებს, რომ ბენეფიციარი ეფექტურად ახორციელებს აქტივების მენეჯმენტს, მეტი წმინდა მოგების მისაღებად.

ფულის კონვერსიის ციკლი გაანალიზებული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად უმჯობესდება. 2018 წლის მონაცემი შესაძლოა ზუსტ სურათს არ გვიჩვენებდეს, რადგან ბენეფიციართა მიერ მოწოდებული ინფორმაცია არის არასრული წლისთვის.

ბენეფიციარების ანალიზი

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია სტარტაპებისა და გაფართოების გაერთიანებული ფინანსური მონაცემებით:

ფარმაცევტული და ქიმიური წარმოების სექტორი

N	ინფორმაციის მომწოდებელი ბენეფიციარების რაოდენობა	3	4	4	4	2
	ფინანსური მაჩვენებლები	2014	2015	2016	2017	2018*
1	მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	8.07	1.99	1.19	1.14	0.46
	ცვლილება %		-75%	-40%	-5%	-59%
2	სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	4.69	1.64	0.33	0.49	0.30
	ცვლილება %		-65%	-80%	46%	-37%
3	ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი	(2.24)	(4.25)	(0.51)	(0.61)	(2.75)
	ცვლილება %		-90%	88%	-19%	-350%
	ვალის კაპიტალთან შეფარდების საბაზრო მაჩვენებელი	0.09	0.07	0.09	0.09	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	2.33	4.32	0.60	0.70	
4	ვალის კოეფიციენტი	(0.28)	0.54	0.36	0.26	(2.31)
	ცვლილება %		294%	-34%	-28%	-992%
	ვალის კოეფიციენტის საბაზრო მაჩვენებელი	0.05	0.04	0.04	0.04	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	0.33	0.50	0.32	0.22	
5	საერთო მოგების მარჟა	68%	32%	38%	31%	60%
	ცვლილება %		-53%	21%	-20%	94%
6	წმინდა მოგების მარჟა	-58%	-131%	-39%	-5%	33%
	ცვლილება %		-125%	70%	88%	777%
	წმინდა მოგების მარჟის საბაზრო მაჩვენებელი	8%	8%	10%	10%	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	66%	139%	49%	15%	
7	კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი (ROE)	0.36	0.09	(0.01)	0.13	0.03
	ცვლილება %		-75%	-116%	1035%	-78%
	კაპიტალის უკუგების კოეფიციენტის (ROE) საბაზრო მაჩვენებელი	0.10	0.09	0.12	0.12	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	0.26	0.00	0.13	0.01	
8	აქტივების უკუგების კოეფიციენტი (ROA)	(0.07)	(0.11)	(0.11)	(0.02)	0.44
	ცვლილება %		-61%	-3%	79%	2052%
	ინვესტიციის უკუგების კოეფიციენტის (ROA) საბაზრო მაჩვენებელი	0.05	0.04	0.06	0.06	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	0.12	0.15	0.17	0.08	
9	ფულის კონვერსიის ციკლი (CCC)	614	378	450	319	262
	ცვლილება დღეებში		236	71	130	57

* არასრული წელი

წყარო: ბენეფიციარების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ბიდიოს ანალიზი, NYC Stern

%-ული ცვლილება - გამოხატავს პროცენტულ ცვლილებას წინა წელთან შედარებით

სხვაობა საბაზრო მონაცემთან გამოხატავს ბენეფიციარების მაჩვენებლების საბაზრო მაჩვენებლებიდან გადახრას ერთეულ მაჩვენებელში/ერთეულ პროცენტში

ფარმაცევტიკისა და ქიმიური წარმოების სექტორში წარმოდგენილი ფინანსური მაჩვენებლები დაანგარიშებულია 4 ბენეფიციარის მიერ მოწოდებულ ფინანსურ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელთაგან სამი არის სტარტაპი და ერთი გაფართოება.

გამომდინარე იქედან, რომ ანალიზი ძირითადად სტარტაპების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზეა დაფუძნებული, 2014 წლიდან 2016 წლის ჩათვლის პერიოდში, ბენეფიციარების ფინანსური მაჩვენებლები შეიძლება ნაკლებად შესადარისი იყოს საბაზრო მონაცემებთან. 2017 წლის მონაცემების შედარებით კი, უფრო რეალურ სურათს ვიღებთ, იქედან გამომდინარე, რომ ამ პერიოდისთვის, სტარტაპებს უკვე გარკვეული გამოცდილება აქვთ დაგროვებული, რადგან მათი საქმიანობის დაწყებიდან რამდენიმე წელია გასული.

ბენეფიციარების ანალიზი

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ფარმაცევტული და ქიმიური წარმოების სექტორი

ანალიზური პერიოდის დასაწყისში, ბენეფიციარები, რომლებიც ფარმაცევტული და ქიმიური წარმოების სექტორში ოპერირებენ, ლიკვიდობის თვალსაზრისით, სტაბილურები არიან. მარაგების შემცირების ტენდენციიდან გამომდინარე, ბენეფიციართა მიმდინარე აქტივების მოცულობა, მიმდინარე ვალდებულებებთან შედარებით, მცირდება. ბენეფიციარების მიერ მოწოდებული ფინანსური მონაცემების მიხედვით, ფარმაცევტულ და ქიმიურ სექტორში, მარაგების საერთო წილი, ჯამური აქტივების თითქმის 50% შეადგენს.


ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი წლების განმავლობაში 1-ზე ნაკლებია და მნიშვნელოვნად არის გადახრილი საბაზრო მაჩვენებლისგან. გაანალიზებულ პერიოდში, ბენეფიციარები ზრდიან როგორც გრძელვადიან ვალდებულებებს, ისე საკუთარი კაპიტალის მოცულობას, თუმცა, ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტის ტენდენცია არ უმჯობესდება, რაც გულისხმობს, რომ გრძელვადიანი ვალდებულებების მოცულობა ყოველწლიურად აღემატება საკუთარ კაპიტალს. ამის საპირისპიროდ, ვალის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება საბაზრო მონაცემებისგან.

გამომდინარე იქედან, რომ ანალიზი ძირითადად სტარტაპების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობა და სტარტაპები საქმიანობის საწყის ეტაპზე ზარალზე მუშაობდნენ, წმინდა მოგების მარჟა 2014 წლიდან 2017 წლების ჩათვლით პერიოდში, უარყოფითია, თუმცა, ტენდენცია უმჯობესდება და 2018 წელს, დადებითი მაჩვენებლისკენ იცვლება.

88

ფარმაცევტული და ქიმიური წარმოების სექტორის ROE მაჩვენებელი, ისევე, როგორც ROA, არის დაბალი, თუმცა, მნიშვნელოვნად არ განსხვავდება საბაზრო მაჩვენებლისგან.

ფულის კონვერსიის ციკლი მნიშვნელოვნად უმჯობესდება გაანალიზებული წლების განმავლობაში, რაც ნიშნავს, რომ მარაგებში განივთებული ფული მოკლე დროში უბრუნდება კომპანიას.



ბენეფიციარების ანალიზი

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია სტარტაპებისა და გაფართოებების გაერთიანებული ფინანსური მონაცემებით:

პლასტმასის სამეორი

N	ინფორმაციის მოწოდებელი ბენეფიციარების რაოდენობა	2	3	4	4	4
	ფინანსური მაჩვენებლები	2014	2015	2016	2017	2018*
1	მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.39	0.92	(3.54)	2.21	1.22
	ცვლილება %		-34%	-484%	162%	-45%
2	სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.75	(0.21)	(2.62)	1.10	0.32
	ცვლილება %		-129%	-1124%	142%	-71%
3	ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი	(44.76)	(102.42)	(3.91)	(0.79)	(1.78)
	ცვლილება %		-129%	96%	80%	-126%
	ვალის კაპიტალთან შეფარდების საბაზრო მაჩვენებელი	0.41	0.40	0.33	0.37	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	45.17	102.82	4.24	1.16	
4	ვალის კოეფიციენტი	3.62	1.05	1.20	1.09	1.05
	ცვლილება %		-71%	14%	-9%	-4%
	ვალის კოეფიციენტის საბაზრო მაჩვენებელი	0.16	0.16	0.12	0.16	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	3.46	0.89	1.08	0.93	
5	საერთო მოგების მარჟა	19%	17%	14%	12%	17%
	ცვლილება %		-13%	-13%	-20%	51%
6	წმინდა მოგების მარჟა	-63%	-38%	-15%	-20%	-4%
	ცვლილება %		39%	61%	-32%	79%
	წმინდა მოგების მარჟის საბაზრო მაჩვენებელი	6%	5%	7%	5%	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	69%	43%	22%	25%	
7	კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი (ROE)	1.53	0.04	0.69	0.68	0.23
	ცვლილება %		-97%	1628%	-2%	-66%
	კაპიტალის უკუგების კოეფიციენტის (ROE) საბაზრო მაჩვენებელი	0.14	0.10	0.15	0.21	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	1.39	(0.06)	0.54	0.47	
8	აქტივების უკუგების კოეფიციენტი (ROA)	(0.11)	(0.13)	(0.16)	(0.12)	(0.03)
	ცვლილება %		-16%	-19%	22%	78%
	ინვესტიციის უკუგების კოეფიციენტის (ROA) საბაზრო მაჩვენებელი	0.06	0.04	0.06	0.09	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	0.17	0.17	0.22	0.21	
9	ფულის კონვერსიის ციკლი (CCC)	60.68	8.96	107.04	110.97	149.72
	ცვლილება დღეებში		52	98	4	39

* არასრული წელი

წყარო: ბენეფიციარების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ბიდიოს ანალიზი, NYC Stern

%-ული ცვლილება - გამოხატავს პროცენტულ ცვლილებას წინა წელთან შედარებით

სხვაობა საბაზრო მონაცემთან გამოხატავს ბენეფიციარების მაჩვენებლების საბაზრო მაჩვენებლებიდან გადახრას ერთეულ მაჩვენებელში/ერთეულ პროცენტში

პლასტმასის სექტორში წარმოდგენილი ფინანსური მაჩვენებლები დაანგარიშებულია 4 ბენეფიციარის მიერ მოწოდებულ ფინანსურ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელთაგან სამი არის სტარტაპი და ერთი გაფართოება. ანალიზი 2015 წლიდან მოიცავს ერთი ისეთი ბენეფიციარის ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც მიმდინარე მდგომარეობით, ლიკვიდაციის რისკის ქვეშაა. თუმცა, შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენის არ არსებობის გამო, ანალიზიდან მისი ამორთვა არ მომხდარა.

გამომდინარე იქედან, რომ ანალიზი ძირითადად სტარტაპების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზეა დაფუძნებული, 2014 წლიდან 2016 წლის ჩათვლის პერიოდში, ბენეფიციარების ფინანსური მაჩვენებლები შეიძლება ნაკლებად შესადარისი იყოს საბაზრო მონაცემებთან. 2017 წლის მონაცემების შედარებით კი, უფრო

რეალურ სურათს ვიღებთ, იქედან გამომდინარე, რომ ამ პერიოდისთვის, სტარტაპებს უკვე გარკვეული გამოცდილება აქვთ დაგროვებული, რადგან მათი საქმიანობის დაწყებიდან რამდენიმე წელია გასული.

ბენეფიციარების ანალიზი

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

პლასტმასის სამუდრო

განალიზებული წლების განმავლობაში, ლიკვიდობის კოეფიციენტები პლასტმასის სექტორში არასტაბილურობით ხასიათდება და მნიშვნელოვნად იცვლება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მიმართულებით, თუმცა, ბოლო წლებში უმჯობესდება, რაც ნიშნავს, რომ ბენეფიციარები ლიკვიდობის მხრივ, უფრო სტაბილურები ხდებიან, მათი მიმდინარე აქტივების მოცულობა იზრდება და მცირდება მიმდინარე ვალდებულებები.

ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი, განალიზებული წლების განმავლობაში, უარყოფითი იყო, თუმცა, ბოლო სამი წლის განმავლობაში, მნიშვნელოვნად უმჯობესდება.

ვალის კოეფიციენტი წლების განმავლობაში უმჯობესდება, რაც გულისხმობს, რომ პლასტმასის სექტორში მონაწილე ბენეფიციარები ვალდებულებების მოცულობას დროთა განმავლობაში ამცირებენ და ზრდიან აქტივების რაოდენობას.

საერთო მოგების მარჟა, 2014 წლიდან 2018 წლის ჩათვლით პერიოდში, სტაბილურად 12%-დან 19%-მდე შუალედში მერყეობს. 2014 წლიდან 2018 წლამდე პერიოდში, წმინდა მოგების მარჟა 1-ზე ნაკლებია და მნიშვნელოვნად განსხვავდება საბაზრო მაჩვენებლისგან. ეს მიუთითებს, რომ ბენეფიციარები ზარალზე მუშაობდნენ და ჰქონდათ საკმაოდ დიდი ოდენობის საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები. ბოლო წლების ტენდენციის მიხედვით, აღნიშნული მაჩვენებელი უმჯობესდება.

90

ROE და ROA კოეფიციენტები, განალიზებული წლების განმავლობაში, სტაბილურად განსაზღვრულ შუალედში მერყეობს. ROE, ისევე, როგორც ROA მაჩვენებელი, მნიშვნელოვნად განსხვავდება საბაზრო მაჩვენებლისგან, თუმცა, ბოლო პერიოდში უახლოვდება მას. ROE მაჩვენებელი მცირდება და ROA კი, პირიქით, უმჯობესდება, რაც იმას მიუთითებს, რომ ბენეფიციართა საკუთარი კაპიტალის და აქტივების მოცულობა, წმინდა შემოსავალთან შედარებით იზრდება.

ფულის კონვერსიის ციკლი 2016-2018 წლების განმავლობაში მზარდია, რაც ნიშნავს, რომ იზრდება მარაგებში განივთებული ფულადი რესურსების ისე კომპანიებში დაბრუნების დრო.

ბენეფიციარების ანალიზი

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია სტარტაპებისა და გაფართოებების გაერთიანებული ფინანსური მონაცემებით:

საკვების და სასმელის სექტორი

N	ინფორმაციის მომწოდებელი ბენეფიციარების რაოდენობა	2	5	7	8	6
	ფინანსური მაჩვენებლები	2014	2015	2016	2017	2018*
1	მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.70	3.04	1.56	1.70	2.62
	ცვლილება %		337%	-49%	9%	54%
2	სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.58	2.00	1.26	1.00	1.68
	ცვლილება %		247%	-37%	-21%	68%
3	ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი	2.29	2.15	1.47	1.64	1.09
	ცვლილება %		-6%	-32%	12%	-34%
	ვალის კაპიტალთან შეფარდების საბაზრო მაჩვენებელი	0.24	0.23	0.22	0.23	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	2.05	1.92	1.24	1.40	
4	ვალის კოეფიციენტი	1.68	0.83	0.51	0.45	0.34
	ცვლილება %		-51%	-38%	-13%	-24%
	ვალის კოეფიციენტის საბაზრო მაჩვენებელი	0.10	0.11	0.10	0.09	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	1.58	0.72	0.41	0.36	
5	საერთო მოგების მარჟა	47%	46%	45%	46%	57%
	ცვლილება %		-2%	-2%	2%	24%
6	წმინდა მოგების მარჟა	10%	8%	4%	8%	48%
	ცვლილება %		-20%	-48%	86%	509%
	წმინდა მოგების მარჟის საბაზრო მაჩვენებელი	5%	5%	6%	6%	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	5%	3%	2%	2%	
7	კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი (ROE)	1.36	0.36	0.61	0.39	0.26
	ცვლილება %		-73%	68%	-36%	-35%
	კაპიტალის უკუგების კოეფიციენტის (ROE) საბაზრო მაჩვენებელი	0.10	0.09	0.11	0.20	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	1.26	0.27	0.50	0.19	
8	აქტივების უკუგების კოეფიციენტი (ROA)	0.31	0.14	0.06	0.14	0.26
	ცვლილება %		-55%	-55%	129%	82%
	ინვესტიციის უკუგების კოეფიციენტის (ROA) საბაზრო მაჩვენებელი	0.04	0.04	0.05	0.08	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	0.27	0.10	0.01	0.06	
9	ფულის კონვერსიის ციკლი (CCC)	131	40	60	74	210
	ცვლილება დღეებში		91	19	15	136

* არასრული წელი

წყარო: ბენეფიციარების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ბიდიოს ანალიზი, NYC Stern

%-ული ცვლილება - გამოხატავს პროცენტულ ცვლილებას წინა წელთან შედარებით

სხვაობა საბაზრო მონაცემთან გამოხატავს ბენეფიციარების მაჩვენებლების საბაზრო მაჩვენებლებიდან გადახრას ერთეულ მაჩვენებელში/ერთეულ პროცენტში

საკვებისა და სასმელის სექტორში წარმოდგენილი ფინანსური მაჩვენებლები დაანგარიშებულია 8 ბენეფიციარის მიერ მოწოდებულ ფინანსურ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელთაგან შვიდი არის სტარტაპი და ერთი - გაფართოება.

ბენეფიციარების ანალიზი


ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

საკვების და სასმელის სექტორი

ლიკვიდობა, ისევე როგორც ფინანსური ლევერიჯი, გაანალიზებული წლების განმავლობაში, უმჯობესდება. შესაბამისად, საკვებისა და სასმელის სექტორში ოპერირებადი ბენეფიციარები აქტივების რაოდენობას ზრდიან და ამცირებენ ვალდებულებებს. ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი და ვალის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად განსხვავდება საბაზრო მაჩვენებლისგან, თუმცა, ტენდენცია უმჯობესდება და ბოლო წლებში უახლოვდება მას.

საერთო მოგების მარჟა ყოველწლიურად 45%-ს აჭარბებს, რაც იმას მიუთითებს, რომ პროდუქციაზე ბენეფიციარებს, დაახლოებით, 50%-იანი ფასნამატი აქვთ. ROA მაჩვენებლის მსგავსად, წმინდა მოგების მარჟა განსაზღვრულ შუალედში მერყეობს და მნიშვნელოვნად არ განსხვავდება საბაზრო მაჩვენებლისგან.

ამ მაჩვენებლების გაუმჯობესებისგან განსხვავებით, ფულის კონვერსიის ციკლი იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ იზრდება მარაგებში განთავსებული ფულადი რესურსების ისევე კომპანიებში დაბრუნების დრო.



ბენეფიციარების ანალიზი

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია სტარტაპებისა და გაფართოების გაერთიანებული ფინანსური მონაცემებით:

სამშენებლო მასალების სემტორი

N	ინფორმაციის მომწოდებელი ბენეფიციარების რაოდენობა	2	6	6	9	4
	ფინანსური მაჩვენებლები	2014	2015	2016	2017	2018*
1	მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.88	1.89	1.75	2.06	2.05
	ცვლილება %		1%	-7%	18%	0%
2	სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.40	0.87	0.67	1.11	1.61
	ცვლილება %		-37%	-23%	66%	45%
3	ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი	0.27	0.70	0.93	0.60	1.31
	ცვლილება %		159%	33%	-35%	117%
	ვალის კაპიტალთან შეფარდების საბაზრო მაჩვენებელი	0.37	0.35	0.36	0.35	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	0.10	0.35	0.57	0.25	
4	ვალის კოეფიციენტი	0.18	0.38	0.46	0.53	0.42
	ცვლილება %		108%	22%	14%	-19%
	ვალის კოეფიციენტის საბაზრო მაჩვენებელი	0.14	0.14	0.14	0.12	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	0.04	0.24	0.32	0.41	
5	საერთო მოგების მარჟა	30%	30%	41%	32%	41%
	ცვლილება %		2%	36%	-21%	27%
6	წმინდა მოგების მარჟა	58%	24%	15%	12%	16%
	ცვლილება %		-58%	-37%	-24%	39%
	წმინდა მოგების მარჟის საბაზრო მაჩვენებელი	5%	4%	4%	6%	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	53%	20%	11%	6%	
7	კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი (ROE)	0.69	0.33	0.21	0.14	0.21
	ცვლილება %		-53%	-37%	-32%	48%
	კაპიტალის უკუგების კოეფიციენტის (ROE) საბაზრო მაჩვენებელი	0.09	0.05	0.06	0.19	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	0.60	0.28	0.15	(0.05)	
8	აქტივების უკუგების კოეფიციენტი (ROA)	0.57	0.31	0.16	0.14	0.17
	ცვლილება %		-46%	-49%	-14%	27%
	ინვესტიციის უკუგების კოეფიციენტის (ROA) საბაზრო მაჩვენებელი	0.03	0.02	0.03	0.07	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	0.54	0.29	0.13	0.07	
9	ფულის კონვერსიის ციკლი (CCC)	307	32	87	54	163
	ცვლილება დღეებში		276	56	33	108

* არასრული წელი

წყარო: ბენეფიციარების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ბიდიოს ანალიზი, NYC Stern

%-ული ცვლილება - გამოხატავს პროცენტულ ცვლილებას წინა წელთან შედარებით

სხვაობა საბაზრო მონაცემთან გამოხატავს ბენეფიციარების მაჩვენებლების საბაზრო მაჩვენებლებიდან გადახრას ერთეულ მაჩვენებელში/ერთეულ პროცენტში

სამშენებლო მასალების სექტორში წარმოდგენილი ფინანსური მაჩვენებლები დაანგარიშებულია 9 ბენეფიციარის მიერ მოწოდებულ ფინანსურ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელთაგან შვიდი არის სტარტაპი და ორი - გაფართოება.

ბენეფიციარების ანალიზი

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

სამშენებლო მასალების სამთორი

სამშენებლო მასალების სექტორში, ლიკვიდობა გაანალიზებული წლების განმავლობაში უმჯობესდება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სექტორში ოპერირებადი ბენეფიციარები მიმდინარე აქტივებს ზრდიან, მიმდინარე ვალდებულებებთან შედარებით.

ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი და ვალის კოეფიციენტი იზრდება და მნიშვნელოვნად განსხვავდება საბაზრო მაჩვენებლებისგან. ბენეფიციარები არსებითად ზრდიან გრძელვადიანი ვალდებულებების მოცულობას გრძელვადიან აქტივებთან და კაპიტალთან შედარებით, რაც, ძირითადად, ბიზნესის განვითარებისა და გრძელვადიან აქტივებში ინვესტირების მიზნით ხდება.

ამის პარალელურად, ამ სექტორებში ლიკვიდობის კოეფიციენტები უმჯობესდება, რაც გამოწვეულია იმით, რომ ბენეფიციარები სესხების ინვესტირებას სწორად ახორციელებენ.

ბენეფიციარებს აქვთ შედარებით უკეთესი წმინდა მოგების მარჟა საბაზრო მაჩვენებელთან შედარებით და გაანალიზებული წლების განმავლობაში, აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნებულია. მაღალი წმინდა მოგების მარჟა მიუთითებს იმაზე, რომ ბენეფიციარები შემოსავლის მოგებად გარდაქმნას ეფექტიანად ახდენენ.

ფულის კონვერსიის ციკლი გაანალიზებული წლების განმავლობაში არასტაბილურია და მნიშვნელოვან ცვლილებებს აჩვენებს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მიმართულებით. თუმცა, 2015 - 2017 წლების შუალედში, ის 100 დღეზე ქვემოთ მერყეობს, რაც კარგი მაჩვენებელია.



ბენეფიციარების ანალიზი

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია სტარტაპებისა და გაფართოების გაერთიანებული ფინანსური მონაცემებით:

დანაცვლისა და იმპაქტის სექტორი

N	ინფორმაციის მომწოდებელი ბენეფიციარების რაოდენობა	1	1	1
	ფინანსური მაჩვენებლები	2015	2016	2017
1	მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.73	0.55	0.55
	ცვლილება %		-25%	0%
2	სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.48	0.50	0.41
	ცვლილება %		5%	-18%
3	ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი	0.72	1.66	1.34
	ცვლილება %		130%	-19%
	ვალის კაპიტალთან შეფარდების საბაზრო მაჩვენებელი	0.23	0.25	0.25
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	0.49	1.41	1.09
4	ვალის კოეფიციენტი	0.19	0.34	0.31
	ცვლილება %		83%	-10%
	ვალის კოეფიციენტის საბაზრო მაჩვენებელი	0.11	0.11	0.11
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	0.08	0.23	0.20
5	საერთო მოგების მარჟა	7%	7%	7%
	ცვლილება %		0%	0%
6	წმინდა მოგების მარჟა	16%	7%	10%
	ცვლილება %		-59%	57%
	წმინდა მოგების მარჟის საბაზრო მაჩვენებელი	4%	3%	4%
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	12%	4%	6%
7	კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი (ROE)	0.66	0.29	0.42
	ცვლილება %		-56%	46%
	კაპიტალის უკუგების კოეფიციენტის (ROE) საბაზრო მაჩვენებელი	0.08	0.08	0.08
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	0.58	0.21	0.34
8	აქტივების უკუგების კოეფიციენტი (ROA)	0.17	0.06	0.10
	ცვლილება %		-65%	62%
	ინვესტიციის უკუგების კოეფიციენტის (ROA) საბაზრო მაჩვენებელი	0.04	0.03	0.03
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	0.13	0.03	0.07
9	ფულის კონვერსიის ციკლი (CCC)	25	28	45
	ცვლილება დღეებში		3	17

* არასრული წელი
წყარო: ბენეფიციარების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ბიდიოს ანალიზი, NYC Stern
%-ული ცვლილება - გამოხატავს პროცენტულ ცვლილებას წინა წელთან შედარებით
სხვაობა საბაზრო მონაცემთან გამოხატავს ბენეფიციარების მაჩვენებლების საბაზრო მაჩვენებლებიდან გადახრას ერთეულ მაჩვენებელში/ერთეულ პროცენტში

ტანსაცმლისა და ტექსტილის წარმოების სექტორში წარმოდგენილი ფინანსური მაჩვენებლები დაანგარიშებულია 1 ბენეფიციარის (გაფართოება) მიერ მოწოდებულ ფინანსურ მონაცემებზე დაყრდნობით.

ბენეფიციარების ანალიზი

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ბანსაცმლისა და ბეუსტილის სექტორი

აღნიშნულ სექტორში, ლიკვიდურობის კოეფიციენტი სტაბილურად, 0.5-0.7 შუალედში მერყეობს, რაც იმას მიუთითებს, რომ ბენეფიციარების მიმდინარე ვალდებულებების მოცულობა, მიმდინარე აქტივების მოცულობას ორჯერ აღემატება. ბოლო წლების განმავლობაში, კოეფიციენტები გაუარესების ტენდენციას ინარჩუნებენ და ისინი კიდევ უფრო ნაკლებად ლიკვიდურები ხდებიან.

ფინანსური ლევერიჯი წლების განმავლობაში უარესდება, რაც გულისხმობს, რომ ბენეფიციარები ზრდიან გრძელვადიანი ვალდებულებების მოცულობას მთლიან აქტივებთან და საკუთარ კაპიტალთან შედარებით.

ბენეფიციარებს, საბაზრო მაჩვენებლებთან შედარებით, უკეთესი წმინდა მოგების მარჟა აქვთ და გაანალიზებული წლების განმავლობაში, აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნებულია. მაღალი წმინდა მოგების მარჟა მიუთითებს იმაზე, რომ ბენეფიციარები შემოსავლის მოგებად გარდაქმნას ეფექტიანად ახორციელებენ.

ფულის კონვერსიის ციკლი გაანალიზებული წლების განმავლობაში იზრდება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ იზრდება მარაგებში განივებული ფულადი რესურსების ისევე კომპანიებში დაბრუნების დრო.



ბენეფიციარების ანალიზი

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია სტარტაპებისა და გაფართოების გაერთიანებული ფინანსური მონაცემებით:

ქალაქის და შეფუთვის სექტორი

N	ინფორმაციის მომწოდებელი ბენეფიციარების რაოდენობა	1	5	7	7	6
	ფინანსური მაჩვენებლები	2014	2015	2016	2017	2018*
1	მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.89	1.24	1.47	0.86	2.46
	ცვლილება %		38%	19%	-42%	187%
2	სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.85	1.17	1.09	0.64	1.94
	ცვლილება %		39%	-7%	-42%	203%
3	ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი	0.77	0.56	0.46	1.56	1.24
	ცვლილება %		-27%	-19%	242%	-20%
	ვალის კაპიტალთან შეფარდების საბაზრო მაჩვენებელი	0.60	0.45	0.42	0.43	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	0.17	0.11	0.04	1.13	
4	ვალის კოეფიციენტი	0.36	0.84	0.44	0.54	0.49
	ცვლილება %		133%	-48%	24%	-11%
	ვალის კოეფიციენტის საბაზრო მაჩვენებელი	0.26	0.21	0.17	0.17	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	0.10	0.63	0.27	0.37	
5	საერთო მოგების მარჟა	41%	33%	33%	23%	31%
	ცვლილება %		-19%	0%	-30%	32%
6	წმინდა მოგების მარჟა	-5%	4%	17%	16%	19%
	ცვლილება %		190%	275%	-4%	19%
	წმინდა მოგების მარჟის საბაზრო მაჩვენებელი	4%	5%	5%	6%	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	9%	1%	12%	10%	
7	კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი (ROE)	(0.19)	(0.002)	0.38	0.41	0.59
	ცვლილება %		99%	19434%	7%	44%
	კაპიტალის უკუგების კოეფიციენტის (ROE) საბაზრო მაჩვენებელი	0.05	0.08	0.08	0.13	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	0.26	0.08	0.30	0.28	
8	აქტივების უკუგების კოეფიციენტი (ROA)	(0.09)	0.03	0.04	0.05	0.11
	ცვლილება %		133%	49%	16%	107%
	ინვესტიციის უკუგების კოეფიციენტის (ROA) საბაზრო მაჩვენებელი	0.02	0.04	0.03	0.06	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	0.11	0.01	0.01	0.01	
9	ფულის კონვერსიის ციკლი (CCC)	96	175	128	174	278
	ცვლილება დღეებში		79	47	46	104

* არასრული წელი

წყარო: ბენეფიციარების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ბიდიოს ანალიზი, NYC Stern

%-ული ცვლილება - გამოხატავს პროცენტულ ცვლილებას წინა წელთან შედარებით

სხვაობა საბაზრო მონაცემთან გამოხატავს ბენეფიციარების მაჩვენებლების საბაზრო მაჩვენებლებიდან გადახრას ერთეულ მაჩვენებელში/ერთეულ პროცენტში

ქალაქისა და შეფუთვის სექტორში წარმოდგენილი ფინანსური მაჩვენებლები დაანგარიშებულია 7 ბენეფიციარის მიერ მოწოდებულ ფინანსურ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელთაგან ოთხი არის სტარტაპი და სამი - გაფართოება.

გამომდინარე იქედან, რომ ანალიზი ძირითადად სტარტაპების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზეა დაფუძნებული, 2014 წლიდან 2016 წლის ჩათვლის პერიოდში, ბენეფიციარების ფინანსური მაჩვენებლები შეიძლება ნაკლებად შესადარისი იყოს საბაზრო მაჩვენებლებთან. 2017 წლის მონაცემების შედარებით კი, უფრო რეალურ სურათს ვიღებთ, იქედან გამომდინარე, რომ ამ პერიოდისთვის, სტარტაპებს უკვე გარკვეული გამოცდილება აქვთ დაგროვებული, რადგან მათი საქმიანობის დაწყებიდან რამდენიმე წელია გასული.

ბენეფიციარების ანალიზი

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ქაღალდის და შეფუთვის სემტორი

ქაღალდისა და შეფუთვის სექტორში, ლიკვიდობის კოეფიციენტები, 2015 წლიდან, 2017 წლის გარდა, სტაბილურად უმჯობესდება და ნარჩუნდება 1.0 ნიშნულს ზევით, რაც მიუთითებს, რომ ბენეფიციარების მიმდინარე აქტივების მოცულობა, წლების განმავლობაში, აჭარბებს მიმდინარე ვალდებულებებს. აქედან გამომდინარე, ბენეფიციარებს აქვთ შესაძლებლობა, მათი მოკლევადიანი ვალდებულებები მიმდინარე აქტივებით გადაიხადონ.

ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი და ვალის კოეფიციენტი იზრდება. აქედან გამომდინარე, ბენეფიციარები მნიშვნელოვნად ზრდიან გრძელვადიანი ვალდებულებების მოცულობას გრძელვადიან აქტივებთან და კაპიტალთან შედარებით, რაც, ძირითადად, ბიზნესის განვითარებისა და გრძელვადიან აქტივებში ინვესტირებით არის განპირობებული. ამის პარალელურად, ამ სექტორში ლიკვიდობისა და მომგებიანობის კოეფიციენტები უმჯობესდება, რაც გამოწვეულია იმით, რომ ბენეფიციარები სესხების ინვესტირებას სწორად ახორციელებენ.

მომგებიანობისა და ROE და ROA მაჩვენებლები, გაანალიზებული წლების განმავლობაში, უმჯობესდება და საბაზრო მაჩვენებლებს აჭარბებს. ანალიზიდან გამომდინარე, ბენეფიციარები შემოსავლის მოგებად გარდაქმნას ეფექტიანად ახდენენ. მზარდი ROE ინდიკატორი მიუთითებს იმას, რომ ბენეფიციარები ზრდიან ბიზნესის უკუგებას საკუთარი კაპიტალის მოცულობის უცვლელობის პირობებშიც.

ამის საპირისპიროდ, ფულის კონვერსიის ციკლი 2016 წლიდან უარესდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ბენეფიციარებს მეტი დრო სჭირდებათ შეძენილი მარაგების გასაყიდად და ფულადი სახსრების მისაღებად.



ბენეფიციარების ანალიზი

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია სტარტაპებისა და გაფართოების გაერთიანებული ფინანსური მონაცემებით:

ლითონების სექტორი

N	ინფორმაციის მომწოდებელი ბენეფიციარების რაოდენობა	4	4	3	2
	ფინანსური მაჩვენებლები	2015	2016	2017	2018*
1	მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.79	2.24	3.23	2.01
	ცვლილება %		25%	44%	-38%
2	სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.07	0.82	1.43	0.57
	ცვლილება %		-23%	75%	-61%
3	ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი	0.21	0.38	0.23	0.15
	ცვლილება %		80%	-40%	-35%
	ვალის კაპიტალთან შეფარდების საბაზრო მაჩვენებელი	0.48	0.46	0.40	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	0.27	0.08	0.23	
4	ვალის კოეფიციენტი	0.32	0.29	0.13	0.08
	ცვლილება %		-8%	-54%	-42%
	ვალის კოეფიციენტის საბაზრო მაჩვენებელი	0.21	0.19	0.14	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	0.11	0.10	0.01	
5	საერთო მოგების მარჟა	54%	28%	43%	70%
	ცვლილება %		-48%	57%	61%
6	წმინდა მოგების მარჟა	2%	-2%	11%	29%
	ცვლილება %		-185%	804%	161%
	წმინდა მოგების მარჟის საბაზრო მაჩვენებელი	1%	1%	5%	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	1%	3%	6%	
7	კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი (ROE)	0.54	0.41	0.11	0.36
	ცვლილება %		-25%	-74%	245%
	კაპიტალის უკუგების კოეფიციენტის (ROE) საბაზრო მაჩვენებელი	0.02	0.02	0.11	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	0.52	0.39	0.00	
8	აქტივების უკუგების კოეფიციენტი (ROA)	0.00	0.00	0.20	0.15
	ცვლილება %		0%	14433%	-24%
	ინვესტიციის უკუგების კოეფიციენტის (ROA) საბაზრო მაჩვენებელი	0.01	0.01	0.04	
	სხვაობა საბაზრო მონაცემთან	0.01	0.01	0.16	
9	ფულის კონვერსიის ციკლი (CCC)	149.75	113.38	108.56	956.88
	ცვლილება დღეებში		36	5	848

* არასრული წელი
წყარო: ბენეფიციარების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ბიდიოს ანალიზი, NYC Stern
%-ული ცვლილება - გამოხატავს პროცენტულ ცვლილებას წინა წელთან შედარებით
სხვაობა საბაზრო მონაცემთან გამოხატავს ბენეფიციარების მაჩვენებლების საბაზრო მაჩვენებლებიდან გადახრას ერთეულ მაჩვენებელში/ერთეულ პროცენტში

ლითონების სექტორში წარმოდგენილი ფინანსური მაჩვენებლები დაანგარიშებულია 4 ბენეფიციარის მიერ მოწოდებულ ფინანსურ მონაცემებზე დაყრდნობით, რომელთაგან ერთი არის სტარტაპი და სამი -გაფართოება. 2015 და 2016 წლების ანალიზი მოიცავს ერთი ისეთი ბენეფიციარის ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც მიმდინარე პერიოდში აღარ ფუნქციონირებს, შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენის არ არსებობის გამო, ანალიზიდან მისი ამორთვა არ მომხდარა.

ბენეფიციარების ანალიზი

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები


ლითონების სავტორი

ლიკვიდობის კოეფიციენტი წლების მანძილზე სტაბილურად იზრდება და 1-ს აჭარბებს. 2015 წლიდან, ამ სექტორში მონაწილე ბენეფიციარების მიმდინარე აქტივების რაოდებოდა, საშუალოდ, 2-ჯერ ჭარბობს მიმდინარე ვალდებულებებს.

ფინანსური ლევერიჯი გაანალიზებული წლების განმავლობაში 1-ზე ნაკლებია და მნიშვნელოვნად არ განსხვავდება საბაზრო მაჩვენებლისგან. კოეფიციენტები უმჯობესდება, რაც მიუთითებს იმას, რომ ლითონების სექტორში მონაწილე ბენეფიციარები მთლიანი ვალდებულებების მოცულობას ამცირებენ და წლების განმავლობაში ხდებიან ფინანსურად უფრო სტაბილურები.

მომგებიანობის მაჩვენებლების მსგავსად, ROE და ROA მაჩვენებლები, გაანალიზებული წლების განმავლობაში, უმჯობესდება და საბაზრო მაჩვენებლებს აღემატება თითქმის ყოველ წელს.

ფულის კონვერსიის ციკლი წლების განმავლობაში მაღალია, თუმცა შეინიშნება შემცირების ტენდენცია. განსხვავებული მაჩვენებელია წარმოდგენილი 2018 წელს, რაც, შესაძლოა, იმ მიზეზით არის გამოწვეული, რომ ბენეფიციარების მიერ მოწოდებული ფინანსური მონაცემები არის არასრული წლის.



დანართი 1 პითხვარი

კითხვარი

პროგრამის 'აწარმოე საქართველოში' ინდუსტრიული ნაწილის, ტექნიკური მხარდაჭერის და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტების შედეგების კვლევის კითხვარი:



კომპანია: შპს ბიდიო (ს/ნ 205145403)
კვლევის ფორმა: ჩაღრმავებული ინტერვიუ
ინტერვიუერი:

ბენეფიციარის დასახელება:
საიდენტიფიკაციო კოდი:
მისამართი:
საკონტაქტო ინფორმაცია:
შევსების თარიღი:

N	კითხვა	ბენეფიციარის პასუხი	რესპოდენტი (სახელი გვარი, თანამდებობა)	საკითხზე პასუხისმგებელი პირი (სახელი გვარი, თანამდებობა)	მოსაწოდებელი ინფორმაცია/ დოკუმენტაცია
1	როგორია თქვენი დამოკიდებულება პროგრამის 'აწარმოე საქართველოში' მიმართ?				
2	თქვენი აზრით, ეფექტიანია თუ არა პროგრამა და ასრულებს თუ არა მნიშვნელოვან როლს ბიზნეს გარემოს განვითარებაში? რატომ?				
3	საიდან მიიღეთ ინფორმაცია პროგრამის შესახებ?				
4	რამდენად გაგიმარტივდათ პროგრამაში 'აწარმოე საქართველოში' ჩართვა?				
5	რამდენად გაგიმარტივდათ დაფინანსების (კრედიტის, ღირებულების, ტექნიკური დახმარების) მოპოვება და ხომ არ ისურვებდით ამ კუთხით რაიმეს გაუმჯობესებას?				
6	შეძლებდით თუ არა საქმიანობის დაწყება/გაფართოებას პროგრამის გარეშე?				
7	რა პრობლემურ საკითხებსა და სირთულეებს გამოჰყოფდით პროგრამის ფარგლებში (როგორც ფინანსური, ასევე ტექნიკური კუთხით)?				
8	გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი რეკომენდაციები პროგრამის სრულყოფის კუთხით?				
ბენეფიციარის დეტალური ეკონომიკური და ფინანსური ანალიზი:					
9	გთხოვთ, მიუთითოთ საქმიანობის დაწყების თარიღი (ბიზნესის ოფიციალურად რეგისტრაციის თარიღი და რეალურად საქმიანობის დაწყების თარიღიც, თუ განსხვავებულია).				
10	გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ თქვენი ბიზნესის საქმიანობა.				
11	გთხოვთ, მიუთითოთ ბიზნესის საბოლოო ბენეფიციარების (მფლობელები) რაოდენობა გენდერულ ჭრილში.				
12	გთხოვთ, მიუთითოთ კრედიტის/ღირებულების გამცემი ორგანიზაცია, კრედიტის/ღირებულების მიღების ეტაპები (ტრანშების მიღების ეტაპები და მოცულობა), კრედიტის/ღირებულების პირობები (საპროცენტო განაკვეთი, ვადა).				
13	გთხოვთ, მიუთითოთ უშუალოდ პროგრამის ფარგლებში მიღებული სუბსიდიის მოცულობა და პირობები.				
14	გთხოვთ, მიუთითოთ რა თარიღიდან დაიწყეთ თანხის ათვისება?				
15	გთხოვთ, მიუთითოთ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა და ჯამური ღირებულება (თვითღირებულება და სარეალიზაციო ღირებულება) პროგრამაში მონაწილეობამდე და მონაწილეობის შემდეგ (გთხოვთ, მოგვცეთ შესაძარისი მონაცემები, სრული წელი, თვეები და სხვა.)				გამომშვებული პროდუქციის თვითღირებულება და სარეალიზაციო ღირებულება ექსელის ფაილში
16	თქვენი აზრით, გაუმჯობესდა თუ არა და რა კუთხით, თქვენი ბიზნესის ფინანსური მაჩვენებლები დაფინანსების მიღების შემდეგ (შემოსავლები, ხარჯები, მთლიანი მოგება და სხვა)? როგორი იყო აღნიშნული მაჩვენებლები პროგრამაში ჩართვამდე და ჩართვის შემდეგ? გთხოვთ წარმოგიდგინოთ შესაბამისი მონაცემები და გათვლები.				შესაბამისი გაანგარიშებები ექსელის ფაილში
17	გთხოვთ, მიუთითოთ მწარმოებლურობის კოეფიციენტი (სამუშაო ძალის მწარმოებლურობა, ბიზნესის მწარმოებლურობა) წლების ჭრილში, პროგრამაში ჩართვამდე სამი წლისთვის და ჩართვიდან მიმდინარე პერიოდისთვის				
18	ახდენთ თუ არა წარმოებული პროდუქციის/მომსახურების ექსპორტს (გთხოვთ, მიუთითოთ ექსპორტის დაწყების თარიღი) ან გაქვთ თუ არა კონკრეტული გეგმა ან ინიციატივა ამ მიმართულებით?				
19	გთხოვთ, მიუთითოთ განხორციელებული ექსპორტის მოცულობა რაოდენობრივ, თანხობრივ და ქვეყნების ჭრილში, პროგრამაში ჩართვამდე და ჩართვის შემდეგ.				
20	როგორ ფიქრობთ, ამაღლდა თუ არა თქვენი საექსპორტო პოტენციალი, პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ? რა კუთხით?				

კითხვარი

				საკითხზე პასუხისმგებელი პირი (სახელი გვარი, თანამდებობა)	მოსაწოდებელი ინფორმაცია/ დოკუმენტაცია
21	გთხოვთ, მიუთითოთ/აგვიღწეროთ თქვენი საბოლოო პროდუქტის საწარმოებლად საჭირო ნედლეულის წარმოშობის წყაროები, ადგილობრივ ბაზარზე იმენთ ნედლეულს თუ უცხოურზე? (გთხოვთ მიუთითოთ წილის პროცენტული გადანაწილება)				
22	თუ უცხოურ ბაზარზე იმენთ ნედლეულს, გთხოვთ, მიუთითოთ რამდენად არის შესაძლებელი ადგილობრივ ბაზარზე არსებული ნედლეულით ჩანაცვლება უცხოური ბაზრის? რა კრიტერიუმებით არჩევთ ბაზარს (ფასი, ხარისხი, პროდუქტის არჩევანი და სხვა)?				
23	გთხოვთ, მიუთითოთ მარკეტინგული ხარჯი წლების ჭრილში, პროგრამაში ჩართვამდე სამი წლისთვის და ჩართვიდან მიმდინარე პერიოდისთვის				
24	გთხოვთ, მიუთითოთ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა წლების ჭრილში, პროგრამაში ჩართვამდე სამი წლისთვის და ჩართვიდან მიმდინარე პერიოდამდე.				
25	გთხოვთ, მიუთითოთ გადახდილი სახელმწიფო გადასახადების მოცულობა წლების ჭრილში გადასახადების ტიპების მიხედვით (საშემოსავლო გადასახადი, ქონების გადასახადი, მოგების გადასახადი, აქციზის გადასახადი, იმპორტის გადასახადი და ა.შ), პროგრამაში ჩართვამდე სამი წლისთვის და ჩართვიდან მიმდინარე პერიოდამდე.				
26	გთხოვთ, მიუთითოთ გაკეთ თუ არა ბიზნესის ფარგლებში განხორციელებული კვლევა (სამომხმარებლო ბაზრის, მომხმარებლის დამოკიდებულების, პროდუქტის მახასიათებლების და სხვა)? დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ მიუთითოთ რა ღირებულების და შინაარსის იყო აღნიშნული კვლევა?				კვლევის შედეგების ანგარიში
27	გთხოვთ, მიუთითოთ დანერგეთ თუ არა ახალი ტექნოლოგიები/შეიძინეთ დანადგარები დაფინანსების მიღების შემდეგ? დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ დაგვისახელოთ				დეტალური ინფორმაცია აღწერა ტექნოლოგიების
28	გთხოვთ, მიუთითოთ შექმენით თუ არა ინტელექტუალური საკუთრება დაფინანსების მიღების შემდეგ? დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ დაგვისახელოთ				
29	გთხოვთ, მიუთითოთ მიიღიათ თუ არა რაიმე სერტიფიკატი დაფინანსების მოპოვების შემდეგ? დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ დაგვისახელოთ				
30	გთხოვთ, მიუთითოთ ახალი პროდუქტის/სერვისის გამოშვების რაოდენობა? (ახალ პროდუქტში/სერვისში იგულისხმება არსებული პროდუქტის/სერვისის გაუმჯობესება, მოდერნიზება და ასევე, სრულიად განსხვავებული პროდუქტის/სერვისის შექმნა)				
31	გთხოვთ, მიუთითოთ ბუღალტრულ აღრიცხვას და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებდით თუ არა ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად პროგრამაში ჩართვამდე ან პროგრამაში ჩართვის შემდეგ?				წარმოების აქტები და/ან სხვა შიდა დოკუმენტი არსებობის შემთხვევაში
32	გთხოვთ, მიუთითოთ შტატში დასაქმებულთა საშუალო თვიური რაოდენობა წლების მიხედვით, სრულად და გენდერულ ჭრილში (დაფინანსებამდე სამი წლისთვის და დაფინანსების მიღების შემდგომ მიმდინარე პერიოდისთვის).				
33	გთხოვთ, მიუთითოთ გყავთ თუ არა დროებითი თანამშრომლები (პროცენტული წილი მუდმივ თანამშრომლებთან მიმართებით თვეების და გენდერულ ჭრილში)?				
34	გთხოვთ, მიუთითოთ საშუალო თვიური ხელფასის და სხვა ხელფასთან გათანაბრებულ განაცემთა მოცულობა (გადასახადის ჩათვლით და გადასახადის გარეშე)(დაფინანსებამდე სამი წლისთვის და დაფინანსების მიღების შემდგომ მიმდინარე პერიოდისთვის). აღნიშნული ინფორმაცია, გთხოვთ, ასევე წარმოგიდგინოთ გენდერულ ჭრილში.				
35	გთხოვთ, მიუთითოთ წლიური სახელფასო ფონდის მოცულობა (გადასახადის ჩათვლით და გადასახადის გარეშე) წლების ჭრილში, პროგრამაში ჩართვამდე სამი წლისთვის და ჩართვიდან მიმდინარე პერიოდისთვის				
36	გთხოვთ, მიუთითოთ ხდებოდა თუ არა თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება და/ან დაინტერესებული პირებისთვის გამოცდილების გაზიარების მიზნით ღონისძიებების ჩატარება? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითოთ რა მიმართულებით და რა ღირებულებით.				


კითხვარი

				საკითხზე პასუხისმგებელი პირი (სახელი გვარი, თანამდებობა)	მოსაწოდებელი ინფორმაცია/ დოკუმენტაცია
37	აქეს თუ არა თქვენს ბიზნესს გაფართოების შესაძლებლობა? დადებითი პასუხის შემთხვევაში, მოგვაწოდეთ ინფორმაცია შესაძლო პერსპექტივების შესახებ, რა მიმართულებით გეგმავთ გაფართოებას და რა არის ამისთვის საჭირო?				ბიზნეს გეგმა არსებობის შემთხვევაში
38	გთხოვთ, მიუთითოთ გეგმავთ თუ არა ახალი ბიზნეს მიმართულების / პროდუქტის დამატებას? დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ დააკონკრეტოთ?				
39	გთხოვთ, მიუთითოთ ვის თვლით კონკურენტად საქართველოს რეგიონების და მთლიანად ქვეყნის კრილში და როგორი პოზიცია გაქვთ ბაზარზე?				
40	გთხოვთ, მიუთითოთ რა კონკურენტული უპირატესობა გააჩნია თქვენს ბიზნესს/პროდუქტს?				
41	თქვენი აზრით, თქვენი პროდუქციით ადგილობრივმა მყიდველებმა შეამცირეს იმპორტული პროდუქციის შემენა? თუ მოხდა ადგილობრივი მწარმოებლების პროდუქციის ჩანაცვლება?				
42	თქვენი აზრით, რა წილი უკავია თქვენს ბიზნესს თქვენს სექტორში? აქეს თუ არა გავლენა თქვენს ბიზნესს სექტორის განვითარებაზე?				
43	გთხოვთ მიუთითოთ კომპანიის წლიური ფინანსური მაჩვენებლები პროგრამაში ჩართვამდე 3 წლისთვის და ჩართვიდან მიმდინარე პერიოდისთვის (ლიკვიდურობის კოეფიციენტი, ფინანსური ლევერეჯი, მომგებიანობა, ქემის კონვერსიის ციკლი)				
44	გთხოვთ, მოგვაწოდოთ კომპანიის საცდელი ბალანსები ან აუდიტებული ფინანსური ანგარიშგებები პროგრამაში მონაწილეობამდე სამი საანგარიშგებო წლისთვის და პროგრამაში ჩართვის დღიდან მიმდინარე თარიღამდე.				საცდელი ბალანსები, აუდიტებული ფინანსური ანგარიშგებები პროგრამაში მონაწილეობამდე სამი საანგარიშგებო წლისთვის და პროგრამაში ჩართვის დღიდან მიმდინარე თარიღამდე.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ დავინანსების მიღების წესი, ინფორმაცია მოწოდებული უნდა იყოს თვეების მიხედვით ორ ნაწილად (პროგრამაში ჩართვამდე და ჩართვის შემდეგ), ხოლო რაოდენობრივი მონაცემების მოწოდებისას (ხელფასები, გამოშვება, ა.შ.) მითითებული უნდა იქნეს აღნიშნული მონაცემი გადასახადების გარეშე არის წარმოდგენილი თუ გადასახადების ჩათვლით.

ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და უტყუარი და თანახმა ვარ, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია გამოყენებულ იქნეს ანალიზში და ინფორმაციის ნაწილი საჭიროებისამებრ წარდგენილ იქნეს ანგარიშში, იმ პირობით, რომ კომპანიის დასახელება და სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემები დარჩება კონფიდენციალური.

კომპანიის წარმომადგენელი პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა



დანართი 2 რეგრესიული ანალიზი

105

რეგრესიული ანალიზი

რეგრესიული ანალიზი გამოყენებულ იქნა დამატებით ინსტრუმენტად, რათა შეფასებულიყო პროგრამის ფარგლებში გაცემული დაფინანსების ზუსტი გავლენა ბენეფიციარების მიერ შექმნილ მშპ-ზე. ამ მიზნით, შეფასდა 68 ბენეფიციარის მონაცემები. მოდელის ფუნქციას აქვს შემდეგი სახე:

$$Y = 1,040,610 + 5.7712 X$$

სადაც Y არის 68 ბენეფიციარის მიერ შექმნილი მშპ, ხოლო X - პროგრამის ფარგლებში გადახდილი სუბსიდია.

მოდელში წარმოდგენილი ღირებულება - 1,040,610, არის a კოეფიციენტი, რომელიც უჩვენებს დამოკიდებული ცვლადის (Y) საშუალო მნიშვნელობას, როცა დამოუკიდებელი ცვლადი (X) არის ნულოვანი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აღნიშნული რიცხვი უჩვენებს, რა მოცულობის მშპ იქნებოდა გენერირებული ბენეფიციარების მიერ, ნულოვანი სუბსიდიის შემთხვევაში. თუმცა, აღნიშნული ინტერპრეტაცია წარმოადგენს მხოლოდ ზოგადი თვალსაზრისით შემუშავებულ მეთოდს და არ არის სამართლიანი გარკვეული ეკონომიკური სიტუაციისთვის.

დამოუკიდებელი ცვლადის წინ წარმოდგენილი ღირებულება - 5.7712 არის b კოეფიციენტი, რომელიც უჩვენებს დამოკიდებული ცვლადის საშუალო ცვლილებას, რომელიც გამოწვეულია დამოუკიდებელი ცვლადის ზღვრული ცვლილებით. ამ შემთხვევაში, კოეფიციენტი გულისხმობს, რომ თითოეულ სუბსიდირებულ ლარზე, დამატებითი +5.7712 მშპ იქმნება.

შერჩეულ ორ ინდიკატორს შორის კორელაციაც იქნა დადგენილი:

$$\text{Corr}(Y, X) = 0.32$$

შედეგი უჩვენებს, რომ ინდიკატორების ურთიერთდამოკიდებულება არ არის ძალიან მაღალი, რადგან მაღალი კორელაციის კოეფიციენტი ზოგადად განიხილება, როდესაც მაჩვენებელი არის 0.8-ს ზევით. მართალია, კორელაციის კოეფიციენტი დადებითია, რაც გულისხმობს, რომ სუბსიდიის ზრდა მშპ-ის ზრდასაც იწვევს, თუმცა, ღირებულება არ იცვლება პროპორციულად და შექმნილი ეფექტი არის უფრო ნაკლები, ვიდრე გაცემული სუბსიდია.

დამატებითი ანალიზისთვის, განხილული იქნა ასევე დეტერმინაციის კოეფიციენტი (R^2), რადგან ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია რეგრესიული ანალიზისას. R^2 მოდელისთვის შეადგენს მხოლოდ 0.10-ს, რაც არის შედარებით დაბალი მაჩვენებელი ამ ინდიკატორისთვის. დეტერმინაციის კოეფიციენტი, ზოგადად, უჩვენებს გაფანტულობის იმ წილს, რომელიც შეიძლება ახსნილი იქნეს დამოუკიდებელი ცვლადით. ამ შემთხვევაში, კოეფიციენტი გულისხმობს, რომ წარმოდგენილი (0.10) არის მშპ-ის წილი, რომელიც შეიძლება პროგნოზირებულ იქნეს პროგრამის ფარგლებში გაცემული სუბსიდიებით, რადგან შედეგი იცვლება გარკვეული სხვა ფაქტორების მიხედვით, რომლებიც მოდელში არ არის წარმოდგენილი.



დანართი 3 ძირითადი ფინანსური მარკვენებლები

107

ძირითადი ფინანსური მარვენებლები

ფინანსური ინდიკატორები დაჯგუფდა და განალიზებულ იქნა ოთხი ძირითადი მიმართულების მიხედვით: ლიკვიდობის კოეფიციენტები, ფინანსური ლევერიჯი, მომგებიანობის კოეფიციენტები და ფულის კონვერსიის ციკლი. ლიკვიდობის კოეფიციენტები წარმოდგენილია მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტებით. ფინანსური ლევერიჯი წარმოდგენილია ვალის კაპიტალთან შეფარდების და ვალის კოეფიციენტებით. მომგებიანობის კოეფიციენტები წარმოდგენილია საერთო მოგების და წმინდა მოგების მარჟებით, კაპიტალზე უკუგებით და აქტივებზე უკუგებით.

ლიკვიდობის კოეფიციენტი

მიმდინარე კოეფიციენტი

მიმდინარე კოეფიციენტი არის ლიკვიდობის და ეფექტიანობის მაჩვენებელი კოეფიციენტი, რომელიც აფასებს კომპანიის უნარს, გადაიხადოს მიმდინარე ვალდებულებები მიმდინარე აქტივებით. უფრო დიდი მოცულობის მიმდინარე აქტივების მქონე ბენეფიციარები, უფრო მარტივად შეძლებენ მიმდინარე ვალდებულებების დაფარვას გრძელვადიანი, შემოსავლის მაგენერირებელი აქტივების რეალიზაციის გარეშე.

მიმდინარე კოეფიციენტი განალიზებულ უნდა იქნეს შესაბამისი ინდუსტრიის ნორმების მიმართ. ზოგიერთ ინდუსტრიას, მაგალითად, საცალო ვაჭრობის, აქვს საკმაოდ მაღალი მიმდინარე კოეფიციენტი. სხვებს, მაგალითად, მომსახურების მიმწოდებლებს, როგორებიცაა საკონსულტაციო კომპანიები, აქვთ შედარებით დაბალი მიმდინარე კოეფიციენტები, რადგან მათი ბიზნესი მოდელი არის ისეთი, რომ არ აქვთ რაიმე არსებითი მიმდინარე აქტივები. მრეწველობის ინდუსტრია მოითხოვს მნიშვნელოვან საბრუნავ კაპიტალს მარაგების, სავაჭრო დებიტორების, ფულადი სახსრების, ა.შ., მხრივ და შესაბამისად, ასეთ ინდუსტრიაში მოღვაწე კომპანიების განხილვისას, მოსალოდნელია, რომ მათი მიმდინარე კოეფიციენტი იქნება 2-ზე მეტი. მისაღებ მიმდინარე კოეფიციენტად, ხშირად მოიაზრება 2; ასეთი მდგომარეობა უმეტესი საწარმოებისთვის მიუთითებს კომფორტულ ფინანსურ მდგომარეობას. მისაღები მიმდინარე კოეფიციენტი ინდუსტრიული კომპანიებისთვის არის 1,5-ის ტოლი.

მიმდინარე კოეფიციენტი = მიმდინარე აქტივები / მიმდინარე ვალდებულებები

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი არის კოეფიციენტი, რომელიც აფასებს ბენეფიციარის უნარს, გადაიხადოს მიმდინარე ვალდებულებები მხოლოდ სწრაფი აქტივებით. სწრაფი აქტივების ქვეშ მოიაზრება აქტივები, რომლებიც ნაღდ ფულად კონვერტირებადია 90 დღეში ან უფრო მოკლევადიან პერიოდში. შედარებით მაღალი ლიკვიდობის კოეფიციენტი არის ყოველთვის უფრო სასურველი, ვიდრე უფრო დაბალი, გამომდინარე იქედან, რომ ბენეფიციარს უფრო მარტივად შეუძლია მიმდინარე ვალების დაფარვა.

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი = (მთლიანი მიმდინარე აქტივები - მარაგები) / მიმდინარე ვალდებულებები

ფინანსური ლევერიჯი

ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი

ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი არის ფინანსური ლიკვიდობის კოეფიციენტი, რომელიც ადარებს ბენეფიციარის ვალს კაპიტალთან. ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი უჩვენებს ფინანსური სახსრების პროცენტულობას, რომელიც წარმოდგენილია კრედიტორებითა და ინვესტორებით. უფრო მაღალი ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი გულისხმობს, რომ უფრო მეტი დაფინანსება არის წარმოდგენილი კრედიტორების მხრიდან (საბანკო სესხები), ვიდრე ინვესტორებიდან. თითოეულ სექტორს აქვს ვალის კაპიტალთან შეფარდების განსხვავებული საბაზრო ინდიკატორი, რადგან ზოგიერთი ინდუსტრია უფრო აქტიურად იყენებს ვალით დაფინანსებას, ვიდრე სხვები.

ვალის კაპიტალთან შეფარდების უფრო დაბალი კოეფიციენტი გულისხმობს ფინანსურად მეტად სტაბილურ ბიზნესს. ბენეფიციარი, რომელსაც ვალის კაპიტალთან შეფარდების მაღალი კოეფიციენტი აქვს, ითვლება უფრო სარისკოდ, კრედიტორებისა და ინვესტორებისთვის, ვიდრე ბენეფიციარი დაბალი მაჩვენებლით.

ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი = ჯამური ვალდებულებები / ჯამური კაპიტალი

ვალის კოეფიციენტი არის გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი, რომელიც აფასებს კომპანიის ჯამურ ვალდებულებას, როგორც ჯამური აქტივების პროცენტულობას. გარკვეულწილად, ვალის კოეფიციენტი უჩვენებს ბენეფიციარის უნარს, დაფაროს ვალდებულებები თავისი აქტივებით. ბენეფიციარები, ვალდებულებების აქტივებთან შეფარდების უფრო მაღალი მაჩვენებლით, ითვლებიან უფრო მაღალი რისკის მქონედ.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ვალის კოეფიციენტი = ჯამური ვალდებულებები / ჯამური აქტივები

მომგებიანობის კოეფიციენტები

საერთო მოგების მარჟა

საერთო მოგების მარჟა არის მომგებიანობის კოეფიციენტი, რომელიც უჩვენებს რეალიზაციების იმ ნაწილის პროცენტულობას, რომელიც აღემატება რეალიზებული საქონლის თვითღირებულებას. სხვა სიტყვებით, ის აფასებს, რამდენად ეფექტიანად იყენებს ბენეფიციარი საკუთარ რესურსებს და სამუშაო ძალას, რომ აწარმოოს და გაყიდოს პროდუქტები მომგებიანად. საერთო მოგების მარჟის პროცენტულობა შეიძლება იყოს უარყოფითი და წმინდა შემოსავალი შესაძლოა მომდინარეობდეს სხვა ერთჯერადი ოპერაციებისგან. ბენეფიციარი შეიძლება კარგავდეს ფულს თითოეულ წარმოებულ პროდუქტზე, თუმცა, რჩებოდეს ფუნქციონირებადი, მაგალითად, ერთჯერადი სადაზღვევო ანაზღაურების მიღების გამო.

საერთო მოგების მარჟა = (წმინდა გაყიდვები - რეალიზებული საქონლის თვითღირებულება) / წმინდა გაყიდვები

წმინდა მოგების მარჟა

წმინდა მოგების მარჟა, ასევე ცნობილი, როგორც წმინდა მარჟა, უჩვენებს, რამდენ წმინდა შემოსავალს იღებს ბენეფიციარი განხორციელებული გაყიდვებიდან. უფრო მაღალი მოგების მარჟა გულისხმობს, რომ ბენეფიციარი ეფექტიანად გარდაქმნის რეალიზაციებს რეალურ მოგებად. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი ფინანსური კოეფიციენტი.

წმინდა მოგების მარჟა = წმინდა მოგება (გადასახადების შემდეგ) / მთლიანი შემოსავალი

კაპიტალის უკუგება (ROE)

კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი ან ROE არის მომგებიანობის კოეფიციენტი, რომელიც აფასებს კომპანიის უნარს, მიიღოს მოგება დამფუძნებლების მიერ განივთებული ინვესტიციებიდან ბენეფიციარ კომპანიაში. ROE არის ასევე ინდიკატორი, რომელიც აფასებს, რამდენად ეფექტიანად იყენებს ხელმძღვანელობა კაპიტალურ ფინანსურ შენატანებს ოპერაციების დასაფინანსებლად და ბენეფიციარის ზრდისთვის. მაღალი ROE თითქმის ყოველთვის უკეთესია, ვიდრე დაბალი, თუმცა, კოეფიციენტი შედარებული უნდა იქნეს ასევე სექტორის სხვა კომპანიების კოეფიციენტებთან. გამომდინარე იქედან, რომ თითოეულ სექტორს აქვს განსხვავებული დონის ინვესტიციები და შემოსავალი, ROE ვერ იქნება შესადარისი სხვა ინდუსტრიების ბენეფიციარებთან.

კაპიტალის უკუგება = წმინდა შემოსავალი / საშუალო კაპიტალი

აქტივებზე უკუგება (ROA)

აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი, ან სხვაგვარად, უკუგება მთლიან აქტივებზე, არის მომგებიანობის კოეფიციენტი, რომელიც აფასებს წმინდა შემოსავალს, მიღებულს მთლიანი აქტივებიდან, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, წმინდა შემოსავლის საშუალო აქტივებთან შედარების მეშვეობით. ROA ზომავს, რამდენად ეფექტიანად შეუძლია ბენეფიციარს, აქტივების გამოყენებით, მოგების მიღება პერიოდის განმავლობაში. მაღალი კოეფიციენტი უკეთესია, რადგან ის უჩვენებს, რომ ბენეფიციარი უფრო ეფექტიანად მართავს აქტივებს და იღებს უფრო მაღალ წმინდა შემოსავალს. დადებითი ROA კოეფიციენტი, ჩვეულებრივ, უჩვენებს მოგების აღმავალ ტრენდს. ROA ყველაზე შესადარისია, როდესაც იგივე სექტორის ბენეფიციარების შედარება ხდება, რადგან სხვადასხვა ინდუსტრიები აქტივებს განსხვავებულად იყენებენ.

აქტივებზე უკუგება = წმინდა შემოსავალი / საშუალო მთლიან აქტივებზე

ფულის კონვერსიის ციკლი

ფულის კონვერსიის ციკლი აფასებს დროს, რომელიც სჭირდება ბენეფიციარს, რათა მარაგებში და სხვა რესურსებში განივთებული ინვესტიცია აქციოს ფულად სახსრებად. სხვა სიტყვებით, ის აფასებს, რამდენი დღე არის ფულადი სახსრები განთავსებული მარაგებში, სანამ მარაგების გაყიდვა იქნება შესაძლებელი და კომპანია მყიდველებისგან მიიღებს ფულს.

ფულის ციკლი შედგება სამი განსხვავებული ნაწილისგან: ციკლის პირველი ნაწილი წარმოადგენს მიმდინარე მარაგების დონეს და იმას, თუ რამდენი დღე სჭირდება ბენეფიციარს, გაყიდოს მარაგი. ციკლის მეორე ეტაპი წარმოადგენს მიმდინარე გაყიდვებსა და იმ დროს, რომელიც სჭირდება გაყიდვებიდან ფულადი სახსრების მიღებისთვის. მესამე ეტაპი ასახავს მიმდინარე გადასახდელ ვალდებულებებს.


ფულადი სახსრების კონვერსიის ციკლი = მარაგები / თვითღირებულება X 365 + სავაჭრო მოთხოვნები / გაყიდვები X 365 - სავაჭრო ვალდებულებები / თვითღირებულება X 365

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ელექტრო ტექნიკის სექტორი


ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი, ელექტრო ტექნიკის სექტორში ფუნქციონირებადი ბენეფიციარებისთვის, მაღალი იყო წლების განმავლობაში, რაც გულისხმობს, რომ სექტორში წარმოდგენილ ბენეფიციარებს აქვთ უფრო დიდი რაოდენობით ვალი, ვიდრე საკუთარი კაპიტალი, და რომ ბენეფიციარები ზრდიან გრძელვადიან ვალდებულებებს ბიზნესის განვითარების მიზნით. თუმცა, ლიკვიდობის კოეფიციენტები უმჯობესდებოდა მოცემულ სექტორში, ეს კი მიუთითებს, რომ ბენეფიციარები ახდენენ სესხების სწორად დაბანდებას. საბაზრო მონაცემთან შედარებით, არის მნიშვნელოვანი გადახრები, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ანალიზისას მხოლოდ 3 ბენეფიციარის მონაცემია გამოყენებული, რომელთაგანაც 2 სტარტაპია, დიდი მოცულობის სესხით.

კაპიტალის ვალთან შეფარდების და ვალის კოეფიციენტები სტარტაპისა და გაფართოებისთვის



საერთო მოგების მარჟა სექტორში, 2014-2018 წლებში, მერყეობს 13%-დან 18%-მდე, მაშინ, როდესაც წმინდა მოგების მარჟის ტენდენცია უარყოფითია 2015 წლამდე, ხოლო 2015 წლის შემდეგ, ყოველწლიურად იზრდება. ეს მიუთითებს, რომ ბენეფიციარები წლიდან წლამდე უფრო ეფექტიანად გარდაქმნიან გაყიდვებს მოგებად.

საერთო და წმინდა მოგების მარჟები სტარტაპისა და გაფართოებისთვის



წყარო: ბენეფიციარების მონაცემები, ბიდიოს ანალიზი, NYC Stern


ძირითადი ფინანსური მარკენებლები

ელემენტო ტენიკის სექტორი

მსგავსი მდგომარეობა აისახა ROE და ROA კოეფიციენტების ანალიზის დროსაც. ეს ინდიკატორები იზრდება წლების განმავლობაში და უახლოვდება ელექტრო ტექნიკის საბაზრო მონაცემს. ROA უფრო მაღალია, ვიდრე ROE უკანასკნელ პერიოდში, რაც მიუთითებს, რომ ბენეფიციარებმა დაიწყეს სესხების შემცირება 2015 წლიდან. მაღალი ROA კოეფიციენტი ყოველთვის უკეთესია, რადგან ის უჩვენებს, რომ ბენეფიციარი ეფექტიანად იყენებს აქტივებს, უფრო მაღალი წმინდა მოგების მიღების მიზნით.

ROA და ROE სტარტაპისა და გაფართოებისთვის

გრაფიკი 6.3



3 ბენეფიციარის მონაცემების მიხედვით

წყარო: ბენეფიციარების მონაცემები, ბიდიოს ანალიზი, NYC Stern

ფულის კონვერსიის ციკლი დღეებში ასევე უმჯობესდებოდა წლების განმავლობაში. მცირე კონვერსიის ციკლი გულისხმობს, რომ ბენეფიციარის ფულადი სახსრები ნაკლები დროის განმავლობაში არის მარაგებში განთავსებული. სხვა სიტყვებით, მოკლე კონვერსიის ციკლს შეუძლია იყიდოს მარაგები, გაყიდოს და მიიღოს მყიდველებისგან თანხა ნაკლებ დროში.


განსხვავებული შედეგი აისახა 2018 წლის მონაცემებით, თუმცა, ეს გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ მოცემული წლის ფინანსური მონაცემები არასრულად იყო წარმოდგენილი ბენეფიციარების მიერ.



ძირითადი ფინანსური მარკენებლები

ფარმაცევტული და ქიმიური წარმოების სექტორი

კაპიტალის ვალთან შეფარდების და ვალის კოეფიციენტები სტარტაპისა და გაფართოებისთვის



გრაფიკი 6.4

ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი, ფარმაცევტული და ქიმიური წარმოების სექტორში ფუნქციონირებადი ბენეფიციარებისთვის, არასტაბილურია წლების განმავლობაში და უჩვენებს მნიშვნელოვან ცვლილებებს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ასპექტში. ამის საპირისპიროდ, ვალის კოეფიციენტი უმჯობესდება წლების განმავლობაში, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავდება სექტორის შესაბამისი საბაზრო მონაცემისგან. ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი წარმოდგენილია უარყოფითი ღირებულებით, რადგან კაპიტალი ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილ ფინანსურ ინფორმაციაში არის უარყოფითი ღირებულებით.

112


4 ბენეფიციარის მონაცემების მიხედვით

წყარო: ბენეფიციარების მონაცემები, ბიდიოს ანალიზი, NYC Stern

აღნიშნული სექტორის ბენეფიციარების საერთო მოგების მარჟა, 2015 წელს, შემცირდა დაახლოებით 50%-ით, წინა წელთან შედარებით, მაგრამ შემდეგი წლების ტენდენცია სტაბილურია და მერყეობს 32%-სა და 38%-ს შორის.

წმინდა მოგების მარჟა უმჯობესდება წლიურად, რაც გულისხმობს, რომ ბენეფიციარები უფრო ეფექტიანად გარდაქმნიან რეალიზაციებს მოგებად წლიდან წლამდე. წმინდა მოგების მარჟა იყო უარყოფითი საწყის წლებში, რადგან ამ სექტორში წარმოდგენილი ბენეფიციარები ზარალის პირობებში მუშაობდნენ.

საერთო და წმინდა მოგების მარჟები სტარტაპისა და გაფართოებისთვის



გრაფიკი 6.5

4 ბენეფიციარის მონაცემების მიხედვით

წყარო: ბენეფიციარების მონაცემები, ბიდიოს ანალიზი, NYC Stern


ძირითადი ფინანსური მარკენებლები

ფარმცევბული და ჰბბბური წარმობის სმშბბრი

ROE და ROA კოფბცბენტბბ, ბსევე როგორც ფულის კონვერსბის ცბკლი დღეებში, ბყო არასტაბბლური წლებბს განმავლობაში, რაც გულისხმობს მწბშვნელოვან ცვბბლებებს როგორც დადებბბბ, ბსე უარყოფბბბ ასპექტბბ. 2018 წბბს მონაცემბ არ გვბჩვენებს რეალურ სურათს გამომდბნარე ბქედან, რომ ბენეფბცბარების მბერ მოწოდებული ბნფორმაცბა არასრულ წელს ასახავს.

ROA და ROE სტარტბპბსა და გაფარბოებისბვის

გრაფბკბ 6.6



4 ბენეფბცბარბს მონაცემბბს მბხედვბბ

წყარო: ბენეფბცბარბს მონაცემბბ, ბბბბბს ანალიზბ, NYC Stern




ძირითადი ფინანსური მარკენებლები

პლასტმასის წარმოების სექტორი

აღნიშნული სექტორის ბენეფიციარების ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი უარყოფითია საწყის წლებში, მაგრამ უჩვენებს მნიშვნელოვან პოზიტიურ ცვლილებებს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში და უახლოვდება პლასტმასის სექტორის საბაზრო მონაცემს.

კაპიტალის ვალთან შეფარდების და ვალის კოეფიციენტი სტარტაპისა და გაფართოებისთვის გრაფიკი 6.7




4 ბენეფიციარის მონაცემების მიხედვით

წყარო: ბენეფიციარების მონაცემები, ბიდიოს ანალიზი, NYC Stern

საერთო მოგების მარჟა მერყეობს 12%-დან 19%-მდე 2014-2018 წლებში, ხოლო წმინდა მოგების მარჟა არასტაბილური და უარყოფითია წლების განმავლობაში და უჩვენებს მნიშვნელოვან ცვლილებებს ორივე, დადებითი და უარყოფითი ასპექტით.

საერთო და წმინდა მოგების მარჟები სტარტაპისა და გაფართოებისთვის გრაფიკი 6.8



4 ბენეფიციარის მონაცემების მიხედვით

წყარო: ბენეფიციარების მონაცემები, ბიდიოს ანალიზი, NYC Stern


ძირითადი ფინანსური მარვენებლები

პლასტმასის წარმომების სემტორი

ROE და ROA კოეფიციენტები, გაანალიზებული წლების განმავლობაში, სტაბილურად განსაზღვრულ შუალედში მერყეობს. ROE, ისევე, როგორც ROA მაჩვენებელი, მნიშვნელოვნად განსხვავდება საბაზრო მაჩვენებლისგან, თუმცა, ბოლო პერიოდში უახლოვდება მას. ROE მაჩვენებელი მცირდება და ROA კი, პირიქით, უმჯობესდება, რაც იმას მიუთითებს, რომ ბენეფიციართა საკუთარი კაპიტალის და აქტივების მოცულობა, წმინდა შემოსავალთან შედარებით იზრდება.

ROA და ROE სტარტაპისა და გაფართოებისთვის

გრაფიკი 6.9




115

4 ბენეფიციარის მონაცემების მიხედვით

წყარო: ბენეფიციარების მონაცემები, ბიდიოს ანალიზი, NYC Stern

ფულის კონვერსიის ციკლი დღეებში იცვლება 110-დან 150-მდე, ბოლო წლების განმავლობაში, და ასახავს დადებით ტენდენციას.




ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

საკვებისა და სასმელის სექტორი

მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი სტარტაპებისა და გაფართოებისთვის

გრაფიკი 6.10




წყარო: ბენეფიციარების მონაცემები, ბიდიოს ანალიზი, NYC Stern

საკვებისა და სასმელის სექტორში, ბენეფიციარების ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი 1-ზე მეტია წლების განმავლობაში, რაც გულისხმობს, რომ ამ სექტორში ჩართულ ბენეფიციარებს აქვთ უფრო დიდი მოცულობის სესხები, ვიდრე კაპიტალი. საბაზრო მონაცემებთან შედარებით, მნიშვნელოვანი გადახრებია სხვადასხვა მაჩვენებელში, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტენდენცია კლებადია უკანასკნელ წლებში.

კაპიტალის ვალთან შეფარდების და ვალის კოეფიციენტები სტარტაპებისა და გაფართოებისთვის

გრაფიკი 6.11




წყარო: ბენეფიციარების მონაცემები, ბიდიოს ანალიზი, NYC Stern

ძირითადი ფინანსური მარკენებლები


საკვებისა და სასმელის სექტორი

ROA და ROE სტარტუპისა და გაფართოებისთვის



საერთო მოგების მარჟა, ისევე, როგორც წმინდა მოგების მარჟა, სტაბილურად მერყეობს განსაზღვრულ მონაკვეთში წლების განმავლობაში და არ არის მნიშვნელოვანი გადახრები საბაზრო მონაცემთან შედარებით. უფრო მაღალი მოგების მარჟები გულისხმობს, რომ ბენეფიციარი არის უფრო ეფექტიანი, რეალიზაციების მოგებად გარდაქმნისას.

საერთო და წმინდა მოგების მარჟები სტარტუპისა და გაფართოებისთვის




ძირითადი ფინანსური მარვენებლები


სამშენებლო მასალების წარმომბის სსმცტორი

ფინანსური ლევერიჟი (ვალის კაპიტალთან შეფარდების და ვალის კოეფიციენტები) იზრდება წლების განმავლობბაში, მბგრამ 1-ზე ნაკლები მბჩვენებელი მიუთბბებს, რომ სამშენებლო მასალების სსეცტორში ბართული ბენეფიციარები, ფინანსურბდ სტბბბლურ პოზიციბზე არიბნ.

კაპიტალის ვალთან შეფარდების და ვალის კოეფიციენტები სტბრტბპისბ და გბფბრტოებისთვის



საერთო და წმინდა მოგების მარჟები სტბრტბპისბ და გბფბრტოებისთვის




ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

სამშენებლო მასალების წარმოების სექტორი

ROE და ROA კოეფიციენტები, ისევე როგორც ფულის კონვერსიის ციკლი დღეებში, არასტაბილურია წლების განმავლობაში, რაც გულისხმობს მნიშვნელოვან ცვლილებებს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ასპექტით. 2018 წლის მონაცემი არ ასახავს რეალურ სურათს გამომდინარე იქედან, რომ ბენეფიციარების მიერ მოწოდებული ინფორმაცია იყო არასრული წლისთვის წარმოდგენილი.

ROA და ROE სტარტაპისა და გაფართოებისთვის



წყარო: ბენეფიციარების მონაცემები, ბიდიოს ანალიზი, NYC Stern




ძირითადი ფინანსური მარკენებლები

თანსაცმლისა და ტექსტილის წარმოების სექტორი


სექტორის ბენეფიციარების მონაცემების მიხედვით, ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი და ვალის კოეფიციენტები საგრძნობლად გაიზარდა 2016 წელს, რაც გამოწვეულია გაფართოების მიზნით, ბენეფიციარების მიერ აღებული სესხებით. 2017 წლის შემდეგ, აღნიშნული ფინანსური ინდიკატორები უჩვენებენ კლებად ტენდენციას.

კაპიტალის ვალთან შეფარდების და ვალის კოეფიციენტები გაფართოებისთვის



წყარო: ბენეფიციარების მონაცემები, ბიდიოს ანალიზი, NYC Stern

საერთო და წმინდა მოგების მარჟები სტარტაპისა და გაფართოებისთვის



საერთო მოგების მარჟა არის სტაბილურად 7%, როცა წმინდა მოგების მარჟა არის არასტაბილური და მერყეობს 2014-2017 წლების განმავლობაში, რაც გულისხმობს მნიშვნელოვან ცვლილებებს ორივე, დადებითი და უარყოფითი ასპექტებით.

საბაზრო მონაცემებთან შედარებით, ტანსაცმლისა და ტექსტილის სექტორში ჩართული ბენეფიციარების საერთო მოგების მარჟა უფრო მაღალია, რაც გულისხმობს, რომ ბენეფიციარები უფრო ეფექტიანად გარდაქმნიან რეალიზაციას რეალურ მოგებად.

1 ბენეფიციარის მონაცემების მიხედვით


წყარო: ბენეფიციარების მონაცემები, ბიდიოს ანალიზი, NYC Stern

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ქაღალდის წარმოების და შეფუთვის სექტორი

სექტორის ბენეფიციარებში, ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი იზრდება წლების განმავლობაში და 2018 წელს აღწევს 1.24-ს, რაც გულისხმობს, რომ ქაღალდის და შეფუთვის სექტორში წარმოდგენილ ბენეფიციარებს აქვთ უფრო მეტი ვალი, ვიდრე საკუთარი კაპიტალი. საბაზრო მონაცემებთან შედარებით, მნიშვნელოვანი გადახრები არ შეინიშნება 2017 წლამდე. ვალის კოეფიციენტი არასტაბილურია და მერყეობს 2014-2017 წლების განმავლობაში, მაგრამ 1-ზე ნაკლები მაჩვენებელი მიუთითებს, რომ ბენეფიციარები არიან ფინანსურად სტაბილურ პოზიციაში.

კაპიტალის ვალთან შეფარდების და ვალის კოეფიციენტები სტარტაპისა და გაფართოებისთვის




წყარო: ბენეფიციარების მონაცემები, ბიდიოს ანალიზი, NYC Stern



ძირითადი ფინანსური მარკენებლები

ლითონის სექტორი


მიმდინარე და სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი სტარტაპებისა და გაფართოებისთვის



წყარო: ბენეფიციარების მონაცემები, ბიდიოს ანალიზი, NYC Stern

სექტორში წარმოდგენილი ბენეფიციარების ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები (ვალის კაპიტალთან შეფარდების კოეფიციენტი და ვალის კოეფიციენტი) 1-ზე ნაკლებია წლების განმავლობაში და უმჯობესდება ყოველწლიურად, რაც გულისხმობს, რომ ლითონის სექტორში მოქმედი ბენეფიციარები ფინანსურად სტაბილურ მდგომარეობაში არიან.

კაპიტალის ვალთან შეფარდების და ვალის კოეფიციენტები სტარტაპებისა და გაფართოებისთვის



წყარო: ბენეფიციარების მონაცემები, ბიდიოს ანალიზი, NYC Stern

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები


ლითონის სექტორი

საერთო მოგების მარჟა სტაბილურად მერყეობს 40%-სა და 55%-ს შორის 2014-2017 წლებში და მნიშვნელოვნად იზრდება 2018 წელს, მაგრამ 2018 წლის მონაცემი არ ასახავს რეალურ სურათს გამომდინარე იქედან, რომ ბენეფიციარების მიერ მოწოდებული ინფორმაცია იყო არასრული წლისთვის წარმოდგენილი. წმინდა მოგების მარჟა მნიშვნელოვნად იზრდება ბოლო ორ წელიწადში, რაც უჩვენებს, რომ ბენეფიციარები უფრო ეფექტიანად გარდაქმნიან რელიზაციას რეალურ მოგებად.

ლითონის სექტორში ჩართული ბენეფიციარებისთვის, წმინდა მოგების მარჟა აჭარბებს საბაზრო მონაცემებს და აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნებულია შემდეგ წლებშიც.

საერთო და წმინდა მოგების მარჟები სტარტაპისა და გაფართოებისთვის

123



წყარო: ბენეფიციარების მონაცემები, ბიდიოს ანალიზი, NYC Stern



დანართი 4 ინფორმაციის წყაროები, ძირითადი ტერმინები

ინფორმაციის წყაროები

- საქართველოს მთავრობის დადგენილება სახელმწიფო პროგრამის 'აწარმოე საქართველოში' დამტკიცების შესახებ;
- სააგენტოს მიერ მოწოდებული პროგრამაში ჩართული 100 ბენეფიციარის სია, საკონტაქტო ინფორმაციის, პროგრამაში ჩართვის თარიღისა და მიღებული სუბსიდიის შესახებ ინფორმაციასთან ერთად;
- პროგრამის 'აწარმოე საქართველოში' კვლევის დანართი ინდუსტრიული ნაწილის, ტექნიკური მხარდაჭერის და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტების შესახებ;
- ბენეფიციარების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ჩვენ მიერ შემუშავებული კითხვარების მიხედვით;
- www.geostat.ge;
- www.mof.ge;
- www.investingorgia.org;
- www.nbg.gov.ge;
- www.heritage.org;
- www.doingbusiness.org;
- www.napr.gov.ge;
- www.enterprisegeorgia.gov.ge.



ძირითადი ტერმინები

აბრევიატურა	განმარტებები
ბენეფიციარი	პროგრამაში მონაწილე კომპანია
გაფართოება	არსებული კომპანიების გაფართოება
დღგ	დამატებული ღირებულების გადასახადი
ეას - 93	ეროვნულ ანგარიშთა სისტემა
ლარიზაცია	შიდა ვალუტის გამოყენება საქართველოს ეკონომიკაში.
მედიანა	სიდიდე, რომელიც ყოფს მონაცემებს უმაღლეს და უმდაბლეს მაჩვენებლად და იღებს განაწილების შუაში განთავსებულ მონაცემს
მლნ	მილიონი
მლრდ	მილიარდი
მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი - ქვეყნის ეკონომიკურ საზღვრებში წარმოებული მთლიანი საბოლოო პროდუქტისა და მომსახურების საერთო ღირებულება, დროის გარკვეულ პერიოდში
პროგრამა	პროგრამა ‘აწარმოე საქართველოში’
სააგენტო	სსიპ აწარმოე საქართველოში
საბაზრო მაჩვენებელი	სტანდარტი ან გარკვეული მაჩვენებელი, რომელთანაც შეიძლება მონაცემის შედარება
სტარტაპი	ახლად შექმნილი კომპანია
სუბსიდია	ბენეფიციართათვის პროგრამის ფარგლებში მიღებული სესხების საბანკო პროცენტის გადახდაზე გაცემული ფინანსური დახმარება
NACE	ევროპული თანამეგობრობის ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური კლასიფიკაცია
ROA	აქტივებზე უკუგება
ROE	კაპიტალის უკუგება

დანართი 5 ძირითადი დაშვებები და კასუხისმგებლობის განაცხადი

ძირითადი დაშვებები და პასუხისმგებლობის განაცხადი

პროგრამის 'აწარმოე საქართველოში' ინდუსტრიული ნაწილის, ტექნიკური დახმარების და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტების შედეგების შეფასება (სამუშაოს მასშტაბის ფარგლებში, რომელიც განსაზღვრული იყო სააგენტოს 'აწარმოე საქართველოში' მიერ წარმოდგენილ პირობებში) მოიცავს მიკრო და მაკროეკონომიკურ ანალიზს.

კვლევის პირველი ეტაპი დაიწყო 2018 წლის სექტემბერში და დასრულდა 2018 წლის დეკემბერს. კვლევის მეორე ეტაპი, რომელიც მოიცავს რეკომენდაციებს, როგორც კვლევაში ჩართული ბენეფიციარების, ისე პროგრამის წარმომადგენლების მიმართ, დასრულდება 2019 წლის აპრილამდე.

ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას, შევასწოროთ ან განვავრცოთ მოცემული ანგარიში, ან ვამცნოთ რომელიმე მხარეს წარდგენილ ნებისმიერ საკითხთან მიმართებით შესაძლო ცვლილებების შესახებ, ანგარიშის წარდგენის თარიღის შემდგომ. ამასთან, ვაცხადებთ, რომ ანგარიშში წარმოდგენილი შედეგები შესაძლოა ექვემდებარებოდეს შესწორებებს იმ შემთხვევაში, თუ რაიმე სახის დაზუსტება და/ან ცვლილება მოხდება იმ ინფორმაციასთან მიმართებით, რომელიც მოგვეწოდა მოცემული ანგარიშის მიზნებისთვის, თუმცა, ჩვენს პასუხისმგებლობაში არ შედის მსგავსი ცვლილებების განხორციელება.

ჩვენი ანალიზი დაფუძნებულია მხოლოდ ბენეფიციარების მიერ მოწოდებულ ინფორმაციასა და საჯაროდ ხელმისაწვდომ მონაცემებზე.

ანგარიშში წარდგენილი შედეგები გამომდინარეობს მომსახურების გაწევისას ჩატარებული სამუშაო პროცედურებიდან. ჩატარებული პროცედურები შეთანხმებულია სააგენტოსთან 'აწარმოე საქართველოში' და შესრულებულია ისე, როგორც წარდგენილია ანგარიშში.

როგორც ანგარიშში არის განმარტებული, მოწოდებული ინფორმაცია მიმოვიხილეთ და გავაანალიზეთ მხოლოდ ანგარიშის მიზნებიდან გამომდინარე.

ინფორმაციის წყაროები მითითებულია ანგარიშში, ხოლო, წარდგენილი შედეგები

შეესაბამება ინფორმაციას, რაც ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა სამუშაო პროცესში და იყო კონტრაქტით განსაზღვრულ პირობებთან

შესაბამისობაში. თუმცა, ჩვენ დამატებითი

გამოკვლევის გარეშე დავეუშვით, რომ მოწოდებულ ინფორმაციაში ასახული ფაქტობრივი მდგომარეობა არის არსებული მდგომარეობის

სრული, ზუსტი და უტყუარი ასახვა. ამასთან, ჩვენ

მივიჩნევთ, რომ მომსახურების გაწევისას გამოყენებულ ყველა დოკუმენტზე არსებული ხელმოწერა არის რეალური. ჩვენ არ ჩავიტარებია მსგავსი ფაქტების დამოუკიდებელი გამოკვლევა და დავყრდენით მათ იმ დონეზე, რა დონეზეც მივიჩნიეთ სანდოდ.

ბიდიოს დამოუკიდებელი წევრების საერთაშორისო ქსელის ('ბიდიოს ქსელი')

ფარგლებში, სერვისების მიწოდება კოორდინირებულია ბრასელს ვორლდვაიდ სერვისის ბი ვი ბი ეის მიერ, რომელიც წარმოადგენს ბელგიაში რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, სათავე ოფისით ბრიუსელში.

ბიდიო ინტერნშენალ ლიმიტედი, ბრასელს ვორლდვაიდ სერვისის ბი ვი ბი ეი და ბიდიოს წევრი ფირმები არიან განკალკეებული იურიდიული პირები და არ არიან პასუხისმგებელნი ერთმანეთის ქმედებებზე. ბიდიოს ქსელის შეთანხმებები და წესები არ განსაზღვრავს ან გულისხმობს ბიდიო ინტერნშენალ ლიმიტედის, ბრასელს ვორლდვაიდ სერვისის ბი ვი ბი ეის და ბიდიოს ქსელის წევრ ფირმებს შორის საშუამავლო ურთიერთობას ან პარტნიორობას.

ბიდიო არის ბიდიოს ქსელის და ბიდიოს თითოეული წევრი ფირმის საფირმო სახელი.

© 2018 შპს ბიდიო. ყველა უფლება დაცულია

ბიდიოს ქსელი და ბიდიო საქართველოში

გლობალური ორგანიზაცია

ბიდიოს მოქნილი გლობალური მიდგომა საშუალებას გვაძლევს, მოვემსახუროთ კლიენტებს მსოფლიოს ყველა კუთხეში საუკეთესო ადგილობრივი ექსპერტიზით.

1,591 ოფისი	80,087 თანამშრომელი	162 ქვეყანა	\$8.99მლრდ გლობალური შემოსავალი
----------------	------------------------	----------------	------------------------------------

*სტატისტიკა მოცემულია 2018 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით



129

ბიდიო საქართველოში

ჩვენ, მთავარ აქცენტს, ზრდასა და განვითარებაზე ვაკეთებთ. ცოდნის ამალღების ხელშეწყობით და გამორჩეული ურთიერთობებით, ჩვენს ხალხს ვეხმარებით, იყვნენ დამოუკიდებელი და თავდაჯერებული პროფესიონალები, რომელთაც ენდობიან წარმატებული კომპანიები და ადამიანები. სწორედ ასეთი მიდგომების შედეგია ბიდიოს ძლიერი ბრენდი და მყარი ფინანსური მაჩვენებლები.

ბიდიო საქართველოში
*სტატისტიკა მოცემულია 12-31-17 მდგომარეობით

12.4

მილიონი შემოსავალი

22%

აუდიტი

22%

ბიზნეს სტრატეგია და აღმართვები

13%

დაზვერა და გაგება/ადავები

43%

ბიზნეს კონსულტაციები

190

თანამშრომელი

18

წელი საქართველოში

700+

წარმატებით შესრულებული პროექტი

ჩვენი ხალხი სიღრმისეულ პროფესიულ ცოდნას და სერვისის განვების ტექნიკას ერთნაირი წარმატებით ფლობს. ამგვარად, მომსახურების პროცესში, ყველა თემაზე შეუძლია დამოუკიდებელი გადანყვეტილებების მიღება მრავალდონიანი პროცესების გვერდის ავლით. ჩვენი გამოცდილების დემონსტრირებას სწორედ სეგმენტური მიდგომით, პროფესიონალი თანამშრომლებითა და მომსახურების გამორჩეული სტილით ვახდენთ.

ტმონ	2017	2016	2015
მთლიანი შემოსავალი	12.4	9.8	7.0

3

უკანასკნელი ოფიციალური რეიტინგებით, ბიდიო საქართველოს ბაზარზე მოქმედი აუდიტორული კომპანიების რეიტინგში წამყვან პოზიციას ინარჩუნებს და მე-3 ადგილს იკავებს.

ბიდიო ერთ-ერთია ხუთ აუდიტორულ კომპანიას შორის, რომელთაც მიენიჭათ მომსახურების პირველი ხარისხი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სახელმწიფო სამსახურის მიერ, ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგად.

საკონტაქტო ინფორმაცია

შპს ბიდიო

ი. თარხნიშვილის ქ. 2

ვერე ბიზნეს ცენტრი

0179 თბილისი,

საქართველო

ტელ: +995 32 254 58 45

ტელ: +995 32 218 81 88

www.bdo.ge

მაია ხაჩიძე

პარტნიორი, კორპორაციული ფინანსები

Mkhachidze@bdo.ge